



# საქართველოს საკათრიკო თბილისი



საქართველოს საკათრიკო  
თბილისი — 1982



ჯვარი ვაზისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით. IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,  
დაგვიცუე და დაგვიფარე ჩვენ

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს — პატრიარქ ილია II ლოცვა-კურთხევით





დაიბეჭდა უწყიდესისა და უნეტარესის,  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის  
ილია II ლიტვა-კურთხევით

# სააღმოსავლეთი ეპისტოლა

უფილესისა და უნეტარების, სრულიად  
საქართველოს კათოლიკოს-კატრიარქის,  
ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს  
პრეზიდენტის  
ილია II

**წმიდა სინოდის წევრებს – ყოვლადსამღვდელო  
მიტროპოლიტთა, ეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა,  
მოქალაქეთა და დიაკონთა, კათიკოსან ბერ-მონაზონთა და  
ყოველთა ქრისტეს მიერ საყვარელ საქართველოს საკატრიარქოს  
უბილთა, აკვიდრთა საქართველომსა და მცხოვრებთა  
ჩვენი საშობლო საზღვრებს გარეთ**

„ღმერთი ნათელ არს“  
(1 იო. 1,5)

ქრისტეს მიერ საყვარელნო წმიდა სინოდის წევრნო – ყოვლადსამღვდელონო მიტროპოლიტნო, მთავარეპისკოპოსნო და ეპისკოპოსნო, მოძღვარნო და დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ძმანო და დანო, ძენო და ასულნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, მკვიდრნო საქართველომსა და მცხოვრებნო ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ.

„ძმანო, გიხაროდენ, განმტკიცენით, ნუგეშინისცემულ იყვენით, მასვე ზრახვედით,

მშულობასა ჰყოფდით; და ღმერთი სიყუარული-სა და მშულობისაჲ იყავნ თქვენ თანა“ (2 კორ. 13,11).

წყალობითა ღმრთისაჲთა დადგა ეს კურთხეული დღე ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისა, როდესაც ჩვენი გულები სავსეა სრულყოფილი სიყვარულითა და ზემიწიერი სიხარულით, როდესაც ძღვევის გალობას შეჰდალადებს ცა და ქვეყანა აღდგომილ მაცხოვარს. აღვსილი ღვთაებრივი სიყვარულითა და სიხარულით გუ-ლითადად გილოცავთ ამ უდიდეს დღესასწაულს:

## ქრისტე აღსდგა!

მარადიული და განუზომელია ეს სიტყვები. ქრისტეს აღდგომა არა მარტო სახარებისეული ისტორიის, არამედ ქრისტიანული ეკლესიის ცხოვრების უდიადესი მოვლენაა, იგი სახეა ჩვენი აღდგომისა, წინაუწყებაა ეკლესიის აღდგომისა, რომელიც ქრისტეს სხეულს წარმოადგენს.

წმ. ათანასე დიდის მოძღვრებით, „უფალმა ცხოვრების უმთავრეს მიზნად სცნო გამოცხადებინა აღდგომა თავისი სხეულისა, რათა ამით

ეჩვენებინა ნიშანი სიკვდილზე გამარჯვებისა და დაერწმუნებინა ყოველნი, რომ დახსნილ არს ზრწნილება და მომადლებულ არს უზრწნელობა“ (სწავლანი, ნ. I, გვ. 219).

ადამიანი მოწოდებულია არა მარტო სულიერი ზედვისა და ღვთის შემეცნებისათვის, არამედ – განწმედისა, ფერისცვალებისა და ღმერთთან შეერთებისათვის. ქრისტიანის მიზანია დაამყაროს კავშირი ღმერთთან წმიდათა

შვილთა საიდუმლოთა და განუწყვეტელი ღო-  
ცვის მეშვეობით. აქ ღვთის ნებას უნდა შეერ-  
წყას ადამიანის ნება. ამ კავშირშია არსი სიწმი-  
დისა და სიყვარულისა.

წმიდა მამები გვასწავლიან, რომ თუ ადა-  
მიანის ნება ემორჩილება ღვთის ნებას, მაშინ  
მისი სიცოცხლე ღვთიურია, მაგრამ როგორ  
მივალწიოთ ამგვარ კავშირს ღმერთთან? ეს შე-  
საძლებელია მხოლოდ ეკლესიაში. ყველანი,  
ვინც არიან წევრნი ეკლესიისა, ატარებენ რჩე-  
ულთა ბეჭედს არა იმიტომ, რომ მხოლოდ მათ  
დაიმიკვიდრონ საუკუნო ნეტარება, არამედ რათა  
შეცვალონ და გააერთიანონ მთელი კაცო-  
ბრიობა დაყოფილი ცოდვითა და ეგოიზმით.

ქრისტიანები უნდა გაერთიანდნენ არა გა-  
რეგანი ნიშნებით, არამედ შინაგანი არსებით,  
როგორც გაერთიანებულია სამსახოვანი წმიდა  
სამება ერთარსებად, და ქრისტიანთა ეს გაერ-  
თიანება უნდა გამოვლინდეს ერთ აზრსა და  
ერთსულოვნებაში.

ეკლესიის ცხოვრებაში, როგორც საიდუმ-  
ლოში, არის ორი მხარე: მისი გარეგნული მხა-  
რე, რომელიც მოიცავს ადამიანის ამქვეყნიურ  
ცხოვრებას, დაფუძნებულს ქრისტიანულ რწმე-  
ნასა და სიყვარულზე, და მეორე მხარე — მის-  
ტიური, რომელიც იწყება აქ, დედამიწაზე და  
გრძელდება ზეციური სასუფეველის მარადიუ-  
ლობაში.

ვინ შეიძლება ეკუთვნოდეს ქრისტეს ეკ-  
ლესიას?! ის, ვისაც სწორად სწამს და აღიარ-  
ებს წმიდა სამებას, ვინც მიიღო საიდუმ-  
ლო ნათლისღებისა, ვინც შეერთებულია ღმერ-  
თან და მოყვასთან სიყვარულით, ემორჩილება  
და აღასრულებს სჯულის კანონებს, ვინც ღე-  
ბულობს ტაძარში შესრულებულ წმიდათა საი-  
დუმლოთა, რომელნიც აღესრულებიან სამღვ-  
დეოების მიერ წმიდა მოციქულთაგან მიღე-  
ბული მადლით.

ადამიანი ეკლესიაში უნდა გახდეს არა მხო-  
ლოდ სულიერი, არამედ ის ვალდებულია, იყოს  
წმიდანი, რათა დაიმიკვიდროს სასუფეველი  
ღვთისა. „წმიდა წმიდათა“, — ხმობს მღვდელი  
სადმართო ლიტურგიის დასასრულს, აღამაღ-  
ლებს რა წმიდა ტარიუსს, განწესებულს წმ. ზია-  
რებისათვის. ამ ორ სიტყვაში ღრმა აზრია:  
ქრისტეს წმიდა ხორცი განკუთვნილია მხოლოდ  
წმიდათათვის, ე. ი. მათთვის, ვინც სინანულითა  
და აღსარების საიდუმლოთი თავიანთი შინაგა-  
ნი სამყაროს განწმედით გახდნენ წმიდანნი.

თავი ეკლესიისა არის უფალი იესო ქრის-  
ტი, სული ეკლესიისა — სულიწმიდა, წევრნი  
ეკლესიისა — ვართ ჩვენ, რომელთაც გვწამს  
წმიდა სამება, ვართ ნათელღებულნი და ზიარნი  
ყოველთა საიდუმლოთა. ეკლესიის საშუალებ-  
ით ღებულობს მორწმუნე მრევლი ღვთის  
მადლს და ნიჭთა სულისა წმიდისათა.

მაშასადამე, რა არის ეკლესია? ბერძნულად  
ეკლესია იკითხება *ἐκκλησία*, რომელიც წარმო-  
დგება ზმნისაგან *ἐκ-καλέω*, რაც ნიშნავს — საი-  
დანაც ვუხმობ, ვარჩევ, ვეძახი შეკრებაზე,  
კრებაზე. ამრიგად, *ἐκκλησία* არის ხალხი, რო-  
მელიც ამოირჩია და მოუწოდა ღმერთმა თა-  
ვისთან.

მთავარი არის ეკლესიისა არის ის, რომ  
მორწმუნე, მისი წევრი განუწყვეტელ კავშირ-  
შია მამა ღმერთთან, ძე ღმერთთან და წმიდა  
სულთან. ეკლესიაში ხდება საიდუმლო შეხვე-  
დრა ადამიანისა ღმერთთან (იო. 17, 21—26).

ეკლესიის ყოველი წევრი ქრისტესია —  
ქრისტიანია. ადამიანი, რომელიც თავის თავს  
თვლის მორწმუნედ და არ არის ეკლესიის წევ-  
რი, არ არის ნაწილი ერთისა ვაზისა, არ არის  
შეზრდილი ქრისტეს, არ იყოფება მასში, არ  
ასრულებს მის მცნებებს, არ აღმართულია ცო-  
ცხალ ქვად ეკლესიის შენობაში — ასეთი ადა-  
მიანი მარტო იყოფება აღელვებულ ზღვაში,  
რომელიც აუცილებლად შთანთქავს მას.

რა აზსიათებს ქრისტეს ეკლესიას? ეკლე-  
სია ერთიანია, წმიდაა, კათოლიკე და სამოცი-  
ქულოა, იგი დაარსდა სულთმოფენობის დღეს.  
ქრისტეს ეკლესიის პირველნი წევრნი მუდამ  
იმყოფებოდნენ „მოდღვრებასა მას მოციქულთა-  
სა და ზიარებასა და განტეხასა პურისასა ლოც-  
ვასა... აქებდეს ღმერთსა... ხოლო უფალი შეს-  
ძინებდა ცხოვრებულთა დღითი-დღედ ეკლესია-  
სა“ (საქმე მოც. 2, 42—47). ეკლესიაში არ არის  
გაყოფა, მისი წევრნი არ არიან ერთმანეთისად-  
მი მტრულად განწყობილი დამოუკიდებელი  
ჯგუფები, მათ აქვთ ერთი გული, ერთსულ არი-  
ან, მათ ხელმძღვანელობს ერთი და იგივე სული-  
წმიდა, ისინი შეადგენენ ერთ მთლიანობას —  
ქრისტეს სხეულს. მხოლოდ ეკლესიაში და ეკ-  
ლესიის ლოცვით შეიძლება გახდეს ადამიანი  
ტაძარი სულისა წმიდისა.

ეკლესია სულია ერისა.

ეკლესიაში ყველაფერი ერთიანი უნდა  
იყოს: ერთი თავი — უფალი იესო ქრისტი, ერთი  
სული ღვთისა, რომელი ყოველთა აღავსებს,  
ერთი მოძღვრება რწმენისა და ცხოვრებისა,  
ერთი მაცხოვრებელი საიდუმლონი, რაც ყვე-  
ლასათვის აუცილებელია.

ეკლესია ერთია, მაგრამ დაყოფილია ადგი-  
ლობრივ და ეროვნულ ეკლესიებად, რომელნიც  
არიან წევრნი ერთი წმიდა, მსოფლიო სამოცი-  
ქულო ეკლესიისა. მასში შედიან: კონსტანტინე-  
პოლისის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსა-  
ლიმის, რუსეთის, საქართველოს, სერბეთის,  
რუმინეთის, ბულგარეთისა და სხვ. ეკლესიები.  
წმ. კიპრიანე ამის შესახებ შესანიშნავად ამ-  
ბობს: „მზე გამოჰყოფს უამრავ სხივს, მაგრამ  
ნათელი ერთია; ხეს გააჩნია ტოტები, მაგრამ  
იგი ერთია; ნაკადული გამოედინებიან ერთი



წყაროსაგან, მაგრამ სათავე ერთია. განაცალკევებ მზის სხივი მზისაგან—ერთიანობა არ დაუშვებს სინათლის ცალკე არსებობას; ჩამოაჭერი ხეს ტოტი — ჩამონაჭერი დაკარგავს სიცოცხლეს; გათიშე ნაკადული წყაროსგან — ნაკადული დაშრება. მსგავსად ამისა, უფლის ნათლით გაცისკროვნებული ეკლესია, მსოფლიოს ჰფენს თავის სხივებს და, ამავე დროს, ის მაინც ერთია, არ ირღვევა მთლიანობა მისი სხეულისა, მთელს ქვეყანაზე გადაშლილი აქვს თავისი ნაყოფიერი ტოტები“.

ეკლესიის ერთიანობასთან ორგანულადაა დაკავშირებული ეკლესიის სიწმიდე. როგორც ცნობილია, ცოდვა არის მიზეზი დაყოფისა. ცოდვის დათრგუნვა, უპირველესად ყოვლისა, გაერთიანებს ადამიანს მის მთლიანობაში, ანუ მის არსში, დაუკავშირებს ადამიანს ღმერთს და მოყვასს.

სიწმიდე ეკლესიისა თვითმყოფადი და ურყევია.

თუკი ეკლესია ღვთის სხეულია, განა შეიძლება ქრისტეს სხეული არ იყოს წმიდა? ეკლესიის სიწმიდე ქრისტეს სხეულის სიწმიდიდან გამომდინარეობს, ამიტომ ეკლესია უძლეველია: „ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინ მას“ (მათე, 16, 18).

ეკლესიის ყოველი წევრი, მიუხედავად თავისი ნაკლოვანებებისა, თუ მისი ცხოვრება ღვთისათვის სათნოა, იმოსება სულიწმიდის მადლით. ეკლესიაში სულიწმიდის მადლის ზემოქმედებით ხდება ადამიანის განწმედა ცოდვებისაგან და მისი სულიერი განათლება. მადლი ღვთისა გარდაქმნის ადამიანს, რის შედეგად ცოდვილი ჰპოვებს განმართლებას და ხდება წმიდა.

წმ. ირინეოს ლიონელი (II ს.) შემდეგნაირად აღწერს ეკლესიის მთლიანობას: „ეკლესიაჲ, თუმცა განფენილია ქვეყნის კილითგან კიდემდე,

მიიღო მოციქულთაგან და მათი მოწაფეებისაგან რწმენა... ამ ქადაგებასა და ამ რწმენას ეკლესია მტკიცედ ინახავს, როგორც ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ოჯახი და სწამს, როგორც მქონეს ერთისა სულისა და ერთისა გულისა. თანახმად ამისა ქადაგებს და ასწავლის... თუმცა ერები ზსოფლიოში სხვადასხვაა, მათი გადმოცემის ძალა ერთი და იგივეა. არც ეკლესიებს, დაფუძნებულთ გერმანულ ქვეყნებში, არც ივერიის ეკლესიებს, არც კელტებს, არც აღმოსავლეთში, არც ეგვიპტეში, არც ლიბიაში განსხვავებულად არა სწამთ. როგორც მზე, ქმნილება ღვთისა, ქვეყანაზე ერთი და იგივეა, ასევე ქადაგება ჭეშმარიტებისა ყველგან ანათებს და განანათლებს ყოველთა კაცთა, რომელთაც სურთ შეცნობა ჭეშმარიტებისა“ (წმ. ირინეოს ლიონელი. ერეტიკოსთა წინააღმდეგ, I, 10, 1—2).

ჩვენთვის მით უფრო ძვირფასია ეკლესიის ამ დიდი მასწავლებლის ასრები, რამდენადაც იგი მაგალითისათვის ასახელებს ივერიის ეკლესიებს, როგორც შემნარჩუნებელთ მოციქულთა რწმენისა და ჭეშმარიტებისა ჯერ კიდევ II საუკუნეში. აქედან ჩანს, რომ კაპადოკიიდან წმ. ნინოს მოსვლამდე ივერიის ეკლესია უკვე ყვაოდა და იყო დამცველი მოციქულთა რწმენისა.

ქრისტეს ეკლესიის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა ეპისკოპოსთა და სამღვდლოების ერთიანობა. წმ. კიპრიანე კართაგენელი ამბობს: „მსოფლიო ეკლესია ერთია, განუშორებელი და განუყოფელია. ამიტომ უნდა გაერთიანდეს ყველა მღვდელმთავარი ერთ მთლიანობაში“ (წმ. კიპრიანე კართაგენელი, Epistola 65 ad Rogat). სხვაგან იგივე წმიდა მამა წერს: „ეს მთლიანობა მტკიცედ უნდა დავიცვათ ჩვენ, ეკლესიის თავში მდგომმა ეპისკოპოსებმა, რათა ვაჩვენოთ, რომ თვით ეპისკოპოსები ერთნი და განუყოფელნი არიან...“ (წმ. კიპრიანე, De init. Eccl., 5).

წმიდა იოანე ოქროპირი, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი, რომელიც ცხოვრობდა IV ს-ში და საქართველოში აღასრულა თავისი ამქვეყნიური ცხოვრება, შესანიშნავად წერს ქრისტიანთათვის ეკლესიის აუცილებლობაზე: „შეუძლებელია ზღვის გადაცურვა გემის გარეშე. ქრისტეს წმიდა ეკლესია დეამიწაზე იგივეა, რაც გემი ზღვაში. ამ სულიერი გემის ბატონ-პატრონი თვით ყოვლისშემძლე მამა ღმერთია, საჭეთმპყრობელი — მხოლოდშობილი ძე მისი, წამყვანი ქარი — სულიწმიდა, მმართველნი გემისა არიან მოციქულნი და მათი მემკვიდრენი — მოძღვარნი და მასწავლებელნი ეკლესიისანი, მგზავრნი — მართლმორწმუნე ქრისტიანენი, ძირი და საფუძველი — მართალი რწმენა წმიდისა სამებისა, კედლები, წინა ნაწი-

ლი და გემის საჭე წარმოდგენილია, როგორც სარწმუნოების დოგმები, ღვთის მცნებები, გადმოცემანი ეკლესიათა, კანონნი მოციქულთა და მსოფლიო კრებათა“.

ჩვენ ხშირად ვსვამთ კითხვას: რა გააკეთა წარსულში ეკლესიამ ჩვენი ხალხისათვის, ასრულებს თუ არა დღეს იგი თავის მაცხოვრებელ მისიას, როგორია ეკლესიის როლი მომავალში? თუ ჩვენ რეალურად არ განვიხილავთ ეკლესიის მნიშვნელობას წარსულში, ვერ შევძლებთ ნათლად დავინახოთ მისი აწმყო და მომავალი.

რა მოგვცა ეკლესიამ წარსულში? ბევრი რამ, რითაც ამაყობს ჩვენი ერი ხელოვნების, ლიტერატურის, არქიტექტურისა და სხვა სფეროში, შეიქმნა ქრისტიანული სულიერობისა და ცივილიზაციის საძირკველზე. ჩვენი ეკლესია დაარსდა მაშინ, როდესაც ბიზანტიაში ვარსკვლავებერ ამობრწყინდა ათეულათასობით მოწამე, როდესაც ეგვიპტისა და იორდანეს უდაბნოებში მოღვაწეობდნენ ღირსი მამები, რომელთა მარხვისა და ღოცვის ღვაწლი ყოველთვის განაცვიფრებს ყველა ჭეშმარიტად მოაზროვნე ადამიანს. ჩვენი ეკლესია აღმოცენდა იმ დროს, როდესაც მსოფლიოსათვის ცნობილი გახდა ღრმა ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსთა: წმ. იუსტინე ფილოსოფოსისა, კლიმენტი ალექსანდრიელისა, წმიდათა—ბასილი დიდისა, გრიგოლ ღვთისმეტყველისა, იოანე ოქროპირისა და სხვ. შრომები.

ჩვენმა ხალხმა შეითვისა და შეისისხლხორცა მთელი ეს სულიერი ნექტარი; ეს სხივები გარდატყდა ჩვენი ცნობიერების პრიზმაში და ჩვენმა ხალხმა სრულიად ახალი შედეგები შექმნა სულიერ საგანმურში. რა იქნებოდა საქართველო წმ. ნინოს, ვახტანგ გორგასანლის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთველის, დავითისა და კონსტანტინეს, კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I, ეფრემ ფილოსოფოსის, პეტრე იბერის, იოანე პეტრიწისა და მრავალთა სხვათა ღვაწლის გარეშე; ვის ეცოდინებოდა დღეს საქართველოს შესახებ, რომ არ გვეყოლოდა ბექა ოპიზარი, ბერი დამიანე; წარმოუდგენელია საქართველო მსოფლიოში ცნობილი ტიხრულ-მინანქრული ხატების, სვეტიცხოვლის, ჯვარის, ბოლნისის სიონის გარეშე. ასეთი მაგალითების მოტანა ათასობით შეიძლება. მთელი ეს საუნჯე შექმნა ჩვენმა ხალხმა ქრისტიანობისა და საქართველოს ეკლესიის მაცხოვრებელ სხივთა გავლენით.

დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საუკუნეში, ეკლესია ასრულებს უდიდეს მისიას; აღსავსე ღვთაებრივი ენერჯით და, აქედან გამომდინარე, მადლმოსილი ნიჭით, ღებულობს აქტიურ მონაწილეობას ერის ცხოვრება-

ში, მშვიდობის დაცვის დიად საქმეში, ურთიერთგაგებასა და სამართლიანობაში.

ეკლესიის ვალია — ერის გაერთიანება.

საქართველოს ეკლესიამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ჩვენი ერის სულიერი კეთილდღეობისათვის.

ჩვენ დიდად გვახარებს ის პოზიტიური ძვრები, რაც მიმდინარეობს უკანასკნელ წლებში საქართველოს რესპუბლიკაში. ეს წინსვლა ყველაფერში ჩანს: მართლწესრიგში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ქალაქსა თუ სოფელში. ჩვენ გვაღელვებს არა მარტო შინაგანი პრობლემები. ყველა, ვინც არ არის გულგრილი თავისი სამშობლოსადმი, აფიქრებს იმ თანამემამულეთა — ძმთა და დათა ბედი, ქრისტიანთა ის თუ მუსულმანთა, რომელნიც აღმოჩნდნენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ.

განსაკუთრებული სიყვარულითა და მხურვალე გრძობით მოგმართავთ თქვენ, ჩვენი ძმებო, მცხოვრებნო სამშობლოს საზღვრებს გარეთ, მოგმართავთ თქვენ, მუსულმანებო და ქრისტიანებო, ჩვენ სისხლით და ზორციტ ერთნი ვართ, მიუხედავად განსხვავებული რელიგიური შეხედულებებისა. გახსოვდეთ, რომ თქვენი წინაპრები განისვენებენ საქართველოს წმიდა მიწაში; ნუ დაივიწყებთ, ვინ ხართ, სადაური ხართ, გახსოვდეთ ღვთისაგან დალოცვილი ქართული ენა და საუკუნეთა მანძილზე ნაკურთხი ქართული ტრადიციები; გახსოვდეთ, სიმძლევილისა და სულიერი გაყოფის დაძლევა შეიძლება მხოლოდ სიყვარულით, რომლითაც ასე უხვად დაგვაჯილდოვა უზენაესმა. ჩვენ მარად გვახსოვხართ და დღემუდამ ვლოცულობთ თქვენთვის, ჩვენი ერის შეერთებისათვის.

ამ დიდებულ და ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელ დღეს ქრისტეს აღდგომისა, ჩვენ უნდა შევხვდეთ განწმედილნი, განვაახლოთ ჩვენი სულიერი სწრაფვანი და ქრისტიანული შემეცნების სიღრმეში მივეახლოთ ჭეშმარიტებისა და ცხოვრების გზას—უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს. ამასთან ერთად, საჭიროა, გავიზაროთ მოყვასის გასაჭირი და შემწეობა აღმოუჩინოთ მას.

ჩვენ ღრმა აღშფოთებას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ თანდათან მატულობს მასიურად მომსპობი იარაღის რაოდენობა და, მასთან ერთად, მისი გამანადგურებელი ძალა. ჩვენი ეკლესია დარწმუნებულია, რომ ყველა რელიგიის წარმომადგენელთა მსოფლიო კონფერენცია, რომელიც შედგება ა. წ. 10—14 მაისს მოსკოვში, იქნება მეტად დროული და, ამავე დროს, აქტიურული. ჩვენი ეკლესია მიიღებს აქტიურ მონაწილეობას ამ საერთაშორისო ფორუმზე.

დღეს ჩვენ აღვაკლენთ ღოცვებს მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა და მათთვის, ვინც



იღვწის მშვიდობის დამკვიდრებისათვის, ვინც შრომობს პროგრესისა და სამართლიანობისათვის.

ქრისტეს აღდგომის ცხოველმყოფელი სხივი აღწევს ადამიანთა გულებს და ავსებს ქვეყანას სიყვარულითა და სიხარულით. აღსავსე ამ გამოუთქმელი სიყვარულით, გულითადად ვულოცავ მთელ ღვთიეკურთხეულ და ღვთიედაცულ ჩვენს სამწყსოს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას. დაე, აღდგომილმა მაცხოვარმა ღირს გვყოს შესვლად აღდგომის სიხარულსა და მიღებად გულთა შინა ჩვენთა მცნებათა სახარებისათა. უფალი მოვალს შენდა, ნუ იქმნები ყრუ და მუნჯი, განუხვენ მას კარნი გულისა შენისანი და შემოვალს იგი და დაადგრება შენ თანა.

აღვაკლენ ლოცვებს, რომ ყოველი ჩვენთაგანი გახდეს ღირსი ღმერთთან ამ საიდუმლო

შეხვედრისა. ვუსურვებ ყველას საუკუნო სიხარულს. ღმერთმა აკურთხოს მთელი ქვეყანა და მონიჭოს კაცობრიობას კეთილდღეობითი და მშვიდობითი ცხოვრება.

აღსრულდა! ბრძანებს უფალი: „ვიქმენ მე ანი და შ, დასაბამი და დასასრული. მე წყურთელსა მივსცე წყაროსა მისგან წყლისა ცხოველისა უსასყიდლოდ. რომელმან სძლოს, მივსცე მას ესე ყოველი და ვიყო მისა ღმერთ, და იგი იყოს ჩემდა მე“ (გამოცხ. 21, 6-7).

ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!

## ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი



# საქართველოს უფლისა

## კვართი უფლისა



ნიში კვართისა ზედა საუფლოსა და სვეტისა დვით ბრწყინ-  
ვალელ აღმართულსა და მირონთა აღმომცენებელსა ქალაქსა  
შინა მცხეთისასა. IV ს.

მკვიდრმა „დიდისა ქალაქისა მცხეთისა-  
მან“ ელიაზარმა (ელიოზმა), რომელიც ქრის-  
ტესშობამდე სამოცდაათი წლით ადრე მოსულა  
ჰურიასტანიდან, მოხუცობის ჟამს, იერუსალიმ-  
ში „ეშმაკთაგან აღბორებულ ჰურიათაგან“ მი-  
იღო წერილი:

„კაცისა მიერ, რომელსა ჰქვიან **იესუ**, გან-  
ქარდა სჯული **მოსესი** და დაიხსნეს ყოველნი  
წესნი ჩუენნი და ესე კაცი, რომელ აღდგომილ  
არს, თავსა თვისსა ზადის **ძედ ღმრთისად...** „მო-  
ვედით ყოველნი სიკვდილსა მისსა, რათა აღეს-  
რულოს მცნება მოსესი... შური ვიძიოთ მას  
ზედა, რათა სჯული მამათა და დავიცვათ და და-  
ვაშთკიცოთ“.

და წარვიდა მოხუცი ელიაზარი... თან წაი-  
ყოლა ლონგინოზ კარსნელი „და მუნ დახუდეს  
ჯუარტმასა უფლისასა“.

ჰყავდა ელიოზს დედა და დაე ერთი — სი-  
ღონია.

ვეედრებოდა დედა ელიოზს:

„წარვედ, შვილო, წოდებასა მეფისასა და  
წესსა სჯულისასა, ხოლო რომელსა იგი განი-  
ზრახვენ, ნუ შეერთვინ ცნობა შენი, ნუ შვილო,  
რამეთუ იგი არს სიტყუა წინასწარმეტყუელთა  
და იგავი ბრძენთა“.

„ხოლო ოდეს დამსჭუალეს უფალი და პა-  
სანიკმან კუერთა დაჰკრა სამსჭუალთა, აქა  
დედასა ელიოზისსა ესმა, და იკრჩხიალნა და  
თქუა: „მშულობით მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ  
მოჰკალთ თავისა თქუენისა მაცხოვარი და იქმ-  
ნენით მკლველ შემოქმედისა. ვაი თავსა ჩემსა,  
რომელ არა წინავე მოვეკუედ, რათამცა არა სმე-  
ნილ იყო ყურთა ჩემთა“ და ამას ზედა შეისუენა“. **ხოლო კუართი იგი უფლისა** ელიოზმა მისი  
სამოსელის განყოფის შემდეგ შეისყიდა იმ  
მხედრისაგან, რომელსაც წილისყრით შეხვდა  
იგი... და **მოიღო მცხეთას**. „მიეგება დაა მისი,  
შესუარული ცრემლითა: მოეხუა ყელსა ძმასა  
თვსსა და მოუღო სამოსელი იგი **იესოსი**, შეი-  
ტებო მკერდსა თვსსა და მსწრაფლ სულნი წარ-  
ხდეს“. „ზმა ყო ცრემლითა და აღმოუტევა  
სული“.

...მაშინ იყო საკრველი დიდი და შეშფო-  
ტება მცხეთას შინა. რამეთუ განკურდა თუთ  
დიდი მეფე ადერკი და ყოველი სიმრავლე ერი-  
სა და მთავართა. და სთნდა მეფესა ადერკის სა-  
მოსელი იგი. გარნა საკურველებისა მისგან  
ზარგანხდილ და შეშინებულ იქმნა იგი, არა ინე-  
ბა გამოღება ზელთაგან მის მკუდრისათა, რო-  
მელსა იგი მაგრად და სურვილით შემოემკერდა.  
და ელიოზ დამარბა დაა თვისი და ხელთა აქუნდა  
სამოსელი იგი უფლისა“.

„და მის საფლავზე მაშინვე „აღმოხდეს...  
ხენი იგი კვიპაროზნი და აღმოცენა ხესა მას  
ქუეშე ყუავილი მრავალფერი და სურნელი“.

ხოლო შემდეგ... ოდეს მოსულმან ქართლ-  
ში „ნეტარმან დედამ და ემბაზმა ჩუენმა, **ნი-  
ნომ**“... „იწყო ქებად სჯულსა ჭეშმარიტსა  
**ქრისტეს ღმრთისა** ჩვენისასა...“ და მოაქცია  
იგი, ქართლის მეფემ მირიანმა, სადაც დაკრძა-  
ლეს **კვართი უფლისა**, განიზრახა აეგო ტაძარ-  
ი... მოსჭრეს სიღონიას საფლავზე ამოსული  
დიდი კვიპაროზის ხე...

„მოჰკუეთა ნაძუ იგი და ნაძესა მისგან შემზადნა შუდნი სუეტნი ეკლესიისანი. და ვითარ აღაშენეს კედელი იგი ძელითა და აღმართნეს ექუსნი იგი სუეტნი თვს-თვსად. ხოლო სუეტი იგი უდიდესი, რომელი საკურველ იყო ხილვითა საშუალ ეკლესიისა შესაგდებელად განმზადებული, ვერ შეუძლეს აღმართებად მისა. და აუწყეს მეფესა საკურველი იგი ყოვლად ვერ ძრვა ადგილთაცა სუეტისა მის... „ხოლო დედაჲ ჩუენი „სანატრელი იგი, გოდებდა სუეტსა მას ზედა და აღინებდა ცრემლთა მისთა“.

...და აჰა, ესერა, ზედა მოადგა ჭაბუკი ერთი ნეტარსა მას, ყოვლად ნათლითა შემკობილი... ჭაბუკმან მას შეჰყო ხელი სუეტსა მას და აღმართა და წარიღო სიმაღლესსა შინა... „სუეტი იგი ორ კაც ოდენ სიმაღლესა დადგა“ ჰაერში... ბრწყინაუდა და გამოსცემდა სურნელს. ხოლო ძირიდან წარმოსდინდებოდა ძირონი.

ამას გვიამბობს „ქართლის ცხოვრება“ და ცხოვრება მოციქულთა სწორისა, დედისა ჩვენისა, წმიდა ნინოსი.

კურთხეულ არს უფალი ჩვენი, იესო ქრისტე და მამა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელმან მოაგვინა სიტყუა მისი წმიდა ზეციტგან მაღალთათ... მიზეზი ცხოვრებისა ჩუენისა, რომელმან ცასა ქუეშე ყოველივე განანათლა და მორწმუნენი აცხოვნა. რომელი იშვა, ვითარცა კაცი, ნათელი ყოველთა, ხატი ღმრთისა მამისა და ვითარცა მსახურმან ვინმე სჯულისამან ნათელ-ილო წყლისაგან და სულისა, ჯუარს ეცუა, დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა და აღხდა სიმაღლესა მამისა თანა, და კუალად მოვალს დიდებით. რომელსა შუენის ყოველი დიდება, პატივი და თაყუანისცემა თანა მამით და სულითა წმიდითა თვისითა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!



უ ბ ი ს ი. მაცხოვრის ჭვარცმის ხატი. XII ს.

# ქ. ე. ზ. ო. დ. ც. ქ. ო. ზ. ო. ც. ზ.

## რელიგიის მოღვაწენი ზირთვული კატასტროფისაგან სიცოცხლის წმიდა ნობათის გადასარჩენად



27 აპრილიდან 1 მაისამდე (10-14 მაისი) მოსკოვში ჩატარდა მსოფლიო კონფერენცია თემაზე — „რელიგიის მოღვაწენი ბირთვული კატასტროფისაგან სიცოცხლის წმიდა ნობათის გადასარჩენად“.

90 სახელმწიფოს სხვადასხვა რელიგიის — ბუდიზმის, ზორასტრიანიზმის, ინდუიზმის, იუდაიზმის, მუსულმანობის, სიკხიზმის, სინთოიზმის, ქრისტიანობისა და სხვ. 590 გამოჩენილი წარმომადგენელი შეიკრიბა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, რათა გამოეძებნათ, შეესწავლათ ის გზები და საშუალებები, რომლებიც მსოფლიოს რელიგიის მსახურთა წვლილს ნაყოფიერსა და შედეგიანს გახდიდა ბირთვული ომის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კონფერენციის ჩატარებას, რომლის ინიციატორი იყო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი, მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირის ყველა ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანებების მეთაურებმა. მან ასევე ფართო გამოსმაურება ჰპოვა მთელი მსოფლიოს რელიგიურ მიმდინარეობებში.

კონფერენციისათვის მზადება მიმდინარეობდა საერთაშორისო მოსამზადებელ კომიტეტში, რომელშიც შედიოდა 30 ქვეყნის სხვადასხვა რელიგიის 48 წარმომადგენელი და რომელსაც ხელმძღვანელობდა მინსკისა და ბელორუსიის მიტროპოლიტი, რუსეთის ეკლესიის საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე ფილარეტი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს, ასევე ადგილობრივი და რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა არაბეთისა და სხვა ქვეყნებიდან, მშვიდობის ქრისტიანულ-

მა, აზიის ბუდისტთა სამშვიდობო, სრულიად აფრიკის ეკლესიათა, ბერლინის ევროპულ კათოლიკეთა კონფერენციებმა, ქალთა მშვიდობისა და თავისუფლების საერთაშორისო ლიგისა და სხვა საერთაშორისო თუ ეროვნული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მრავალმა გამოჩენილმა რელიგიურმა მოღვაწემ, ხელმძღვანელმა, ღვთისმეტყველმა, სახელმწიფო, საზოგადო თუ მეცნიერების დიდმა, მსოფლიოში ცნობილმა ავტორიტეტულმა პირებმა.

კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვები გამოგზავნეს მისმა უწმიდესობამ პაპმა იოანე-პავლე II, მისმა უწმიდესობამ დალაი ლამამ, მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ კენტენბერიის მთავარეპისკოპოსმა რობერ რანსიმ, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილმა რელიგიურმა მოღვაწეებმა, მთელი რიგი სახელმწიფოების მეთაურებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: კვიპროსის პრეზიდენტმა სპიროს კიპრიანუმ, ფინეთის პრეზიდენტმა მათუო კოვიესტომ, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჰამბაი ბათმუნჰამა.

მსოფლიო კონფერენციის საპატიო პრეზიდენტად შევიდნენ: მუფთი ზიაუთდინ ხან იბნ იშან ბაბახანი — შუა აზიისა და ყაზახეთის მუსულმანთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარე (სსრ კავშირი), უნგრეთის რეფორმაციული ეკლესიის სინოდის თავმჯდომარე — ეპისკოპოსი ტიბორ ბარტა, მისი უწმიდესობა ვაზგენ I — ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათოლიკოსი (სსრ კავშირი), მაღალღირსი დიდ ჰამბო ლამა ერდინევი

ვიმბო-ჟამსო — საბჭოთა კავშირის ბუდისტთა სასულიერო ცენტრალური სამმართველოს თავმჯდომარე, მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (სსრ კავშირი), მისი უწმიდესობა იუსტინე — რუმინეთის პატრიარქი, მისი უწმიდესობა მაქსიმე — ბულგარეთის პატრიარქი, მისი უწმიდესობა — ნიკოლოზ VI — ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი, ჩეხოსლოვაკიის ჰუსიტური ეკლესიის პატრიარქი მიროსლავ ნოვაკი, კარელიისა და სრულიად ფინეთის მთავარეპისკოპოსი პავლე, მისი უწმიდესობა პიმენი — მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი, მისი უწმიდესობა აბუნა ტეკლე ზაიმანოტი — ეთიოპიის პატრიარქი, მაღალღირსი ტინ ტრიტუ — ვიეტნამელ ბუდისტთა მეთაური, ეპისკოპოსი ალბრეჰტ შიონჰერი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ევანგელისტური ეკლესიის კავშირი, მთავარეპისკოპოსი მიკო იუვა — ფინეთის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის პრიმასი. კონფერენციის საპატიო სტუმარი ბრძანდებოდა მაღალღირსი ბილი გრეკში, გამოჩენილი ამერიკელი ევანგელისტი, რომელიც მოხსენებთაც გამოვიდა.

კონფერენცია გახსნა საერთაშორისო მოსამზადებელი კონფერენციის თავმჯდომარემ, მინსკისა და ბელორუსიის მიტროპოლიტმა ფილარეტმა.

მისასალმებელ სიტყვაში მისმა უწმიდესობამ, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა პიმენმა თქვა: „ძვირფასო ძმებო და დებო! ჩვენ კარგად გვესმის რელიგიის მაღალი დანიშნულება, მისი მოწოდება. ამიტომაც ვეძებთ თანამედროვე კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთ ჰუმანიტარულ სასიცოცხლო გზას... ჩვენს მუშაობაში შევეცდებით, ერთსულოვნად განვხაზვდეთ და განვსაჯოთ ის დაბრკოლებები, რომლებიც გზას უზშობელ და დაღუპვით ემუქრებიან დედამიწის მშვიდობას, კაცობრიობის სიცოცხლეს. უნდა მოვებნოთ მისი გადამლახავი გზები. ვისარგებლოთ ამ შეხვედრით და მთელ მსოფლიოს ვამცნოთ რელიგიის მოღვაწეთა ერთიანი მისწრაფება მშვიდობისა და კაცობრიობის კეთილდღეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ა. კუროვლოვმა წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის მისალმება კონფერენციის მონაწილეებისადმი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსკოვის საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა ვ. ვახრუშევმა წაიკითხა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პერეს დე კუელიარასის მისალმება, რომელშიც გამოთქმული იყო შემოფოთება ევროპის ქვეყნების განუწყვეტელი შეიარაღების გამო. პერეს დე კუელიარასმა მაღალი შეფასება მისცა რელიგიის მოღვაწეთა, კერძოდ, მიმდინარე კონფერენციის მონაწილეთა გაერთიანებული ერებისადმი მხარდაჭერას საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

მსოფლიო მშვიდობის საბჭოს სახელით საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებს მიესალმა მისი პრეზიდენტი რო-

მეშ ჩანდრა, ზოლო მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის სახელით მისი თავმჯდომარე გ. შუკოვი.

კონფერენციამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მიიღო გამოჩენილ რელიგიურ ხელმძღვანელთა, მორწმუნეთა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა მისალმებები.

დისკუსიის მსვლელობის დროს თემაზე: „საღვთისმეტყველო და სასულიერო ასპექტები მსოფლიოს რელიგიების სამშვიდობო მოღვაწეობაში და რელიგიის წარმომადგენელთა ამოცანები ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების საქმეში“ — გამოსული მომხსენებლები თავიანთ დამოკიდებულებებს გამოხატავდნენ მშვიდობისა და განიარაღების საკითხისადმი.

პირველი ქვეთემის — „გამაღებული შეიარაღებისა და ბირთვული ომის კატასტროფული შედეგების“ გარშემო მომხსენებლები შემოფოთებით ლაპარაკობდნენ იმ მოსალოდნელ საშიშროებაზე, რომელსაც შეუძლია მოსპოს კაცობრიობა, დაღუპოს ცივილიზაცია და, საერთოდ, მთლიანად აღგავოს სიცოცხლე დედამიწაზე.

მეორე ქვეთემის — „ბირთვული ომის ახალი დოქტრინები“ — განხილვის დროს საუბარი მიმდინარეობდა იმ შედეგებზე, რომელიც შესაძლებელია მოჰყვეს „შეზღუდულ ატომურ ომს“.

მესამე ქვეთემა ეხებოდა საკითხს: „ბირთვული განიარაღების გადაუდებელი ამოცანები“. კონფერენციის მონაწილეებმა ბევრი პრაქტიკული წინადადება მოისმინეს იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიონ განიარაღებას, განსაკუთრებით ატომურ განიარაღებას.

მეოთხე ქვეთემა ასე დასათაურდა: „მუშაობის შეუსვენებელივ გაგრძელება ჩვენი საარსებო ამოცანა“.

კონფერენციამ მიიღო სამი დასკვნითი დოკუმენტი: „მიმართვა ყველა რელიგიის ხელმძღვანელთა და მიმღევართადმი“, „მიმართვა მსოფლიოს ყველა მთავრობას“ და „მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე საგანგებო სესიას — განიარაღება — 1982“.

საპასუხო მიმართვა გაეგზავნა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ტიხონოვს. მიმართვაში გამოთქმულია მაღლობა საბჭოთა მთავრობისადმი იმის გამო, რომ კონფერენციას ყველა სასურველი პირობა ჰქონდა შექმნილი მუშაობისათვის.

მსოფლიო კონფერენციის მონაწილენი კრემლში მიიღო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ფ. ვატჩენკომ.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭომ ფორუმის მონაწილეთა პატივსაცემად მოაწყო მიღება, სადაც მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ა. კუროვლოვი. კონფერენციის დასასრულს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა პიმენმა მოაწყო დიდი საზეიმო მიღება.

კონფერენციის მუშაობისა და მისი დასრულების შემდეგ ეწყობოდა პრესკონფერენციები მრავალრიცხოვან საბჭოთა თუ უცხოელ ჟურნალისტებთან.

ფორუმის დელეგატებმა მონაწილეობა მიიღეს წირვა-ლოცვებში.



## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მისაწავადგები სიყვავი მსოფლიო კონფერენციის მონაწილეობისადმი

ძვირფასო დელეგატებო და მსოფლიო კონფერენციის სტუმრებო!

გულითადად მოგესალმებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით, იმ ეკლესიისა და იმ ხალხის სახელით, რომელმაც საკუთარი გამოცდილებით იცის მშვიდობისა და ომის ფასი, რომელიც პატრიოსნად შრომობს და შეაქვს თავისი წვლილი მშვიდობის შენარჩუნებისა და სამართლიანობის საქმეში. ბიბლიაში ვკითხულობთ შესანიშნავ სიტყვებს: „აღდეგ უკუე და ქმენ და უფალი შენთანა“ (I პრაღ. 22, 16). ეს სიტყვები წარმოსთქვა წმიდა დავით წინასწარმეტყველმა თავისი ყოვლადბრძენი ვაჟის — სოლომონისადმი, როდესაც მას ანდერძად ღვთის ტაძრის აგება დაუტოვა.

ჩვენ, მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს, რომელთათვისაც მამოძრავებელ საწყისს წარმოადგენს სიყვარული ადამიანისადმი და, აქედან გამომდინარე, ზრუნვა დედამიწაზე მშვიდობისა და სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, გვსურს, ღვთის შეწევნით, ავაშენოთ შენობა მშვიდობისა, შენობა ხალხთა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი და სამართლიანი ურთიერთობისა. შევძლებთ კი მის აგებას? შევძლებთ, თუ შევქმნით წმიდა სამკუთხედს — ღმერთს, ადამიანსა და მსოფლიოს შორის მშვიდობიან ურთიერთობას. მხოლოდ ურთიერთმომინება და სიყვარული დაგვეხმარება ამ საქმეში. ყოვლად ბრძენმა სოლომონმავე, რომელსაც ჰქონდა დავალებული ღვთის სახლის აგება, წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „სჯობს სტუმრობა მხლითა, სიყვარულითა და მაღლითა, ვიდრეა წინა დადგმასა ზუარაკისასა თანა მტერობითა“ (იგავები 15, 17). უზენაესის ნების გარეშე არაფერი ხდება. არც ჩვენ შევკრებილვართ აქ უზენაესის ნების გარეშე. დღეს ჩვენ შეშფოთებით ვადევნებთ თვალს დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნების საფრთხეს, რომელსაც შეიცავს გამალებული შეიარაღების

განუწყვეტელი ესკალაცია. მასშტაბურად სულ უფრო და უფრო იზრდება მასობრივი განადგურების ახალი თვისობრივი საშუალებები. შეიარაღებამ მიაღწია ისეთ დონეს, რომ გამომთვლელი მანქანის შემთხვევითი შეცდომის გამო იგი შეიძლება აღარ დაეკვემდებაროს ადამიანის ნებას.

ახლანდელი ნებისმიერი ლოკალური კონფლიქტი შეიძლება გადაიზარდოს გლობალურში. დღეს თითოეული სახელმწიფო სხვა ქვეყნებთან დაკავშირებულია პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული და სხვა ურთიერთობებით, დაკავშირებულია მრავალგვარი მოლაპარაკებებითა და ვალდებულებებით, რომელთაც კონფლიქტის დროს შეიძლება ღრმა ზანიათის სავალალო შედეგები მოჰყვეს.

ამასთან ერთად, ჩვენ ვხედავთ დიდ დადებით ძვრებსაც მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, ვხედავთ საომარ მოქმედებათა საწინააღმდეგო მოძრაობის მზარდ მალასაც ბევრ ქვეყანაში. ვხედავთ ამ ძალების გააქტიურებას ისეთ სახელმწიფოებშიც, სადაც ომის საწინააღმდეგო მოძრაობა შესუსტებული იყო.

ეს კონფერენცია ჩვენი დროის დიდი და მტკადა პოზიტიური მოვლენაა და მე მაღლობას ვუხდი მის უწმიდესობას, სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქს, პიმენს, მისი მოწვევისათვის. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს კონფერენციას სასურველი შედეგი მოჰყვება, თუ შევძლებთ მის მიტანას ჩვენი მორწმუნეების ცნობიერებამდე. კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას ამ დიდ და ღვთივსათნო წამოწყებას და გისურვებთ წარმატებებს სამშვიდობო საქმიანობაში. დღეს კაცობრიობას სწევურია სამართლიანობა და ადამიანური ღირსების აღდგენა. შევამცირით ომის საშიშროება და შევქმნათ უკეთესი პირობები მშვიდობისათვის — ესაა ჩვენი წმიდა ვალი მსოფლიოს წინაშე. შეგვეწიოს ღმერთი!



წმ. ნიკოლოზ სასწაულომოქმედი



ათონის ზარები



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის ნ. ა. ტინოროვის მისალმება

მსოფლიო კონფერენციის მონაწილეებს —

მსოფლიო რელიგიის მოღვაწენი ბირთვული  
საშიშროების წინააღმდეგ

საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით მივესალმები რელიგიის მოღვაწეთა მსოფლიო კონფერენციას.

თქვენი ფორუმი, მიძღვნილი თანამედროვეობის ყველაზე აქტუალური პრობლემისადმი — ბირთვული ომისაგან კაცობრიობის სიცოცხლის გადარჩენისათვის, შეიკრიბა მღელვარე პერიოდში. „ცივი ომის“ ქომაგი ყოველნაირად აღვივებენ ომის ისტერიას, თავს გვახვევენ გამალებულ შეიარაღებას, აშკარად ლაპარაკობენ შეზღუდული ატომური ომის შესაძლებლობასა და ატომგულის იარაღით პირველი დარტყმის მოყენებაზე. ისინი არღვევენ სახელმწიფოთა შორის ნორმალურ ურთიერთობებს, აღვივებენ მტრობასა და სიძულვილს ხალხებს შორის.

ამ დღეებში, ისე, როგორც არასდროს, საჭიროა ჩვენი პლანეტის ყველა მცხოვრებმა, მორწმუნემ თუ არა მორწმუნემ, ღრმად შეიგნოს პირადი პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნებისა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის პრინციპების საფუძველზე.

„საჭიროა ახლა, დღესვე, — ამბობდა ჩვენი სახელმწიფოს მეთაური ლ. ი. ბრეჟნევი — გაკეთდეს ყველაფერი, რათა გზა გადავუღოთ განუწყვეტელი შეიარაღებისა და საომარი ავანტიურების მოყვარეებს. უნდა გაკეთდეს ყველაფერი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის სიცოცხლის უფლება. ამ საქმეს არ შეიძლება ვინმე უცხოოდ და გულგრილად მოეკიდოს: იგი ეხება ყველას და თითოეულს“.

ყოველივე ეს სულ უკეთ და უკეთ ესმით სავსებით სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და თვალსაზრისის მილიონობით ადამიანს. სულ უფრო მეტი ადამიანი ღებულობს აქტიურ მონაწილეობას ომის საწინააღმდეგო მასობრივ გამოსვლებში, რამაც უკვე უპრეცედენტო გაქანება მიიღო.

ამის ნათელი დადასტურებაა თქვენი კონფერენცია, რომელსაც მსოფლიოს თითქმის ასი სახელმწიფოს ყველა ძირითადი რელიგიისა და რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებიან. მათი სამშვიდობო მოღვაწეობა არის მშვიდობისმოყვარე ძალების საერთო ბრძოლაში შეტანილი წვლილი.

საბჭოთა სახელმწიფომ, რომელიც ერთგულია მშვიდობის ლენინური პრინციპებისა და რომელიც თავისი სამოცდათხუთმეტწლიანი ისტორიის მანძილზე თანმიმდევრულად გამოდის ომის წინააღმდეგ, ამ რთულ ვითარებაში წამოაყენა საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღების, დაძაბულობის შენელების, მსოფლიო კატასტროფის თავიდან აცილების კონსტრუქტიული წინადადებების კომპლექსი. საბჭოთა სახელმწიფო ღრმა მოწინებითა და სასოებით ეკიდება თქვენს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ მაღალ შეფასებას აძლევს თქვენი ფორუმის კეთილშობილ იდეებსა და მიზნებს.

ვისურვებთ წარმატებებს კონფერენციის მუშაობაში.

**ნ. ტინოროვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე



29 იანვარს (11 თებერვალი) მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი ილია II, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდიენის, ფილიპ პოტერის მიწვევით აწ 2-6 (15-19) თებერვალს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამგზავრა შევიცარიაში, ქენევაში, ჯონ კნოვის ცენტრში. მის უწმიდესობას თან ახლდნენ: ბოდბელი ეპისკოპოსი ათანასე (ჩახვაშვილი) და საპატრიარქოს საგარეო განყოფილების მდივანი ბორის გაგუა.

მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ქ. თბილისის აეროპორტში გააცილეს: მალაყოფლადუსამღვდელოესმა — მანგლელმა მთავარეპისკოპოსმა თადეოზმა (იორამაშვილი), მალაყოფლადუსამღვდელოესმა — ურბნელმა მთავარეპისკოპოსმა კონსტანტინემ (მელიქიძე), მალაყოფლადუსამღვდელოესმა — ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა დავითმა (ჭკადლა), ყოვლადუსამღვდელოესმა — ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსმა ანანიამ (ჯაფარიძე), სიონის საკათედრო ტაძრის პროტორესვიტერმა — გურამ შალამბერიძემ, დეკანოზმა — ბენიამინ ახვლედიანმა, მღვდელმა — ზურაბ სირამემ, პროტოდაიკონმა — ღვთისო შალიკაშვილმა. გასაცილებლად მოვიდნენ რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის მუშაკები: ილია რურუა (რწმუნებულის მოადგილე) და ოთარ ჯაში.

2-6 (15-19) თებერვალს ქენევაში გაიმართა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომა მიმდინარეობდა ჯონ კნოვის ცენტრში და დაყოფილი იყო ხუთ ძირითად სესიად.

იგი გაიხსნა 2 (15) თებერვალს ეკუმენურ ცენტრში. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა, ფილიპ პოტერმა წაითხა მოხსენება საბჭოს მიერ ჩა-

ტარებული მუშაობის შესახებ, 1981 წლის აგვისტოს ცენტრალური კომიტეტის სხდომიდან დაწყებული, დღემდე.

სხდომის პირველი სესია შეეხო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს VI ასამბლეის მოსამზადებელ მუშაობას, რომელიც ჩატარდება 1983 წლის ზაფხულში ვანკუვერში (კანადა).

4 (16) თებერვალს ჩატარდა სხდომის მეორე სესია, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენებები ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პროგრამული ქვეკომიტეტებისა. მოხსენებები შეეხებოდა შემდეგ თემებს:

- „რწმენა და კანონზომიერება“.
- „ბირთვული განიარაღების საკითხის აქტუალობა“.
- „ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან“.
- „სამართალი და მსახურება“.
- „ნათლობა, ევქარისტია და მსახურება“.
- „მსოფლიოს პოლიტიკური ეთიკა“.

ეს საკითხები მწვავედ იყო დასმული ადრეც, 1981 წლის ნოემბერში ამსტერდამში (ჰოლანდია).

თემა — „პოლიტიკური ეთიკა მსოფლიოში“ — მოიცავდა პოლიტიკური სიტუაციის განხილვას ცენტრალურ ამერიკაში, კერძოდ, სალვადორსა და გვატემალაში მომხდარ ამბებს და პოლიტიკურ მდგომარეობას სუდანში, ეთიოპიაში, ეგვიპტეში. განიხილეს ქვეკომიტეტების მოხსენებები, რომელთა წევრებიც ესტუმრნენ ამ ქვეყნებს და ადგილზევე შეისწავლეს არსებული პოლიტიკური სიტუაცია, ეკლესიებისა და ქრისტიანების მდგომარეობა.

4 (17) თებერვალს III სესიაზე გაგრძელდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პროგრამული ქვეკომიტეტებისა და მათ მიერ წარმოდგენილი თემების განხილვა.

5 (18) თებერვალს IV სესიაზე წაკითხული მოხსენებები ეხებოდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ახალ წევრ-ეკლესიების მიღების საკითხებს, ცვლილებებს ეკლესიათა

მსოფლიო საბჭოს შტატში და საფინანსო კომიტეტის მოხსენებას გასული და მომავალი წლების ბიუჯეტის შესახებ.

6 (19) თებერვალს ჩატარდა V დასკვნითი სესია, რომელზედაც დასახა მომავალი მუშაობის გეგმა, შემუშავდა პროგრამა. დადგინდა: — სხდომა მოიწვიონ მიმდინარე წლის ივლისში ქენევაში (შვეიცარია). დასკვნითი სესია დამთავრდა საერთო ლოცვით ეკუმენურ ცენტრში.

აღმასკომის სხდომას, როგორც მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტი, ესწრებოდა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II.

ილია II აქტიური მონაწილეობა მიიღო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობაში და რამდენჯერმე გამოვიდა სიტყვით სხვადასხვა საკითხის შეფასებისა და შენიშვნა-შესწორებების მიზნით.

ქენევაში ყოფნის დროს უწმიდესი და უნეტარესი ილია II და მისი თანმხლები პირნი სარგებლობდნენ მსოფლიო საპატრიარქის სტუმართმოყვარეობით. ისინი მიწვეულნი იყვნენ მსოფლიო პატრიარქის, მისი ყოვლადუწმიდესობის, დიმიტრიოს I ცენტრში — შამბეზში, სადაც მათ მასპინძლობას უწევდა მართლმადიდებელი ცენტრის ხელმძღვანელი, მისი მალაყოფლადუსამღვდელოესობა, ტრანუპოლისის მიტროპოლიტი დამასკინოსი.

1 (14) თებერვალს, შამბეზში, მართლმადიდებელი ცენტრის ეკლესიაში აღსრულებულ იქნა სადღესასწაულო-საღმრთო ლიტურგია მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის, ილია II ქენევაში ჩამოსვლასთან დაკავშირებით. წირვის შემდეგ მისმა მალაყოფლადუსამღვდელოესობამ დამასკინოსმა და მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II სიტყვა, წარმოთქმული მსოფლიო

პატრიარქის ცენტრის ტაძარში, ჟენევაში

თქვენო მალაყოვლადუსამღვდელოესობაჲ, ტრანუპოლის მიტროპოლიტო დამასკინოს, ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო და დანო!

გულითადად მოგესალმებით საქართველოს საპატრიარქოს სახელით და გამოვთქვამ დიდ სიხარულს იმის გამო, რომ მე და ჩემი თანმხლები პირები: მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, ბოდბელი ეპისკოპოსი ათანასე და ბ-ნი ბორის გაგუა, ვიმყოფებით მსოფლიოს საპატრიარქოს ცენტრში. ჩვენ ჩამოვედით ჟენევაში, რათა მონაწილეობა მივიღოთ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე. ამავე დროს, ჩვენ ვსარგებლობთ მსოფლიო საპატრიარქოს სტუმართმოყვარეობით. ეს არ არის ჩემი პირველი ვიზიტი ეკუმენურ ცენტრში. ჩვენ მუდამ ვგრძნობდით თქვენს გულთბილობას და დიდ სტუმართმოყვარეობას. ჩვენ ვეწვიეთ ეკუმენურ ცენტრს, როგორც მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენლობას, რათა კიდევ ერთხელ გამოვხატოთ პატივისცემა მისი

ყოვლადუწმიდესობის, მსოფლიო პატრიარქის დიმიტრიოს I მიმართ. ჩვენ ორ, ისტორიულ და სამოციქულო ეკლესიას შორის ძმური ურთიერთობა და თანამშრომლობა არ დაწყებულა გუშინ, ან დღეს. ამ ურთიერთობას აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ტრადიციები. ქართველმა ერმა და ეკლესიამ ბევრი რამ მიიღო ბიზანტიიდან, მაგრამ, ამავე დროს, ბიზანტიაც გაეცნო მაღალ ქართულ კულტურას და ხელოვნებას. ჩვენს შორის კავშირი, განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მე მქონდა ბედნიერება, ვწვეოდი მის უწმიდესობას დიმიტრიოს I კონსტანტინეპოლში. ჩვენი ეკლესია ამჟამად განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება. ჩვენ დღეს განსაკუთრებით ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ღვთისა და ერის წინაშე. განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ ახალგაზრდობის წინაშე. რას მივცემთ ეკლესიაში მოსულ ხალხს, შეგვეძლება თუ არა პასუხის გაცემა ყველა იმ კითხვაზე, რომ-

ლითაც დაინტერესებულნი არიან. თუ ჩვენ შევძლებთ პასუხის გაცემას, ისინი დარჩებიან ეკლესიაში, თუ ვერ ვუპასუხებთ — ისინი წავლენ. დღევანდელი სახარებაჲ ამ საკითხს ეხება. იგავი უძღვები შვილისა არის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ კაცობრიობის ნაწილი დატოვებს ეკლესიას, ღმერთს და მოისურვებს თავისი ბედნიერების შექმნას სარწმუნოების გარეშე. მაგრამ შემდეგ შეიტყობენ, რომ მათი ყოფიერი ცხოვრება, ის მონაგარი, რომლისაკენაც მისწრაფვიან, სრულიად ვერ აკმაყოფილებს ადამიანს და კვლავ დაუბრუნდებიან ეკლესიას. დღეს ჩვენ ვართ ამ დაბრუნების პროცესის მოწმენი.

შევთხოვთ უფალს, უფრო მეტად განმტკიცდეს ძმური ურთიერთობა და თანამშრომლობა ჩვენს ორ უძველეს ეკლესიას შორის.

თქვენ, თქვენო მალაყოვლადუსამღვდელოესობაჲ, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდ ენერჯიას. ჩვენთან არს ღმერთი.

1981 წლის 2—8 (15—21) სექტემბერს ზაგორსკში შედგა მართლმადიდებლურ-ძველკათოლიკური შერეული თეოლოგიური კომისიის IV საერთო კრება.

კრებას ხელმძღვანელობდნენ მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენელი, ტრანუპოლის მიტროპოლიტი დამასკინოსი და შევიცარიის ქრისტიანულ-კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსი ლეონ გოტიე. მასში მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა მართლმადიდებელი და ძველკათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებმა.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა პიმენმა თავის რეზიდენციაში მიიღო კომისიის წევრები.

კრებაზე, რომელიც ყოველდღე, შენაცვლებით, მართლმადიდებლური და ძველკათოლიკური ლოცვებით იწყებოდა, განიხილეს ოთხი საერთო თემა. თემები შეეხებოდა მოძღვრებას ეკლესიის შესახებ: 1. ეკლესიის ავტორიტეტი, 2. ეკლესიის უცოდველობა, 3. საეკლესიო კრებები, 4. სამოციქულო მემკვიდრეობის აუცილებლობა.

გადაწყდა: შემდეგი ასეთივე შერეული თეორიული კომისიის საერთო კრება შედგეს ორი წლის შემდეგ.

საქართველოს საპატრიარქოდან კრებაში მონაწილეობა მიიღეს ჭყონდიდელმა და ლეჩხუმ-სვანეთის მთავარეპისკოპოსმა იოანემ (ანანიაველი) და ახალციხისა და სამცხე-

ჯავახეთის ეპისკოპოსმა ანანიამ (ჯაფარიძე).

6 (19) სექტემბერს მოსკოვის საპატრიარქო ტაძარში ჩატარდა წირვა. მწირველი ბრძანდებოდა მისი უწმიდესობა, პატრიარქი პიმენი, თანამწირველნი იყვნენ მართლმადიდებელი სტუმრები. უწმიდესი პიმენის ლოცვა-კურთხევით, იმ დღეს ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა იოანემ სწირა წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა სახელობის მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობის განყოფილების ტაძარში — ლეფორტოვეში. თანამწირველნი იყვნენ ზარაიის ეპისკოპოსი იობი, არგენტინისა და სამხრეთ ამერიკის ეპისკოპოსი ლაზარე და ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსი ანანია.



28 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე (11—14 დეკემბერი) ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელმა ეკლესიამ იზე-  
იმა ავტოკეფალიის მიღებიდან 30 წლისთავი. ზეიმში მონაწილეობა მი-  
იღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკლესიათა დელეგატებმა. მათ შო-  
რის იმყოფებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარ-  
მომადგენლები — ჭყონდიდელი და ლეჩხუმ-სვანეთის მთავარეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი) და ნიკორ-  
წმიდელი და აგარაკ-წალკელი ეპის-  
კოპოსი ამბროსი (ქათამაძე).

29 ნოემბერს (12 დეკემბერი) პრა-  
ღის სასტუმრო „ინტერნაციონალ-  
ში“, სადაც დაბინავებული იყვნენ სტუმრები, გაიმართა საზეიმო სხდო-  
მა. მას წინ უძღოდა სამადლობელი პარაკლისი, რომელიც გადაიხადა უნეტარესმა დოროთემ. ვრცელი

მოსვენება თემაზე — „ღირსშესა-  
ნიშნავი წლისთავი მართლმადიდებე-  
ლი ეკლესიისა ჩეხოსლოვაკიაში“, —  
წაიკითხა ჩეხოსლოვაკიის მართლმა-  
დიდებელი ეკლესიის კანცლერმა,  
დეკანოზმა, დოქტორმა იაროსლავ  
შუფარსკიმ. მისასალმებელი სიტყვე-  
ებით გამოვიდნენ: ჩეხოსლოვაკიის  
კულტურის მინისტრი, დოქტორი მი-  
ლან კლუსაკი, მშვიდობის დაცვის  
ჩეხოსლოვაკიის კომიტეტის თავ-  
მჯდომარე, ავადემიკოსი, დოქტორი,  
პროფესორი ბედრიხ შვესტკა, მართ-  
ლმადიდებელ და სხვადასხვა საეკ-  
ლესიო ორგანიზაციათა და არა-  
მართლმადიდებელ ეკლესიათა წარ-  
მომადგენლები. ბატონმა ბედრიხ  
შვესტკამ უნეტარესი დოროთე და-  
აჯილდოვა მედლით „მშვიდობის  
მტრედი“. სხდომაზე მისასალმებელი  
სიტყვა წარმოთქვა ჭყონდიდელმა  
მთავარეპისკოპოსმა იოანემ.

იმავე დღეს, 17 საათზე სტუმარ-  
მასპინძლებმა ილოცეს „მწუხრი“ და  
„ცისკარი“ პრაღის სამიტროპოლიტო  
ტაძარში.

30 ნოემბერს (13 დეკემბერს) დი-  
ლით ყველამ — მართლმადიდებელ-  
მა სტუმრებმა და მასპინძლებმა სწი-  
რეს პრაღის სამიტროპოლიტო ტა-  
ძარში. წირვის შემდეგ მოსკოვისა  
და სრულიად რუსეთის პატრიარქმა,  
უწმიდესმა პიმენმა უნეტარესი დო-  
როთე, ჩეხოსლოვაკიის ეპისკოპოსე-  
ბი, სამღვდლოება და ზოგი საერო-  
ნი დააჯილდოვა წმიდა სერგის ორ-  
დენით.

იმავე დღეს რუსეთისა და საქარ-  
თველოს ეკლესიათა წარმომადგენ-  
ლებმა ყვავილების გვირგვინით შე-  
ამკეს ჩეხოსლოვაკიის განთავისუფ-  
ლებისათვის დაცემული საბჭოთა მე-  
ომრების საფლავები ოლშანსკის სა-  
საფლაოზე.



მარცხნივ — მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი, მარჯვნივ —  
უნეტარესი დოროთე.  
ზეიმის მონაწილეთა შორისაა ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე)

**მთავარეპისკოპოს იოანეს  
სიტყვა წარმოთქმული  
საზეიმო სხდომაზე**

თქვენო უნეტარესობავ, უნეტარესო დოროთე, პრადისა და სრულიად ჩეხოსლოვაკიის მიტროპოლიტი!

დღეს თქვენი წმიდა ეკლესია აღნიშნავს საიუბილეო წელს, 30 წლისთავს, ავტოკეფალიის მიღებიდან რუსეთის წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიისაგან. ამ საერთო სიხარულმა მოგვიყვანა დღეს თქვენთან, რათა გამოვთქვათ ჩვენი ძმური გრძნობები და წრფელი სურვილები.

ზეიმის დღე, ეს ხომ დღეა შეჯამებისა ქრისტიანობის ათასწლოვანზე მეტი გზისა ამ კურთხეულ მიწაზე. მას შემდეგ, რაც ნათელი ჭეშმარიტებისა მორავიაში მოიტანეს მოციქულთაწორმა ძმებმა კირილემ და მეთოდემ, ქრისტეს ნათელი არ ტოვებს მას. ინახებოდა რა იგი ყველა მართლმორწმუნის გულში და ვარსკვლავებზე გამოზრწყინდებოდა ღვთის ისეთ დიდ მოღვაწეთა სახით, რომელნი არიან: წმ. იოანე ჩეხი, წმ. დედოფალი ლუდმილა, თავადი ვაცლავი, დიდი მოღვაწე პროკოფი საზაველი და სხვანი, ასევე, მოწამე ეპისკოპოსი გორაზდი, — შრომითა და სისხლითა თვისითა განმახლებელი ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელი ეკლესიისა. და აი, შემდგომად ხანგრძლივ და მძიმე დროთა, თქვენმა წმიდა ეკლესიამ მიიღო ავტოკეფალია — სისრულე ქრისტეს ეკლესიისა.

მოვედით ჩვენ მლოცველნი, რათა გავიზიაროთ ძმების სიხარული. ჩვენი ეკლესია, უკვე თითქმის ორი ათასი წელია, ატარებს ქრისტეს ჯვარს.

ეკლესია, რომელიც სავსებით იცავს მართლმადიდებლობას მთელი ამ ხნის განმავლობაში, ეკლესიაა მოწამეთა, ეკლესიაა მოწამე. (ეს სრულებით არ არის გადამეტება). ჩვენ ვიცით ფასი მართალი, ქრისტესთვის დაღვრილი სისხლისა, ფასი ისეთ დიდ მოწამეთა, როგორებიცაა დედოფალი შუშანიკი (V საუკ.), აბო ტფილელი (VIII საუკ.), 100.000 მოწამე, ამოწყვეტილი ხვარაზმშაპ ჯალალედინის მიერ თბილისში (XIII საუკ.), 6.000 ბერი, ამოწყვეტილი შაპ აბასის მიერ აღდგომა დღეს გარეჯის მონასტერში (XVII საუკ.) და მრავალი სხვა... მე აღარ განვაგრძობ ამ ძლევამოსილ მარტიროლოგიას ათასთა და ათასთა, რომელთაც თვისი სისხლი რწმენისა და მამულისათვის დაღვარეს.

როგორც ყოველი ეკლესია, ასევე ჩვენიც, სულიერად აშენებულია მის ღირს მამათა შრომებით, რომელნი მოღვაწეობდნენ ეგვიპტიდან ათონამდე მართლმადიდებლური ბერობის ყოველ საუკუნეში, ვიდრე დღემდე. ეს სულიერი ეკლესია, რომელიც ხილულად ჩანს წმიდა ხატებში, ხელნაწერებსა და დიდებულ ტაძრებში, აღამაღლებს ღვთისადმი ყველა თაობის აღამიანთა გრძნობებს.

ამ ეკლესიიდან, მისი მამამთავრისაგან — უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ **ილია II**, მოგიტანეთ ჩვენ სიტყვანი მშვიდობისანი, ნიშანი სიყვარულისა. ჩვენ თქვენთან, ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანთან ერთად ვივლით ქრისტეს გზით და, მსასობებლნი


მისნი, ვიმედოვნებთ ერთად შევიდეთ ზეციურ ქალაქ იერუსალიმში.


მსურს გისურვოთ თქვენ, თქვენო უნეტარესობავ, უნეტარესო დოროთე, მრავალყამიერი ჯანმრთელობა, ყველა საზრუნავთა მშვიდობიანი წარმართვა, მიწიერთა და ზეციურთა, ჩეხოსლოვაკიის ეკლესიისა, რათა მსგავსად მაცხოვრისა ჩვენისა, ვითარცა მწყემსმან კეთილმან, დაიცვათ თქვენდამი რწმუნებულნი სულნი და წარუძღვეთ მათ სანატრელსა მას სავანესა მამისასა.

ვეგრძნობ რა ჭეშმარიტ რწმენასა და სიყვარულს, მსურს ვთქვა, რომ მხოლოდ ურთიერთდახმარებით, ზეიმით და ერთმანეთის სიხარულით უფრო მტკიცედ შევკრავთ ეკლესიების არა მარტო სულიერ, არამედ ყოფიერ საკვირველებასაც ჩვენი ხალხებისა. მხოლოდ მსგავსი ძიობა შეიძლება გახდეს გადაულახავ ზღუდელ უბედურებისა და ომებისათვის. ეს საჭიროა, გვახსოვდეს განსაკუთრებით ამჟამად, როდესაც უგუნურებაჲმან აღამიანი-სამან, ჩვენთა ცოდვათა გამო, მიიყვანა იგი გლობალური საშიშროების ზღვარზე. მაგრამ ვიქონიოთ სასოება უფალზე, შემოქმედზე ცათა და ქვეყანისა, ვილოცოთ, რათა გარდამოგვივლინოს მან ჭეშმარიტი მშვიდობა ეკლესიებსა და ხალხებს ჩეხოსლოვაკიისა, ევროპისა და მთელი მსოფლიოსი.

„ღიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნობა“.

მრავალყამიერი!





გრემი. XVI ს.

## ღვაწლნი და საქმენი

ამა წლის 19-20 მარტს (1-2 აპრილს), უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ნებით მოსკოვში შესდგა რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა დიალოგი, რომელიც მიემდგვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს.

საქართველოს ეკლესიის დელეგაციაში შედიოდნენ: მაღალყოვლადუსამღვდელოესი ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი ნიკოლოზი (მახარაძე), მაღალყოვლადუსამღვდელოესი, ჭყონდიდელი, ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის მთავარეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი), მაღალყოვლადუსამღვდელოესი ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა) და თბილისის სიონის ტაძრის პროტოპრესვიტერი გურამ შალაბერიძე.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან დიალოგს ესწრებოდნენ: რუსეთის ეკლესიის საგარეო ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარე, მინსკისა და ბელორუსიის მიტროპოლიტი ფილარეტი; კრუტიისა და კოლომენის მიტროპოლიტი იუვენალი; დეკანოზი იოანე ბელეცკევი — ლენინგრადის სასულიერო აკადემიის პროფესორი; ა. ს. ბუევსკი — საგარეო ურთიერთობის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, კ. ე. სკურატი — მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორი, ვ. ა. ნიკიტინი — „უზუნალ მოსკოვსკოი პატრიარხის“ საღვთისმეტყველო განყოფილების ლიტერატურული რედაქტორი; გ. ნ. სკობეი — საგარეო ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

დიალოგი გაიმართა მოსკოვის გარეუბანში, საპატრიარქო საგარეო განყოფილების აგარაკზე — სერებრიანი ბორში.

წაიკითხეს პროფესორ ბ. ლომინაძის ნაშრომი — „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფა-

ლია“. ერთხმად აღინიშნა, რომ ბ. ლომინაძის ნაშრომი უნდა დაეგზავნოს მსოფლიოს საპატრიარქოებს, საკითხის განხილვისა და შესწავლის მიზნით, რათა ქართული ეკლესიისათვის ეგზომ მტკიცეული საკითხი გაირკვეს და მას საბოლოოდ მიეკუთვნოს თავისი წილხვედრი ისტორიული ადგილი.

საერთო აზრი ჩამოყალიბდა შემდეგ საკითხებზე:

1. საქართველოს ეკლესია არის საპატრიარქო და ამის შესაბამისად მისი მეთაურია კათოლიკოს-პატრიარქი.

2. სხვა ეკლესიებმა უნდა სცნონ, რომ საქართველოს ეკლესია სათავეს იღებს პირველივე საუკუნიდან. იგი ოფიციალურად აღიარებულია IV საუკუნის პირველი ნახევრიდან. ავტოკეფალურია V საუკუნის მეორე ნახევრიდან. საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო ანტიოქიის ეკლესიისაგან.

3. საქართველოს ეკლესიის მეთაურს უნდა მიმართონ ისე, როგორც ისტორიულადაა მიღებული: „უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი“.

საუბრის დროს აღიძრა მთელი რიგი კითხვები, რომელზედაც პასუხი ვასცა მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა. ეს კითხვებია: თანამედროვე ეტაპზე რა ურთიერთობა აქვს ქართულ ეკლესიას საზღვარგარეთის ეკლესიებთან, აგრეთვე, პარიზის წმ. ნინოს ქართულ ეკლესიასთან. დაინტერესდნენ საქართველოში მოქმედ, რეგიისტრირებულ მართლმადიდებელ ეკლესიათა რაოდენობით.

მიღებულ იქნა კომუნიკე, რომელსაც ხელი მოაწერეს: რუსეთის ეკლესიის მხრიდან — მიტროპოლიტმა ფილარეტმა და საქართველოს ეკლესიის მხრიდან — მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა.



## დეკემბი, ეკისტოლენი, მილოცვები...

მის უწმიდესობას, რომის პაპს

იოანე-პავლე II

თქვენო უწმიდესობავ, ქრისტეს მიერ ფრიად საყვარელო ძმავ!

ღმერთი განსაკუთრებულად მფარველობს რჩეულთათვის. ბოროტი უძლური და უსუსურია ღვთის წინაშე. ჩვენ აღგვაშფოთა თქვენზე თავდასხმის ფაქტმა. განსაკუთრებით აღვაკვირდით ლოცვებს თქვენი უწმიდესობისათვის, და ახლა კი დიდი სიხარულით გილოცავთ სრულ გამოჯანმრთელებას.

მინდა ვისარგებლო ამით და გაუწყოთ, რომ თქვენი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით მივიღეთ მიკროფილმები, რომელიც შეეხება საქართველოს ისტორიას, ეს არის დიდი საჩუქარი, რომლისა გამო მე ვუძღვნი თქვენს უწმიდესობას გულითად მადლობას.

ეს მიკროფილმები გამოკვადგება არა მარტო საქართველოს ეკლესიის ისტორიის გაშუქებისათვის, არამედ გამოყენებული იქნება ჩვენი ერის ისტორიულ მეცნიერებაში. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ის ძმური კავშირი და თანამშრომლობა, რაც არსებობდა რომისა და საქართველოს ეკლესიათა შორის, დღესაც გრძელდება და ფართოვდება.

გისურვებთ, თქვენო უწმიდესობავ, ჯანმრთელობას და ენერგიას დიდ საქმეთა აღსასრულებლად.

ძმური სიყვარულით გეხვევით და ვრჩები მარად თქვენი ერთგული

ილია II

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი

პირადად მის უწმიდესობასა და უნეტარესობას

ილია II

მსურს გადაგიხადოთ გულითადი მადლობა თქვენი კეთილი სურვილებისა და იმ ლოცვებისათვის, რომელიც თქვენ ჩემი ჯანმრთელობისათვის აღავლინეთ. მე ჭეშმარიტად ამაღლევა იმ ძმური სოლიდარობის სიტყვებმა, რომელიც ამოვიკითხე თქვენს 17 ივნისის წერილში. ყველაფერი ის, რაზედაც ლაპარაკია თქვენს წერილში, არის ნიშანი წმიდა ტახტისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის გაღრმავებისა, რაშიც მე ჭეშმარიტად დარწმუნებული ვარ. წმიდა წინასწარმეტყველ ილიას დღესასწაული მაძლევს შესაძლებლობას, გაუწყოთ, რომ მე ჩემს ლოცვებში მუდამ გიხსენიებთ თქვენ, თქვენს სამღვდელეობას, მრევლს და სრულიად საქართველოს.

იოანე-პავლე II

ვატიკანი



**თქვენი უფიქრობა**

მივიღე თქვენი წერილი. მოხარული ვარ, რომ მიკროფილმებმა, რომლებიც ეხება საქართველოს, ხალხთა ევანგელიზაციის კონგრეგაციიდან მშვიდობით მოაღწიეს თქვენამდე და გამოსადეგია ქართული ეკლესიისათვის.

კონგრეგაციის არქივებში, რომელსაც ფაქტიურად „ფიდეს პროპაგანდის კონგრეგაცია“ ჰქვია, არ მოიპოვება მასალები, რომლებიც XVII საუკუნეზე ადრინდელ პერიოდს ეხება. თვით კონგრეგაცია დაარსდა 1599 წელს. ამ წინა პერიოდის საარქივო მასალები ინახება ვატიკანის საიდუმლო არქივში. პროფესორმა ზურაბ გამყარადაშვილმა, რომელიც ამჟამად რომში ბრძანდება, წარმოგვიდგინა თქვენი უწმიდესობის რეკომენდაცია და გამოსთქვა ვატიკანის არქივებში დაცული მასალების შესწავლისა და მათი მიკროფილმების გადაღების სურვილი, რაზედაც დადებითი პასუხი ეუწყა. გადაღების პროცესი უკვე დასასრულს უახლოვდება. ვიმედოვნებთ, თქვენი უწმიდესობა მალე მიიღებს მათ.

მუდამ მოხარული ვიქნები გაეუწიო დახმარება თქვენს უწმიდესობას. ამისათვის მიემართავთ ყოველგვარ შესაძლებელ გზებს.

**პიერ დიუკრა**

მდივნის მოადგილე

ვატიკანი, ქრისტიანული ერთიანობის დეპარტამენტი

**ივერიის მონასტრის წმიდა მამებს.  
ათონის შთა საბარკნეთში**

ქრისტეს მიერ სიყვარულნი ძმანო, გილოცავთ ქრისტეს ბრწყინვალე პასეკის დღესასწაულს

**ქ რ ი ს ტ ე ა ლ ს დ გ ა**

ღმერთმა დალოცოს და გაამძლიეროს ივერთა მონასტერი და მკვიდრნი მას შინა. ჩვენ დიდი სიყვარულით ვიგონებთ თქვენს ვიზიტს საქართველოში.

იღვგრძელეთ და იხარეთ

**ილია II**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

**უმატარეს კათოლიკოს-პატრიარქს**

**სრულიად საქართველოსა**

**ილია II**

გულითადად გმადლობთ თქვენი საადღომო ლოცვა-კურთხევისათვის. გთხოვთ, მიიღოთ ჩვენი მდაბალი კურთხევა და ნატვრა, რომ ღმერთმა აღდგომისამ ბრწყინვალე ნათლით განანათლოს ეკლესია და ერი საქართველოსა.

ივერიის წმიდა მონასტერი  
**პარიზის აპოლონ ორანს**

**დეკანოზ ილია მელიას**

პარიზი

ქრისტეს მიერ სიყვარულით გილოცავთ თქვენ და ყველა ქართველს ქრისტეს ბრწყინვალე პასეკის დღესასწაულს.


**ქ რ ი ს ტ ე ა ლ ს დ გ ა**

ღვთიკურთხეული საქართველო ლოცულობს თქვენთვის. ღმერთმა დაგლოცოთ.

**ილია II**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი





# კვადი კეთილი

მაღლიერმა ქართველმა ერმა ალექსი ოქროპირიძეს (ალექსანდრე ეპისკოპოსს) „აღმაშენებელი“ და „ქართველთა მამა“ უწოდა. მან ეს სახელი სამშობლოს წინაშე ჭეშმარიტად დაიმსახურა. 160 წელი გავიდა მისი დაბადებიდან და 75 გარდაცვალებიდან.

„განუსვენე, უფალო, მონასა შენსა, საქართველოს ჭეშმარიტს შეილს და მოღვაწე ბერს, შიო მღვინის დიდებული ლავრის ახლად აღმაშენებელს შენს სადიდებლად მას შინა სამუდამო კრებულის დამაარსებელს და მის ნივთიერად უზრუნველ მყოფელს, საკუთარი საფასით ორივესავე ტაძრის განმანსლებელს და ყოვლის სამკაულით აღმავსებელს, წინამძღვრისა და კრებულისთვის სახლების ამშენებელს და ლავრის განამაძიდებელს ვენახებით, ბაღებით, სახნავის მიწებით, წისქვილით, სა-

მუშაო იარაღით და საქონლით, ყოვლად უსამღვდელოეს ალექსანდრეს“ — გვაუწყებს მისი ცხოვრების უკანასკნელი ფურცელი — საფლავის წარწერა.

სავალდებულოა ყველა ქართველმა იცოდეს, რომ შიო-მღვინის დიდებულ მონასტერში განისვენებს ადამიანი, „ის ცხოველმყოფელი ვარსკვლავი, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში არა თუ ოდენ ანათებდა, არამედ ყველას და ყველაფერს ანათებდა“ (კორნელი კეკელიძე).

იმის ნათელსაყოფად, თუ რა პირობებში უზღებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა ალექსანდრე ეპისკოპოსს, აღვნიშნავთ, რომ მე-19 საუკუნეში ჩვენი სამღვდელოება უძველესი ავტოკეფალური (დამოუკიდებელი) ეკლესიის ნაშთს წარმოადგენდა.

საერო სამსახურის მსგავსად, მონოზენების უმეტესობამ ზურგი შეაქცია, უღალატა თავის პირდაპირ საქმიანობას. „დღეს თუ მონოზნობის უმრავლესობას შეადგენენ უსაქმოდ ცხოვრების მოყვარენი, — შეახსენებდა კალისტრატე ცინცაძე ქართველ მრევლს ალექსანდრე ეპისკოპოსის დასაფლავების დროს, — წინათ ასე როდი იყო. წინათ მონოზნობა და საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწეობა სინონიმები იყვნენ. წინათ ქართველი თუ სტოკებდა დედას და მამას, დებსა და ძმებს, სახლ-კარს და მეზობლებს და მიდიოდა მონასტერ-უღაბნოში, იგი, ამ შემთხვევაში, თავის თავისთვის როდი ზრუნავდა, არამედ თავს სწირავდა მამულს, ვიწრო ფარგლიდან გამოდიოდა ფართო ასპარეზზედ სამუშაოდ, ხელს უწყობდა ერის განვითარებას, განსწავლას, გათვითცნობიერებას, განძლიერებას და განფაქიზებას. პატრონობდა ქვრივ-ობოლო და გლახაკ-ღაერდომილოთ, იმედს უნერგავდა გულში და ნუგეშს სცემდა ტვირთ-მძიმეთა და მასშვრალთ. ამხელდა და შეაჩვენებდა ძლიერთა ქვეყნისათა, როცა იგინი გადაუხვევდნენ ჭეშმარიტებისა და სიმართლის გზას. ამისათვის იყო, რომ სანამ ბერ-მონოზნობა თავის დანიშნულებას ემსახურებოდა და მოვალეობას ასრულებდა, — საქართველოც იზრდებოდა და ჰყვავოდა, ხოლო როცა ბერ-

მონოზნობა დაეცა, — საქართველოც დაქუცმაცდა, დანაწილდა, დაეცა...“ (ზ. ჭიჭინაძე. „სიტყვები და წერილები“... გვ. 24—25).

აი, ასეთ პირობებში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა ალექსანდრე ეპისკოპოსს.

ალექსანდრე მშობლიური ქვეყნის დაცემა-დაკნინების მთავარ მიზეზად მიიჩნევდა ეროვნული სწავლა-განათლების დაცემას.

მის სპეტაკ გულს ვერ ეკარებოდა ქვეყნიერი „ამათა ამაოება“, მიწიერი ცხოვრების სიამოვნება. მისი სული ესალბუნებოდა თავის მთავარ საფიცარს — საქართველოს.

ალექსანდრე ეპისკოპოსის წმიდა, ზნეობრივ ბუნებას, მის დაუოკებელ პიროვნებას ახასიათებდა პირდაპირობა და გამბედაობა.

ივ. კერესელიძის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ალექსანდრე ეპისკოპოსი პირდაპირ მიუთითებდა: „საკვირველია ჩვენი ქართველების საქმე, ჩვენი სთანა ახირებული ხალხი, არ ვიცე, თუ კიდევ იქნება სადმე? — ცოცხალს — მშვიერს ვკლავთ და როცა მოკვდება, მამინ კი ვკლოვობთ. ბატონებო! დროა, გავახილოთ თავლები, შევიგნოთ ჩვენი მოვალეობა, ვუშველოთ ჩვენს თავს, ჩვენს ერს საქმე ვუკეთოთ, მარტო წერა, ბეჭდვა და ლაპარაკი არ კმარა... მოღვეით და ქართველთ შეძლებულებს დაავალეთ საწყალი ქართველი ხალხის პატრონობა, მფარველობა და ქობაგობა, თორემ დმერთს გეფიცებით, დავიღუპებით, აღვიგვებით. ასე, ბატონებო!

ვისაც რით შეგიძლიათ, იმით ემსახურეთ თქვენს ქვეყანას“ (ზ. ჭიჭინაძე, „ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე“, თბ., 1903, გვ. 44).

ალექსანდრეს ყველაზე მეტად სძულდა ყალბი, „ორენა“ ადამიანი. „კაცი თავის ქვეყნის და ერის წინაშე სიყალბეს არ უნდა ემსახურებოდეს, ხარისხის მიღების გულისათვის ორ-ენა არ უნდა იყოს“-ო, ამბობდა.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო ახალი მასალებია მოცემული, 1907 წელს, ასევე ზ. ჭიჭინაძის მიერ შეკრებილ და გამოცემულ წიგნში „სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე“, რომელშიც სხვა დოკუმენტებთან ერთად დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის, კორნელი კეკელიძის, კალისტრატე ცინცაძის, ზაქარია ჩხიკვაძის, ალექსანდრე ყიფშიძის, სოფრომ მგალობლიშვილის, ნიკო ლომოურის და სხვ. სიტყვები და წერილები.

ამ დიდებული ადამიანის — ალექსანდრე ეპისკოპოსის — სამშობლოსადმი თავდადებისა და უსაზღვრო სიყვარულის ბრწყინვალე გამოხატულებაა მისი აღმშენებლობითი საქმიანობა. შეიძლება, მისი თაობის არცერთ სასულიერო პირს იმდენი არ გაუკეთებია განადგურებამდე მისულ ქართულ მონასტერთა და ეკლესიათა განახლება-აღორძინებისათვის, რამდენიც გააკეთა ალექსანდრე ეპისკოპოსმა.

„ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ — აუწყებდა ქართველ ხალხს გაზეთი „ძველი საქართველო“ — თავისი ქონების უდიდესი ნაწილი მოახმარა შიო მღვიმის მონასტრის განახლებას: ალაღვინა და ძვირფასი მხატვრობით შეამკო წმ. შიო მღვიმელის საფლავის ეკლესია და დავით აღმაშენებლის მიერ აგებული დიდებული ტაძარი, მტკვრის პირას მონასტრის საცხოვრებელი ბინები და, დასასრულ, დიდძალი თანხა უანდერძა მონასტრის მომავალში მის უზრუნველსაყოფად“. (იხ. ზ. ჭიჭინაძე, „სიტყვები და სტატიები...“ გვ. 2).

მანვე განაახლა ზედაზნის, ჯვრისა და დავით გარეჯის მონასტრები.

საერთოდ, საქართველოში არ იყო ცოტად თუ ბევრად ცნობილი ეკლესია-მონასტერი, რომელთა აღდგენა-განახლებისათვის მას არ მიეცეოდა ჯეროვანი ყურადღება და არ გაეღოს შეწირულება მათი გადარჩენის მიზნით.

ალექსანდრე ოქრობირიძე იყო ადამიანი, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე „შიოდა და არ სჭამდა, სწყუროდა და არ სვამდა, სციოდა და არ თბებოდა“, სამაგიეროდ, მთელ თავის შესაძლებლობას არ იშურებდა ქართველი ხალხისათვის, მისი სულიერი და მატერიალური კულტურის დაცვისათვის. მან, როგორც ხატოვნად მიუთითებდა კორნელი კეკელიძე, კარგად იცოდა, რომ როგორც თევზი ვერ მომრავლდებოდა უწყლოდ, ისე ღვთისმსახურება და ბერობა შეუძლებელი იყო უმონასტროდ და მიაღწია იმას, რომ ბევრ ადგილზე, სადაც მანამდე ყვაუ-ბუთა ჩხავილი ისმოდა, ყური დაატკბო ქართული საეკლესიო გალობის მომზიბლავმა ხმამ... მრავალ ტაძართა შინა კვლავ აჟღერდა ქართული საგალობლები, გაისმა ქვეყნის და ხალხის გადამრჩენელი ქადაგებანი და სწავლანი.



ალექსანდრე ეპისკოპოსი

ღრმად განათლებულმა ალექსანდრემ ისიც კარგად იცოდა, რომ წავიდა გმირობის ის ხანა, როდესაც ხმალი იცავდა ქართველთა სამკვიდროს და დადგა დრო ახალ ბრძოლისა, სადაც მთავარი ძალა უნდა დაჰფუძნებოდა სწავლა-აღზრდას, კულტურას, მეცნიერებას.

სხვა მრავალ სიკეთეთა შორის, ალექსანდრე ეპისკოპოსმა განაახლა ქ. სოხუმის ახლოს ძველი ეკლესია. იქვე, სოხუმთან, ზღვის პირას, ალაღვინა ქეთიკირის სასაფლაოს ეკლესია...

როგორც არქიმანდრიტი ამბროსი ახასიათებდა: „ღმერთმა პირველ ხანებში მას არგუნა სამსახური და მოღვაწეობა საქართველოს ამ მხარეში, ჯერ როგორც აფხაზთა შვილების აღმზრდელს, შემდეგ, როგორც მისიონერ-მესღაბეულს და, ბოლოს, როგორც მწყემს-მთავარს. ის მუდამ თავგანწირულად ემსახურებოდა აფხაზთა მოქცევის საქმეს, არ ზოგავდა საკუთარ საშუალებას შკოლათ დაარსებისათვის; თავის ხარჯით ზრდიდა აფხაზთა შვილებს და ამზადებდა მათ მღვდლობის ხარისხში სამოღვაწეოდ. მედგრად იცავდა სამღვდლოების და სამწყვსოს ინტერესებს; უხვად ეხმარებოდა ქვრივობოლოთ. მასა და სამწყვსოს შორის არსებობდა მამაშვილური კავშირი დაფუძნებული ჭეშმარიტ, ქრისტიანულ სიყვარულზე... უზომო ნდობა ჰქონდა დამსახურებული თვით მაჰმადიან აფხაზთა შორის...“ ამბროსის ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს მაგალითი: როცა 1866 წლის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ, აფხაზების უმრავლესობა

სახლდებოდა თურქეთში, ალექსანდრესთან შემოსულა, თურმე, ერთი მაჰმადიანი აფხაზი, სახელად ურუსი, თავისი თორმეტი წლის შვილით. როდესაც გამოუკითხავს ურუსისათვის მოსვლის მიზეზი, უკანასკნელს მოუხსენებია შემდეგი: „შენთან მოვედი, კეთილო მწყემსო და მამაო! მე სამუდამოდ ვეთხოვები სამშობლოს, მივიდევარ ოსმალეთში საცხოვრებლად და ჩემი ვაჟი უნდა დავსტოვო შენთან. მეტი არა გამაჩნია რა. ცოლი და შვილები ადრე დავკარგე. არ ვიცი, რა მომელის უცხო მხარეში, მაგრამ მაინც ვსტოვებ ჩემს საყვარელ შვილს და შენთან მოვიყვანე, მოწყალეო მამაო, ვიცი, მიიღებ, აღზრდი ქრისტიანულად და იქნება ბედნიერი. (ზ. ჭიჭინაძე. „სიტყვები და წერილები...“, გვ. 11-12).

ეკლესია-მონასტრების აღდგენა-შეწირულების მრავალ ფაქტთა შორის (ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია), აღსანიშნავია მის მიერ გადაღებული ხარჯები საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფის წმ. მირიანის ძეგლის ასაგებად მცხეთაში. არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისიც, რომ მან ბერებისათვის ააგო სავანეები, შიო მღვიმეში გაიყვანა გზა, მდინარე მტკვარზე გამართა ბორანი, ძეგვში დააარსებინა რკინიგზის ბაჟანი მატარებლის გასაჩერებლად.

...არც თავის სოფელს აკლებდა ყურადღებას, იქაც განაახლა ეკლესია. განზრახული ჰქონდა დაეარსებინა

ყველასათვის ხელმისაწვდომი „კარ-ღია წიგნი-საცავი“, აფთიაქი, მოეწყო ქსენონი (საავადმყოფო).

და, ყოველივე ამას აკეთებდა თავისი ხალხის თვალის ასახელად, „დალაჩრებულ, დამცირებულ, უთადარიგოთ“ ქცეულ ადამიანთა გამოსალვიძებლად, გამოსახნევებლად, მტრისა და მოყვრის შესაცნობად... რათა დაეთრგუნა სიბნელე, სიცოცხლე და სინათლე შეეტანა ყველას გულში.

ალექსანდრე ეპისკოპოსი ქართველი ერის გამოღვიძების, მისი გამღიერებისა და კულტურულად ამაღლების მთავარ საშუალებად სთვლიდა ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებულ სწავლა-განათლებას. „ნეტავი როდის ეღირსებათ ქართველებს ქართული სკოლაო“, — ზშირად იტყოდა, თურმე, ეს დიდებული ადამიანი. მეტად გულდაწყვეტილი იყო იმის გამო, რომ ქართველი ახალი თაობა მშობლიურ ენას, მშობლიურ ლიტერატურას, სამშობლოს ისტორიის ცოდნას არაფრად აგდებდა და გატაცებული იყო არა — სამშობლო ენაზე სწავლა-განათლების მიღებით. მას გულს უკლავდა ის ფაქტიც, რომ საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენა, როგორც სავალდებულო საგანი, არ ისწავლებოდა. ამის შესახებ მან არაერთი მოხსენება წარუდგინა პეტერბურგიდან ჩამოსულ სინოდის რევიზორებს და, ნაწილობრივ, შედეგსაც მიიღწია. ქართული ენა და ქართული გალობა



ალექსანდრე ეპისკოპოსი საგურამოში ილიაობაზე. ილიას სტუმართა შორის არიან და-ძმა უორდრობები

ქართველ მოწაფეთათვის სავალდებულო საგნებად იქცა. მან, ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრა დეკანოზ ვოსტორგოვის წინააღმდეგ, სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების დასაცავად.

როდესაც საკითხი დაისვა გახსნილიყო სპეციალური სასულიერო სასწავლებელი ქალთათვის, მან დიდი როლი ითამაშა ამ კეთილშობილურ საქმეში. მისი ფინანსური დახმარებითა და მეცადინეობით, 1878 წელს თბილისში დაარსდა ეპარქიალური სასწავლებელი, რომელმაც ჩვენს ერს აღუზარდა რამდენიმე ათასი განათლებული ქალი.

როგორც განმანათლებელი და პედაგოგი, იგი მარად ქადაგებდა ხალხთა შორის სიყვარულს, ძმობას და ერთობას. იგი იყო ნამდვილი მასწავლებელი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით.

ამიტომ იყო, რომ საქართველოში არ მოიპოვებოდა თითქმის რაიმე საქველმოქმედო, კულტურული საზოგადოება, რომლის წევრიც იგი არ ყოფილიყოს და აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს მის მუშაობაში.

ეროვნულ, სხვა საღიდეებელ საქმიანობასთან ერთად, იგი დიდ და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და დაუღალავად იღვწოდა ქართულ საგალობელთა აღდგენა-შენარჩუნებისათვის. ამ ზრუნვამ დიდი ნაყოფიც გამოიღო. დაკარგვას გადაარჩინა მრავალი მუსიკალური მარგალიტი.

დიდ მამულიშვილს კარგად ესმოდა, თუ რისთვის ზრუნავდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის მის მიერ დაბეჭდილ წიგნებს. აღდგენილ ეკლესია-მონასტრებს, სკოლებსა და სემინარიებში ქართული ენის დაწერვას, ქართული საგალობლების აღდგენასა და ჩაწერას, ისტორიული საბუთების შეკრებასა და მათ პუბლიკაციას.

დიდ უკმაყოფილებას გამოხატავდა, აგრეთვე, იმ მტრული აქტის გამო, რითაც ქართულ ეკლესიას დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) დაეკარგა. „ავტოკეფალია იმისთვის კი არ მეზარება, — ამბობდა ალექსანდრე ეპისკოპოსი, — რომ, როგორც ყველაზე დამსახურებულს, კათოლიკოზობა მე მერგოს, არამედ იმისთვის, რომ ქარ-

თველ სასულიერო წოდებას, ცოტად თუ ბევრად, თავისუფლება მიეცეს. მაშინ ის ქართველებისათვის მაინც პირები, რომელნიც ეხლა არიან სასულიერო წოდებათა რიცხვში, საქართველოს ეკლესიიდან განიდევნიებიან“ (ზ. ჭიჭინაძე, „სიტყვები და წერილები“, გვ. 73—74).

მისი ყურადღების არეში იყო ყველა ქართველი, ეს ეხებოდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მაცხოვრებლებს. განსაკუთრებული თანაგრძობითა და გულისხმიერებით ეკიდებოდა ქართველ მაჰმადიანებს, მათი განათლებისა და კვლავ „მოქცევის“ საკითხებს (სკოლებისა და ეკლესიების გახსნას, მათი ისტორიის შედგენას და სხვ.).

\*  
\* \* \*

ალექსანდრე ეპისკოპოსი იყო მაგალითი ზნეობრივი ცხოვრებისა, პირუთვნელი, უშიშარი, დაუძინებელი მტერი ეკლესიისა და ქვეყნის მდევნელთა, მამხილებელი არა მარტო დიდ მეუფეთა — „ძლიერთა ამა სოფლისათა“, არამედ, მძრახველიც ჩვენი ცხოვრების ყოველივე ნაკლისა და ადამიანთა ცუდსაქციელისა. იყო ობოლთ ნუგეში, ღარიბთა იმედი და შთამავონებელი იმ ჭეშმარიტებისა, რომ სულის ცხონება მარტო ლოცვით არ მოიპოვება, რომ ლოცვა-კურთხევასთან ერთად საჭიროა სამშობლოს სიყვარული, მისთვის ყოველდღიური გარჯა, შრომა, პატიოსნება, თავდადება... ჯვარცმა.

ღიახ, ალექსანდრე ეპისკოპოსი ნამდვილად იყო ქართველი ერის თავდადებული ჭირისუფალი, მეცხრამეტე საუკუნის ცოცხალი მატრიანე, ამავე საუკუნის „მეორე შიო“ „ქართველთა მამა“, „საქართველოს აღმამუნებელი“, ადამიანი, რომელსაც ცხოვრების წმიდათა-წმიდად ორი დიდი საგანი ჰქონდა: ღმერთი და სამშობლო — ქვეყანა. ღმერთს ღმრთისას აძლევდა, ქვეყანას ქვეყნისას და ორივეს ემსახურებოდა უდიდესი სიყვარულით, რადგან „ღმერთი არს სიყვარული და სიყვარული მხსნელია ქვეყნისა“.

ვახუშტი წუნდელი



## შპანასკნელი კანაშვილი

დღესაც ჩვენს შორის არიან ადამიანები, რომელთაც კარგად ახსოვთ უნეტარესი **კალისტრატე**... ყველას, ვინც კი მას შეხვედრია, თავისი ცხოვრების უმწვენიერეს, უწმიდეს, უსათნოეს მოგონებად დარჩა მისი ნათელი სახე, ღიმილი, ხმა...

ღვთისადმი მისი მთავარი სალოცავი და სავედრებელი საქართველო იყო...

„...მომავალი თაობის აღმზრდელთა გულით სწამდათ და პირით აღიარებდნენ, რომ წმიდა ღვთის მადლით, მის მიერ აღმწვენილებული საქართველო კვლავ აღმწვენილებოდა და აყვავდებოდა... სასოება ესე, მიუხედავად ჩვენზედა მოწვეულისა ცეცხლისა და მახვილისა, სიყმილისა და სრვისა, თანდათან გვიძლიერდება, — წმიდა ღვთის სახლსა ამას დასადგურების შემდეგ საქართველომ იწყო შენება: — ასევე წელს ტყვეობაში მყოფი საქართველოს ეკლესია კვლავ თავისთავადი გახდა... გადაგვარებული სკოლა მოეგო თავსა თვისსა... მხიარული იყავ, კვლავ თავისთავადის ეკლესიის საჭეთმპყრობელობით სამშობლოს გათავისუფლების წინამორბედო! კადნიერებით შემოვედ სავანესა ამას დავით აღმაშენებლისასა და გულმოდგინედ შეგვავედრე ყოვლისშემძლებელს, რათა მოვესწრნეთ წმიდის თამარის დროის მოსვლასაც... ამინ!“ — ასეთი სიტყვებით მიუმართავს ქართული გიმნაზიის მღვდელმობღვარს — კალისტრატეს. 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს, კვლავ დამოუკიდებლობადაბრუნებული ქართული ეკლესიის პირველი კათოლიკოს-პატრიარქის **კირიონისათვის**. დეკანოზი კალისტრატე მისი უწმიდესობის თანამსახური გახლდათ... მრავალმხრივ შთამაგონებელი იყო მისთვის **კირიონის** ცხოვრება და, ბოლოს, მისი ტრავგიული აღსასრულიც...

ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს ის დიდი ღვაწლი, რომელიც ნეტარმა **კალისტრატემ** თავისი ქვეყნის ეკლესიის წინაშე გასწია... ხოლო რაც შეეხება მის შრომებს, ეს ზღვა მასალაა, რომლის ძირითადი ნაწილი ამჟამად საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

„ყოველს ჭეშმარიტად განათლებულს ქართველს ვალად აძევს დაუბრუნოს უმრწემესთა ძმათა თვისთა ის, რაც წაართვა მათ უმეცრებამ და ცრუგანათლებამ, დაუბრუნოს ერსა ქრისტიანესა, ერსა ჯვრისმტვირთველსა, ერსა ქრისტესთვის წამებულსა მამა-პაპური სარწმუნოება და შეუღალავი, ჩირქმოუცხებელი და სპეტაკი ზნეობა...“

ღვთის ამ ჭეშმარიტ მსახურს შეგნებული ჰქონდა, რომ თავისუფლება, გარეშე ერის ზნეობრივი ამაღლებისა, არასრულქმნილი და მოჩვენებითია. ამიტომაც ასე გგომოდვარავდა:

„...ღვთის განგება გვაფრთხილებს! ის გვეუბნება: ქრისტეს დიადი მცნების — ურთიერთს სიყვარულის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია და, ამისათვის, თუ გნებავთ, საქართველოში განვითარდეს თავისუფალი მოქალაქობა, ხელი შეუწყვეთ საღი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი სწავლის გავრცელებას, მტკიცედ სდევით ქრისტეს მცნებებზე და, ვიდრე ჟამი გაქვთ, იქმოდეთ კეთილსაყოველთა მიმართ“ (იხ. „ახალი სიტყვა“, 1918, № 8).

ორ ათეულ წელს განაგებდა უწმიდესი კალისტრატე საპატრიარქო ტახტს. იგი მისწრაფოდა, მსოფლიოს ავტოკეფალურ ეკლესიებს ეცნოთ ქართველი ერის საპატრიარქო უფლებები და მართლმადიდებლურ ოჯახში ისტორიულად კუთვნილი ადგილი მიეჩინათ მისთვის.

„ვისაც სურს გაცნოს ქართული ტაძრების კელეხის მონატულობასა და ფერწერას, დაათვალიეროს უბიწი, ყინწვისი, გელათი, სვეტიცხოველი და მრავალი სხვანი. და თუ ამის შემდეგ მინანქრების, მინიატურებისა და ხელთნაწერების გაცნობის სურვილი აღედგება, მოინახულოს ჩვენი მუზეუმები... მაშინ ის დარწმუნდება, რომ საქართველოს ეკლესიას თამამად შეუძლია წარდგეს დიდი ერების ეკლესიებთან და თქვას: „ის მცირე ნაშთი, რაც ჩემი წარსულიდან გადაურჩა ცეცხლს, მახვილსა და წუმწუმას, რით ჩამოუვარდება მტრებისაგან ხელსაღებელ თქვენს განძებსო?“ — წერდა იგი.

უზომაოა მისი ამაგი ქართული ეკლესიის წინაშე. მისი ცხოვრება სულიერი ზრდისა და ფერცვალების გზა იყო. მის აზრებსა და მითითებებს ანგარიშს უწევდნენ ცნობილი მეცნიერები, რომელთაც ბევრჯერ აღუნიშნავთ დიდი მეუფის უხმაურო დამსახურება ქართული მეცნიერების, საერთოდ, ქართული აზრის წინაშე...


ყოველი წლის **2 (15) თებერვალს** ქართული ეკლესია აღნიშნავს უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქის, **კალისტრატეს** გარდაცვალების დღეს...

წელსაც... სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც ორი ათეული წლის მანძილზე თავისი ერისა და ეკლესიის სიცოცხლეს ავედრებდა ღმერთს ნეტარი **კალისტრატე**, მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა უწმიდესმა **ილია II**.

პანაშვილზე მთელი თბილისის სამღვდლოება იყო მოწვეული. მის უწმიდესობას ახლდნენ თეთრწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი (მაყუგა), ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი ნიკოლოზი (მახარაძე), ჭყონდიდელი, ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის მთავარეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი), ურბნელი მთავარეპისკოპოსი, კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე), ახალციხელი და სამცხე-ჯავახელი ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე).

მრევლს დაურიგდა წმიდა სანთლები... ისმოდა გალობა — „ღირს არს ჭეშმარიტად“... პანაშვიდი მიეძღვნა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს გარდაცვალების 30 წლისთავს. მისმა უწმიდესობამ გულმხურვალედ ილოცა განსვენებულის სულის საოხად და, ბოლოს, ვრცლად იქადაგა უწმიდესი კალისტრატეს აუწერელ დეაწლსა და ამაგზე ჭირთული ეკლესიის წინაშე. მან უწმიდეს კალისტრატეს „რჩეულთა შორის რჩეული“ უწოდა და დასძინა, ხშირად მომისმენია აღამიანებისაგან: „როდესაც გვინდა წარმოვიდგინოთ მამაზეციერი, უწმიდესი კალისტრატე გვიდგება თვალწინო“. გაიხსენა მასთან თავისი ერთადერთი შეხვედრაც... მცხეთაში, სადაც 12 წლის ბავშვი მისმა ნათლიამ, მონოზონმა ზოილემ, კათოლიკოს-პატრიარქთან ლოცვა-კურთხევის ასაღებად მიიყვანა... მაშინ არცერთმა არ ვიცოდით, რომ ეს იყო ორი პატრიარქის შეხვედრაო, ბრძანა მისმა უწმიდესობამ.

დღეს ჩვენ პანაშვიდს ვიხდით. ამის შემდგომ კი პარაკლისებს გადავიხდით და მის ნათელ სულს მეოხებას შევსთხოვთო, აუწყა მან მრევლს...



კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე

# იზიგონი

## ხატი და მსგავსი

თუმცა აღამიანი თავის თავში შეიცავს ქვეყნიერების შემადგენელ ყველა ელემენტს, ეს არ არის მისი ჭეშმარიტი სრულყოფის საწინდარი, საწინდარი იმისა, რომ მან შესძლოს აღმადგენა: „არაფერია ღირსშესანიშნავე იმაში, — ამბობს წმ. გრიგოლი ნოსელი, — რომ აღამიანისაგან სურთ შექმნან საყვარო ხატი და მსგავსება. ყოველივე მოცული ისევე წარმავალია, როგორც შემცველი“. წარმავალია დედაიოწა, ცვალებადია ცა. ამბობენ: აღამიანი მიკროკოსმოსიაო და, როცა ამ გაზვიადებული სახელწოდებით ცდილობენ მისი ბუნების აღზევებას, ვერ მიმხვდარან, რომ ამით აღამიანს კოლოთა და თავთა თვისებებსაც მიაწერენ. აღამიანის სრულყოფა იმას კი არ გულისხმობს, რაც მას დაამსგავსებს ყოველივე ქმნილს, არამედ იმას, რაც მას განასხვავებს კოსმოსისაგან და დაამსგავსებს შემოქმედს. დეტალებრივ გამოცხადება გვასწავლის, რომ აღამიანი შეიქმნა ხატად და მსგავსად ღვთისა.

როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის ეკლესიის ყველა მამა აღამიანის ღვთის ხატად და მსგავსად შექმნის ფაქტში ზოგადად ხედავს თავდაპირველ შესატყვისობას აღამიანურ და ღვთაებრივ ყოფიერებას შორის. ღვთისმეტყველური გამოთქმა ამ ჭეშმარიტებისა, თუმცა არა ურთიერთგამომრიცხავად, მაგრამ მინც ხშირად

განსხვავდება აღმოსავლურ და დასავლურ მოძღვრებებში. ნეტარი ავგუსტინე, როდესაც ისწავლის წარმოდგენა იქონიოს ღმერთზე, გამომდინარეობს ჩვენში არსებული ღვთისებრი ხატისაგან და ცდილობს იმის აღმოჩენას, რაც ღვთის ხატად შექმნილ ჩვენს სულში მოიპოვება. ეს არის ფსიქოლოგიური ანალოგიის მეთოდი, რომელიც ღვთისმეტყველებას, ღვთის შემეცხებას. წმ. გრიგოლი ნოსელი, პირიქით, საწყისად ღვთისებრი იმას, რაც გამოცხადებამ გვაუწყა ღმერთის შესახებ, რათა შემდგომ აღამიანში მოიძიოს ის, რაც მასში შეესაბამება ღვთაებრივ ხატს. ღვთისმეტყველების ორივე ეს მეთოდი აღამიანის შემსწავლელმა მეცნიერებამ — ანთროპოლოგიამ გამოიყენა. პირველი გზა არის ცდა ღვთის შემეცხებისა — გამომდინარე აღამიანისაგან, რომელიც შექმნილია ღვთის ხატად. მეორე გზა არის ცდა აღამიანის ნამდვილი ბუნების დადგენისა — გამომდინარე ღმერთისაგან, რომლის ხატადაც შეიქმნა აღამიანი.

თუ მოვიხილოთ, წმ. მამათა ნაშრომებში ვიპოვებ ზუსტად განსაზღვრა იმისა, რაც ჩვენში შეესაბამება ღვთიურ ხატს, შესაძლოა, აზრთა სხვადასხვაობამ დაგვანინოს. ეს მტკიცებანი, თუმცა არ გამოირიცხავენ ერთმანეთს, მინც ვერ განეკუთვნებიან აღამიანური არსებობის რომელსავე მხარეს.

ზოგჯერ ღვთის ხატს ამსგავსებენ სულის რომელსავე თვისებას მის სისადავეს, მის უცვლადებას. ანდა, იგი გაიგივებულია სულის უნართან შეიმეცნოს ღმერთი, იცხოვროს ღმერთთან და აღამიანის სულში არსებულ სულიწმიდასთან ურთიერთობაში. ზოგჯერაც, როგორც ეს „სულიერ საუბარშია“, რომელიც მიეწერება მაკარი ეგვიპტელს, ღვთის ხატი წარმოდგენილია ორმაგი ასპექტით: პირველყოფისა, ეს არის აღამიანის ფორმალური თავისუფლება — ნების არჩევის ანუ გამორჩევის თავისუფლება, რომლის მოსპობა არ ძალუძს ცოდვას. მეორე მხრივ, ესაა ზეციერი ხატი, რომლის ძალითაც აღამიანის არსება ცოდვით დაცემამდე მოსილი იყო სიტყვითა და სულიწმიდით. დაბოლოს, წმ. ირინეოს ლიონელის, წმ. გრიგოლი ნოსელისა და წმ. გრიგოლი პალამას მიხედვით, არა თუ მართოდ სული, არამედ კაცობრივი ხორციც მონაწილეობს ღვთის ხატში, რამეთუ შექმნილია ამ ხატის მიხედვით. სახელწოდება „აღამიანი“, — ამბობს გრიგოლი პალამა, — არ მიესადაგება ცალკე სულსა და ცალკე ხორცს, არამედ, ორივეს ერთად; რამეთუ ისინი შექმნილან „ღვთის ხატად“. წმ. გრიგოლი პალამას აზრით, ღვთის ხატად აღამიანი უფროა შექმნილი, ვინემ ანგელოზნი, იმიტომ რომ მისი ხორცშესხმული სული ფლობს ცხოველყოფელ ძალას, რომ-

ლითაც ის განსულიერებებს თავის ხორცს და განაგებს მას. ეს ის ნიჭია, რომელსაც მოკლებულნი არიან ანგელოზნი — უხორციო სულნი, თუმცა კი ისინი უფრო ახლოს დგანან ღმერთთან.

აღნიშნულ განსაზღვრათა სიმრავლე და სხვადასხვაგვარობა გვიჩვენებს, რომ წმ. მამები ერიდებიან ადამიანისეული არსების რომელიმე ნაწილით შემოფარგლონ ის, რაც განეკუთვნება ღვთის ხატს. ბიბლიური გადმოცემა სულაც არ გვიჩვენებს ღვთის ხატის მახასიათებელ თვისებებს, არამედ თვით ადამიანის შექმნას წარმოადგენს, როგორც განსაკუთრებულ აქტს, განსხვავებულს სხვა არსებობა შექმნისაგან. თუ კი ანგელოზნი შექმნილი იყვნენ, როგორც ეს თქვა წმ. ისააკ სირინოსმა „ღუმილში“, ადამიანი არ ყოფილა შექმნილი დედამიწისადმი გაკეპილ ბიჭთან. ღმერთმა თვით წარმოქმნა იგი თითისაგან, თავისი საკუთარი ხელებით, ე. ი. როგორც ეს ესმის ირიონოს ლიონელს „სიტყვითა და სულით“ და შთაბერა მასში სიოცხლის სუნთქვა.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი საუბარში ადამიანური ბუნების თაობაზე მიმართავს საკუთარ სულს და ამბობს: „თუ შენ ხარ ღვთის სუნთქვა და ღვთისეული ზვედრი, როგორც ამას თავად ფიქრობ, განეშორე სიტყუეს და მაშინ გირწმუნებ შენ... ამდენს რაღასა შფოთავ დალუპვის შიშით, როცა ნაზიარები ხარ ზეციურ სულს? თუ ესოდენი შემწეობის დროსაც იხრები მიწისაკენ, მაშინ, ვაჰმე, ვაჰმე, რაოდენ დიდძალია შენი დამლუპველი ცოდვა“. სული, შერეული „ზეციურ სულიან“, რამდენადმე, შემწეობა-ქმნილია რაღაც უფრო მაღლით, ვინემ თვითონაა. მხოლოდ მასში არსებული ღვთაებრივი ძალა აიძულებს მას იწოდებოდეს „ღვთის ნაწილად“, რამეთუ, თავის საწყისის ის ღებულობს მასში შთაბერილი ჰვალისაგან და სწორედ ეს არის მაღლი“. ღვთაებრივი შთაბერვა მიგვანიშნებს ადამიანის შექმნის საშუალებაზე, რამდენადმე, შთაბერვა ადამიანის სული მჭიდროდ უკავშირდება მაღლს, წარმოქმნილია და განუყოფელია მისგან. ეს არის ღვთაებრივ ენერჯიასთან შერწყმა, დამახასიათებელი სულისათვის, რომელიც აღინიშნება, როგორც „ღვთის ნაწილად“. ნამდვილად, თავის ერთ-ერთ საუბარში წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველი მიგვითითებს ღმერთთან შერწყმაზე და ლაპარაკობს „სამი ნათელის შესახებ“, რომელთაგან პირველი — ესაა ღმერთი — უმაღლესი, გამოუთქმელი ნათელი; მეორე ეს ანგელოზია, ერთგვარი ჰვალა, ან ზიარება პირველი ნათელისა; მესამე ნათელი ადამიანია, აგრეთვე, წოდებული ნათელად, იმიტომ, რომ სული გაცისკროვნებულია პირველსაზოგად ნათელით, ღვთის ხატად და მსგავსად შექმნა თავისთავად მოიცავს ღვთაებრივ ყოფიერებასთან, ღმერთთან შერწყმას.

ღვთის ხატი ადამიანში, რამდენადაც ის ხელთუქმნელია, წმ. გრიგოლი ნოსელის მიხედვით, უმკველად ცხადდება, როგორც შეუცნობადი: რამეთუ თავისი პირველსა-

ტის სისრულის ასახვისას, ადამიანი უნდა ფლობდეს ღვთისმეტყველურადობასაც. აი რატომ არ ძალგვის იმისი განსაზღვრა, თუ რით გამოიხატება ადამიანში ღვთის ხატი. ჩვენ სხვაგვარად ვერ ვწვდებით მას, თუ არა, ღვთის უსასრულო მაღლთან შერწყმის შესახებ არსებული იდეის საშუალებით: „ღმერთი ბუნებით თავად მაღლია, — ამბობს წმ. გრიგოლი ნოსელი; ან უფრო ზუსტად, იგი აკარბებს ყოველგვარ მაღლს, რომლის წვდომა და გაგებაც ჩვენ შეგვიძლია. იგი არ ქმნის ადამიანურ ცხოვრებას რაღაც სხვა გულისხმობით, არამედ იმით, რომ ის მაღლია. ღვთიერი მაღლიანობის სისრულე ვლინდება იმით, რომ იგი ადამიანს არყოფნიდან ყოფიერებაში გამოიზიარებს. მაღლია ნუსხა იმდენად გრძელია, რომ მათი ჩამოთვლა შეუძლებელია. ხატი არ მთლიანად თავისი პირველხატის მსგავსი ყოფილიყო, მისი ხატი კი არ იქნებოდა, არამედ შეერწყმოდა მას. რა განსხვავებას ვამჩნევთ ღვთაებრივსა და იმას შორის, რაც მისი მსგავსია? პირველს: ღვთაებრივი უქმნელია, ადამიანი კი შექმნილი. ცხადია, რომ წმ. გრიგოლი ნოსელი ღვთის ხატად გულისხმობს საბოლოო სრულყოფას, განღმრთობის მდგომარეობას ღვთაებრივ სისრულეში, ღვთაებრივ მაღლა სიუხვეში.

ადამიანური პიროვნება არ წარმოადგენს ადამიანური არსებობის ნაწილს, როგორც წმიდა სამეფოს სახენი არ წარმოადგენს ღმერთის ნაწილებს. ამიტომაც, ღვთის ხატის ღირსება არ განეკუთვნება ადამიანისეული შედგენილობის რომელსავე ელემენტს, არამედ ადამიანურ ბუნებას მის მთლიან ერთობლიობაში. პირველი ადამიანი, რომელიც თავის თავში შეიცავდა მთელ ადამიანურ ბუნებას, აგრეთვე, ერთიანი პიროვნება იყო: „რამეთუ სახელი ადამი, — ამბობს წმ. გრიგოლი ნოსელი, — ახლა არ დაერქმევა ქმნად სიგანს, როგორც ეს სათანადოდ თქმულაა; ხოლო შექმნილი ადამიანს არა აქვს განსაკუთრებული სახელი, ესაა ყოვლად ადამიანი, ე. ი. მთელი კაცობრიობის თავის თავში მომცველი. ამრიგად, ადამის ბუნების ამ საყოველთაოების აღნიშვნის წყალობით, ჩვენ მოწოდებულნი ვართ, გავიფოთ, რომ ღვთაებრივი ნათელხედვა და ძალა მოიცავს ადამის მთელ მოცემას. ვინაიდან ღვთის ხატი არ არის დაცული ბუნების ერთ ნაწილში, არც მაღლიანობა დაცულა მხოლოდ ერთ ინდივიდში, მისი მოქმედება განიცრთება კაცობრიობაზე მთლიანად. არავითარი განსხვავება არაა ქვეყნის დაბადების დასაწყისში წარმოქმნილ ადამიანსა და იმას შორის, რომელიც მის დასასრულს მოვა: „ისინი თავის თავში ერთნაირად ატარებენ ღვთის ხატს“. ადამის სახისათვის დამახასიათებელი ხატი ღვთისა განეკუთვნება მთელ კაცობრიობასაც, „ყოველად ადამიანს“. აი რატომ მოხდა ადამის მოღვაწეში მომრავლება პიროვნებებისა, რომელთაგან თითოეული ფლობს ღვთის ხატს და ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება ბუნების ონტოლოგიურ ერთიანობას. არცერთ ადამიანურ პიროვნებას არ

ძალუდს გახდეს სრულყოფილი ხატი ღვთისა. ხატი ღვთისა ადამიანში მიადრწეს თავის სრულყოფას მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანური ბუნება გახდება ღვთიერი ბუნების მსგავსი, როცა იგი მთლიანად ეზიარება ხელთუქმნელ მაღლს. არსებობს ყველა ადამიანისათვის საერთო მხოლოდ ერთი ბუნება, თუმცა ცოდვის გამო იგი მრავალ ინდივიდს შორის დანაწევრებული გვეჩვენება. ბუნების ეს თავდაპირველი ერთობა, აღდგენილი ეკლესიები, მოციქულ პავლეს წარმოუდგება იმდენად სრულად, რომ იგი მას ქრისტეს სხეულის სახელს უწოდებს.

ადამიანში არსებული სახეობა ბუნებისა და პიროვნებისა, ისევე არანაკლებ ძნელი გასაგებია, როგორც ანალოგიური სხვაობა ღმერთის ერთიანი ბუნებისა და მისი სამი სახისა. პირველყოფისა, ანგელოზისა და ადამიანური იპოსტასის — ყოველგვარი მინარევისაგან მის თავისუფალ, ქეშპარტ გამოსახულებაში. რასაც, ჩვეულებრივ, ვუწოდებთ პიროვნულს, ის უპირატესად აღნიშნავს ინდივიდს, ინდივიდუალურს. როცა გვინდა განვსაზღვროთ, დავახასიათოთ რომელიმე პიროვნება, ჩვენ ვყრებთ ინდივიდუალურ თვისებებს, სასიათის ნიშნებს, რომელიც, ამავე დროს, გვხვდება სხვებთანაც და, მაშასადამე, არასოდეს გვევლინება სრულიად „პიროვნულად“. ისინი განეკუთვნებიან ზოგადბუნებას. ბოლოსდაბოლოს, რაც ჩვენთვის უფრო ძვირფასი არის რომელიმე ადამიანურ არსებაში, რაც მას თავისთავად ზღის, ის განუსაზღვრელი რჩება.

VI ს. ღვთისმეტყველი ლეონტი ბიზანტიელი ერთ რომელსავე ადამიანში ჩაკეტილ ბუნებას აღნიშნავს განსაკუთრებული ტერმინით — „იპოსტასისეული“, ე. ი. ისეთი, როგორც მოიპოვება იპოსტასისა და პიროვნებაში. მთელი ბუნება ჩაკეტილია იპოსტასში. მას არ შეუძლია სხვაგვარი არსებობა, მაგრამ ყოფიერების დაბალ საფეხურზე იპოსტასები აღნიშნავენ ინდივიდს, ინდივიდუალურ არსებას. ისინი აღნიშნავენ პიროვნებებს მხოლოდ მაშინ, როცა საქმე ეხება სულიერ არსებებს, როგორცაა: ადამიანები, ანგელოზები, ღმერთი.

ადამიანურ პიროვნებათა გამრავლება აქტუაციებს ბუნებას, ყოფს მას მრავალ ინდივიდად. ადამიანურმა ბუნებამ დაკარგა თავისი მსგავსება ღვთაებრივ ბუნებასთან. ჩვენ ვნახეთ, რომ წმ. გრიგოლი ნოსელისა და წმ. მაქსიმე აღმსარებლისათვის ევეს შექმნა უკვე წარმოადგენდა აქტს, რომელიც მოიმოქმედა ღმერთმა კაცობრიობისათვის მისი ცოდვისა და შედეგების გათვალისწინებით. მაგრამ ადამისგან აღებული „ქალი მისი ძუალთაგანი და ხორცი მისი ხორცთაგანი“ — ევე, ახალი ადამიანური პიროვნება, ავსებდა ადამის ბუნებას და იყო იგივე ბუნება, „იგივე ხორცი“ ერთარსი. ცოდვის შედეგად კი ეს პირველი ორი ადამიანური პიროვნება იქცა ორ ცალკეულ ბუნებად, ორ ინდივიდუალურ არსებად, რომელთაც



ერთმანეთის მიმართ აქვთ გარეგანი დამოკიდებულება — „და ქმრისა შენისა მიმართ მუდღეობა შენი, და იგი იქმნეს უფალი შენ ზედა“ (დაბ. 3, 16). პირველი ცოდვის შემდეგ ადამიანური ბუნება ხდება დაყოფილი, დანაწევრებული, დანაწილებული მრავალ ინდივიდად. ადამიანი წარმოადგენილია ორმაგი ასპექტით: როგორც ინდივიდუალური ბუნება, ის ხდება მთელის ნაწილი, ხოლო როგორც პიროვნება, ის არას გზით არ არის ნაწილი, იგი თავის თავში მოიცავს ყველაფერს. ბუნება არის პიროვნების შინაარსი, პიროვნება არის ბუნების არსებობის სახეობა: პიროვნება დამკვიდრებულია როგორც ინდივიდი და შემოფარგლული თავისი კერძო ბუნების მიჯნებით, სრულად ვერ გამოავლენს თავის თავს, იგი ღატაკდება. თავის კერძო მადლზე უარის თქმით კი იგი უსასრულოდ ფართოვდება და მდიდრდება ყოველივე იმით, რაც ყველას ეკუთვნის. პიროვნება ხდება სრულყოფილი ხატი ღვთისა, რომელსაც მიიღებს მასთან მსგავსებას — ბუნების სრულყოფას. პიროვნებასა და ბუნებას შორის განსხვავება კაცობრიობაში წარმოქმნის ღვთისმიერი ცხოვრების წყობას, რომელიც გამოხატულია სამების ღვთაებათ. ეს ყოველგვარი ქრისტიანული ანთროპოლოგიის საფუძველია, საფუძველია ყოველი ევანგელისტური მორალისა, რამეთუ, წმ. გრიგოლი ნოსელის მიხედვით, ქრისტიანობა არის ღვთის ბუნების მიხედვით.

როგორც ხატი ღვთისა, ადამიანი არის პიროვნული არსება, პირისპირმდგარი ღმერთის წინაშე. ზამთრის დიდი ამბობდა, რომ ადამიანი არის ქმნილება, რომელმაც მიიღო ბრძანება — გახდეს ღმერთი. მაგრამ ეს ბრძანება არ არის ძალდატანება, პიროვნულ არსებად მყოფ ადამიანს შეუძლია მიიღოს ღვთის ნება ან განერიდოს მას. მაგრამ ხატი ღვთისა ურღვევია ადამიანში. გრიგოლი ღვთისმეტყველის მიხედვით, „კაცი ღმერთთან დაეყვანა სამოთხეში და მიანიჭა თავისუფალი ნება, რათა სიკეთე არანაკლებ ეკუთვნოდეს მის აღმრჩეველს, ვინემ ამ სიკეთის თესლის მთესველს“. თავისუფლება გვეკუთვნის ჩვენ და ამიტომ ვართ პიროვნებანი, ნება კი, რომლითაც ჩვენ ვმოქმედებთ, არის ბუნების თვისება. წმ. მაქსიმე აღმსარებლის მიხედვით, ნება არის „ბუნებრივი ძალა, რომელიც იმას ესწრაფვის, რაც შეესაბამება ბუნებას; ესაა ძალა, რომელიც მოიცავს ბუნების ყველა არსებით თვისებას“.

ბუნებრივი ნება წარმოადგენს სიკეთის სურვილს, რომლისკენაც ისწრაფვის გონიერი ბუნება — აღმრჩეველი. ბუნებას სურს და მოქმედებს, პიროვნება კი აღირჩევის — იგი მიიღებს ან უარყოფს იმას, რაც სურს ბუნებას. მაგრამ, წმ. მაქსიმეს მიხედვით, არჩევანის ეს თავისუფლება უკვე არასრულყოფილებად გვევლინება, როგორც ჰუმბოლტი თავისუფლების შეზღუდვა. სრულყოფილი ბუნება არ საჭიროებს არჩევანს, მან იცის, რომ სიკეთე თვით ბუნებაა. მისი თავისუფლება ეფუძნება ამ

ცოდნას. ჩვენი ნების თავისუფლება აღმოჩენს დაცემული ადამიანური პიროვნების არასრულყოფილებას, ღვთის მსგავსების დაკარგვას. ეს ბუნება დაბნელებულია ცოდვით, ამიტომაც არა ცნობს უფრო ჰუმბოლტი სიკეთეს და მეტწილად იმისკენ ისწრაფვის, რაც ბუნებისთვის მიუღებელია, ამიტომ ადამიანური პიროვნება მუდამ არჩევანის აუცილებლობის წინაშე დგას და წინ ხელის ფათურით მიიწევს. ამ გაუბედაობას სიკეთისაკენ აღმასვლაში ჩვენ ვუწოდებთ „ნების თავისუფლებას“. თავისი არასრულყოფილი ბუნების მიხედვით შემეცნებელი და მსურველი პიროვნება პრაქტიკულად ბრძა და უძლეობს, უკვე აღარ ძალუძს არჩევა და უფრო ხშირად უთმობს იმ ბუნებას, რომელიც ცოდვის მონაა. ამრიგად, რაც ჩვენში შექმნილია ხატად ღვთისა, ჩათრეულია უფსკურში, თუმცა თავის არჩევანში კვლავაც თავისუფალი რჩება და ხელახლა შეუძლია მიმართოს ღმერთს.

ადამიანი სრულყოფილად იყო შექმნილი. ეს არ ნიშნავს, თითქმის მისი ნაწილის მდგომარეობა შეესაბამებოდა საბოლოო მიზანს, თითქმის იგი შექმნის დიდთან იყო შეერთებული ღმერთთან. ცოდვით დაცემამდე ადამი არ იყო არც „წინადა ბუნება“, არც გაღმერთებული კაცი. წმ. იოანე დამასკელი უღრმეს საიდუმლოს ხედავს იმ ფაქტში, რომ ადამიანი შექმნილია ღვთისადმი მიზიდულობის ძალით და ღმერთად ღვთისმიერი ნათელთან ზიარებით იქცევა. პირველი ბუნების სრულყოფა, უწინარეს ყოვლისა, ღმერთთან ზიარების და ნიჭით გამოხატვა, რათა სულ უფრო და უფრო შეერწყას იმ ღვთაებრივ სისრულეს, რომელმაც უნდა გამსჭვალოს და გარდაეხმას ქმნილი ბუნება. წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველი ადამიანური სულის სწორედ ამ უმაღლეს ნიჭს გულისხმობდა, როცა ლაპარაკობდა ღმერთზე, რომელმაც ადამიანს ღვთაებრიობის ნაწილი — მადლიანობა შთაბერა, წმ. მაკარი აღმსარებლის მიხედვით, ადამიანური პიროვნება მოწოდებული იყო, „სიყვარულით შევეერთებინა ქმნილი ბუნება არაქმნილ ბუნებასთან და მადლიანობის მოხვეჭით ისინი ერთობასა და იგივეობაში წარმოეჩინა“. ერთობა და იგივეობა აქ განეკუთვნება პიროვნებას, ადამიანურ იპოსტასს. ამრიგად, თავის ქმნილ იპოსტასში ადამიანს მადლიანობით უნდა შევეერთებინა ორი ბუნება, გამხდარიყო „ქმნილ ღმერთად“, „ღმერთად მადლიანობის მიხედვით“ — საპირისპიროდ ქრისტესი — ღვთაებრივი პიროვნებისა, რომელმაც მიიღო ადამიანური ბუნება. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ორივე ნებათა ურთიერთმიმართება: ერთი მხრივ, არის გააღმერთებული ღვთაებრივი ნება, სულწინათ მომნიჭებული მადლიანობისა, რომელიც იმყოფება ადამიანურ პიროვნებაში, მეორე მხრივ კი, ადამიანური ნება, რომელიც ექვემდებარება ღვთის ნებას იმაში, რომ იგი ღებულბის მადლიანობას და ითვინებს მას. ადამიანური სულს თავისი საზრდელს უნდა ებოვა ღმერთში. უნდა ეცხოვრა ღმერთში. სულს

უნდა ესაზრდოვა სულით, ხორცს უნდა ეცხოვრა სულით, ასეთი იყო პირველადსაბამი განწყობა. ღმერთისაგან განდგომილი სული კი თავისით იწყებს ცხოვრებას ხორცის ცხოვრებით — ასეთია ენებათა წარმოშობა; და ბოლოს, ხორცი იძულებულია, საზრდელ გარეგან სამყაროში ექებოს, უსულო მატერიაში და საბოლოოდ პოულობს სიკვდილს. ადამიანური შედგენილობა ირღვევა.

ბოროტი ქვეყნად მოვიდა ადამიანის ნებით. ეს არ არის ბუნება, არამედ, მდგომარეობაა. „სიკეთის ბუნება უფრო ძლიერია ბოროტ ჩვევაზე, — ამბობს დიოდორე ფოტიკელი, — რამეთუ სიკეთე არსებობს, ბოროტი კი არა; ან, უფრო სწორედ, ბოროტი არსებობს მხოლოდ იმ მომენტში, როცა იგი გამოვლინდება“. წმ. გრიგოლი ნოსელის მიხედვით, ცოდვა ნების თავისთავად ბაა, რომელიც ცდება, თუ სიკეთედ მიიღებს სიკეთის აჩრდილს. შეცოდება იყო თვით მისი სურვილი, რათა ეგემათ სიკეთისა და ბოროტების შემეცნების ნაყოფი (წმ. გრიგოლის მიხედვით, შემეცნება გულისხმობს ერთგვარ კეთილგანწყობას შესამეცნებელი საგნის მიმართ. ბოროტება კი არ უნდა შემეცნებოდეს, რადგან იგი თავისთავად არ არსებობს). ბოროტი ხდება რეალური მხოლოდ ნების მეშვეობით, რომელიც მისი არსებობის ერთადერთი მიზეზია (სწორედ ნება აძლევს მას ერთგვარ ყოფიერებას). ადამის ნების მიწიერ ქვეყანაში მოსვლამდე, ბოროტებას ჰქონდა თავისი საწყისი სულთა სამყაროში. ანგელოზთა ნება, საუკუნოდ განსაზღვრულმა ღვთისადმი სიძულვილით, პირველმა შეა ბოროტება, რომელიც არის ნების არყოფნისაკენ სწრაფვა. უარყოფა ყოფიერებისა, ღვთისა და, განსაკუთრებით, სასტიკი სიძულვილი მადლიანობის მიმართ, რომელსაც ამბობებელი ნება გაეცხარებოდა ეწინააღმდეგება. ბუნების სულბად ქცეული დაცემული ანგელოზები მაინც რჩებიან ღვთის მიერ შექმნილ არსებებად, ისინი შეპყრობილი არიან განწირული მისწრაფებით არაყოფიერებისაკენ, რასაც მიუღწევენ. მათი უკუნითი დაშვება უფსკურულში ვერასოდეს პოვნებს დასასრულს. ღირსი სერაფიმე საროველი ღმერთების შესახებ ამბობდა: „ისინი ბილწნი არიან, შეგნებულმა წინააღმდეგობამ მადლისადმი ისინი აქცია ბნელეთის ანგელოზებად, წარმოუდგენელ ურჩხულებად. მაგრამ, რაკი ბუნებით მაინც ანგელოზნი არიან, ფლობენ შემოურღვეველ ძლიერებას. მათ შორის უმცირესსაც კი შეუძლია დედამიწის განადგურება, მათ სიძულვილს ღვთაებრივი მადლიანობა რომ არ აუძლურებდეს. ისინი ცდილობენ ქმნილების დაღუპვას შიგნიდან, როდესაც ადამიანურ თავისუფლებას ბოროტებისაკენ გადახრიან“. ერთ ასკეტიკურ თხზულებაზე დაყრდნობით, რომელიც მიეწერება წმ. ანტონის, ღირსი სერაფიმე განსახვავებს სამ ნებას, რომელიც მოქმედებს ადამიანში: პირველია ღვთის ნება — სრულყოფილი და მხსნელი, მეორეა ადამიანური ნება, რომელიც, თუმცა ყოველთვის

არაა ზიანის მომტანი, მაგრამ თავისთავად მაინც არ არის მსხნელი, დაბლოს, დემონსტრაციული ნება, რომელიც ცდილობს ჩვენს დატუქვას.

მართლმადიდებელ ასეტიკაში არსებობს სპეციალური ტერმინები იმ ზემოქმედებათა აღსანიშნავად, რომელიც ბოროტი სულეზი ადამიანის სულზე ახდენენ. ესაა „ზრახვანი“ ზეღმომავალნი სულის ქვედა ნაწილებიდან, ქვეცნობიერებიდან. შემდეგია „განსაცდელი“ — არსებობა გარეშე აზრისა, რომელიც გარედან მოსულა და ცნობიერებაში შემოყვანილია მტრული ნებით. „ეს არ არის ცოდვა, — ამბობს წმ. მარკოზ განდგომილი, — არამედ, ჩვენი თავისუფლების დადასტურებაა“. ცოდვა იწყება მხოლოდ: შეერთებით, გონების მიწებებით შემოპაველ აზრთან. უფრო სწორად, ესაა ვრთველი უკვე მიგვანიშნებს მტრულ ნებასთან შეთანხმების დაწყებას. ბოროტი ყოველთვის გულისხმობს თავისუფლებას. სხვაგვარად ეს იქნებოდა მარტოოდენ ძალდატანება, რომელიც გარედან ეუფლება ადამიანს.

ადამიანმა თავისუფლად სცოდა. მაინც რაში მდგომარეობდა პირველყოფილი ცოდვა? ეკლესიის მამანი განასხვავებენ რამდენსამე მომენტს; მორალური და, მაშასადამე, პიროვნული მომენტი მდგომარეობს ურჩობაში, ღვთაებრივი განგების დარღვევაში. ადამიანს მცნება შეილებრივი სიყვარულით გამსჭვალულს რომ მიეღო, მაშინ ის ღვთაებრივ ნებას სრულ თავდავიწყებით უბასუხებდა და ნებაყოფლობით უარს იტყობდა არა მარტო აკრძალულ ნაყოფზე, არამედ, ყოველგვარ გარეგან საგანზეც, რათა ეცხოვრა მხოლოდ ღმერთით, რათა ჰქონოდა სწრაფვა მარტოოდენ მასთან შეერთებისა. ღვთაებრივი მცნება ადამიანურ ნებას მიანიშნებდა იმ გზაზე, რომლითაც მას უნდა ევლო, რათა მიეღწია გაღმერთებისათვის — ეს იყო გზა ყოველივე იმის უარყოფისა, რაც ღმერთი არ არის. ადამიანურმა ი ნებაში კი საპირისპირო გზა აირჩია: ღმერთისაგან გამოყოფილი, იგი დაემორჩილა ეშმაკის ნებას. წმ. გრიგოლი ნოსელი და წმ. მაქსიმე აღმსარებელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ცოდვის ფიზიკურ მხარეს: იმის ნაცვლად, რომ მისდევდეს თავის ბუნებრივ მიდრეკილებას ღმერთისადმი, ადამიანური გონება წუთისოფლი-

საკენ შემობრუნდა; იმის ნაცვლად, რომ სულდგმული გახადოს ბოროტი, იგი თვით მიეცა ხორციელსა და გრძობად ცხოვრებას, დაემორჩილა მატერიალურს. წმ. სვიმონ ახალი ღვთისმეტყველი ცოდვის თანდათანობით განეთარებას იმაში ხედავს, რომ მონანიების მაგიერ, ცდილობს თავის მართლებას ღვთის წინაშე; ადამმა მთელი პასუხისმგებლობა გადაიტანა ევაზე („ცოლი, რომელიც შენ მომეც მე“), ამრიგად, მან ღმერთი გახადა თავისი დაცემის პირველ მიზეზად. ევა კი აბრალებს გველს. ადამიანები უარს ამბობენ ბოროტისაგან გათავისუფლებაზე. მათ არ უნდათ იმისი აღიარება, რომ ბოროტება წარმოქმნილია თვით თავისუფალი ნებისაგან. ნება უხეშდება და სცილდება ღმერთს. ადამიანმა თავის თავში შეწყვიტა ღვთაებრივი მადლის დინება.

ხატად ღვთისად მყოფი ადამიანური პიროვნება მიმართული იყო თავის პირველხატისადმი. მისი ბუნება თავისი ნებით დაუოკებლად ისწრაფოდა ღმერთისაკენ, რომელიც არის სულიერი და გონიერი ძალა.

ადამიანური ბუნების დაცემა წარმოადგენს ადამიანის თავისუფალი თვითგამორკვევის უშუალო შედეგს. რომელშიც მან ნებაყოფლობით ინდობა ჩაგარდნა. ბუნების საწინააღმდეგო მდგომარეობას უნდა მიეყვანეთ ადამიანური ბუნების დაშლამდე, რაც თავის დასასრულს პოვებს სიკვდილში, როგორც ღვთისაგან ჩამოცილებული, დამახინჯებული ბუნების დაშლის უკანასკნელ სტადიაში. ამ დამახინჯებულ ბუნებაში აღარა აქვს ადგილი მადლიანობას: წმ. გრიგოლ ნოსელის მიხედვით მასში გონება პირქვე დამხობილ სარკესავითაა: იმის მაგივრად, რომ ასახონ ღმერთი, იგი თავის თავში ღმერთობს უფრომე მატერიის ხატს. ვნებანი არღვევენ ადამიანური არსების პირველად იერარქულ ნაგებობას. მადლიანობის წართმევა მიზეზი კი არა, უფრო სწორად, შედეგია ცოდვით დაცემისა, ადამიანმა თავისთავში ჩაახშო ღმერთთან ურთიერთობის ნიჭი, დაახშო გზა მადლიანობისა, რომელიც მისგან უნდა გაღმორღვილიყო ყოველივე ქმნილებაზე.

აღმოსავლეთის ეკლესიის მოძღვრებაში, ეს „ფიზიკური“ გაგება ცოდვისა და მისი შედეგებისა, არ გამოირჩევა მერვე მხარესაც, რომელიც მულად გავგახსენებთ თავს როგორც პიროვნული, მორალური ასპექტი

ცოდვისა — ე. ი. დანაშაული და სასჯელი, ორივე ასპექტი განუყრელად უკავშირდება ერთმანეთს, რამეთუ ადამიანი მხოლოდ ბუნებას კი არ წარმოადგენს, არამედ პიროვნებასაც, რომელიც დგას პირადი ღმერთის წინაშე მასთან პირად ურთიერთობაში მყოფი. თუ ადამიანური ბუნება დაირღვა ცოდვის შედეგად, თუ ცოდვას შექმნილ ქვეყანაში შემოაქვს სიკვდილი, ეს მარტო იმითმ კი არ არის, რომ ადამიანურმა ბუნებამ შექმნა ახალი მდგომარეობა, ახალი სახე ბოროტებაში არსებობისა, არამედ იმიტომაც, რომ ღმერთმა ზღვარი დაუღო ცოდვას, როდესაც ნება დართო, რომ სიკვდილითან მიეყვანეთ: „რამეთუ ცოდვის საფასური — სიკვდილია“. „ჩვენ ვართ ბნელი მისილი ტომის ნაშთიანი“. — ამბობდა წმ. მაკარი ეგვიპტელი. ცოდვა შესულია იქ, სადაც უნდა სუფევდეს მადლიანობა. ღვთაებრივი სისრულის ნაცვლად, ღვთისებულ ქმნილებაში იხსნება პირადღებელი უფსკრული უარყოფისა — ჯოჯოხეთის ბეჭენი, რომელნიც განიხსნებდნენ ადამიანის ნებით.

ადამმა ვერ აღასრულა მოწოდება. მან ვერ შეძლო მიეღწია ღმერთთან ერთობისა და ქმნილი სამყაროს გაღმერთებისათვის. რაც მან ვერ შესრულა მაშინ, როცა სარგებლობდა სრული თავისუფლებით, მით უფრო შეუძლებელი გახდა იმ დროიდან, როცა ნებაყოფლობით დაემონა გარეგან ძალას. ცოდვით დაცემიდან დაწყებული და ვიდრე ერგასის დღემდე, ღვთაებრივი ძალა, როგორც გაღმერთებული და უქმნილი მადლიანობა, გაუცხოებულია ადამიანური ბუნების მიმართ და მხოლოდ გარედან ზემოქმედებს მასზე. ძველი სჯულის წინასწარმეტყველნი და ნათელმხილველნი მადლიანობის იარაღი არიან. მადლიანობა იმრქმედებს მათი მეშვეობით, თუმცა იგი ვერ მიეცემა ადამიანებს, როგორც მათი პიროვნული ძალა. ღვთაებრივი დასახლებება არ განადგურდება ადამიანის მიზეზით, ღმერთი განკაცდება, რათა ადამიანმა შეძლოს ღმერთად გახდომა. იგი კაცობრიობას მოეცლინება, როგორც ცოდვისა და სიკვდილისაგან დაღმონებული ქვეყნიერების ხსნისა და გამოსყიდვის გზა. ახალი გზა ღმერთისაკენ. — ესაა ადამიანის საბოლოო მიზანი.

პროფ. ვ. ლოსკი

„უფრონალ მოსკოვსკოი პატრიარხი“

1978 წ.




## საეკლესიო გადმოცემები

**მოსემდე** საღვთო გამოცხადებანი აღამიანთა თაობებში ინახებოდა დამწერლობის გარეშე, მხოლოდ სიტყვიერი გადმოცემებით. **მაცხოვარმა იესო ქრისტემაც** თავისი საღვთო სწავლება, ასევე, სიტყვიერად მოგვარწოდა და არაფერი დაუტოვებია წერილობით (ქრისტიანულ მოძღვრებას მოციქულები, უფრო მეტად, ზეპირსიტყვიერად ავრცელებდნენ). არც ისე ბევრმა დატოვა წერილობითი ცნობები. მოციქულთა წერილები ეკლესიაში შემდეგ გაჩნდა, მაგრამ ამით ზეპირი გადმოცემები არ გამხდარან ზედმეტნი, ან უსარგებლონი. მათ ისევე შეინარჩუნეს თავიანთი პირველყოფილი აუცილებლობა და მნიშვნელობა. ეს შემდეგადან ჩანს: როგორც უკვე ითქვა, ყველა მოციქულს არ დაუტოვებია თავისი ნაწერი. უმრავლესი მათგანი ღვთის სიტყვას სიკვდილამდე ქადაგებდა მხოლოდ ზეპირად. მოციქულთა წერილები, შექმნილნი სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა კერძო ეკლესიებისა და პირებისადმი, ცნობილი გახდნენ უფრო მოგვიანებით. მაგალითად, წმიდა ირინეი გვიმოწმებს, რომ II საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ კიდევ იყვნენ ქრისტიანები, რომლებსაც წმიდა წერილი საერთოდ არ ჰქონდათ და სარწმუნოებაში მხოლოდ გადმოცემებით ხელმძღვანელობდნენ; მოციქულთაგან, მათაც კი, რომლებმაც თავიანთი ნაწერები დაგვიტოვეს, ვერ შეძლეს გადმოქცათ მათში ყველაფერი ის, რაც შესაძლებელი და აუცილებელი იყო, როგორც **იესო ქრისტეზე**, ისე, საერთოდ, ღვთის საფუძველზე. ამის შესახებ თვითონაც გვამცნობენ. მაგ. **იოანე ღვთისმეტყველი** თავის სახარებაში წერს, რომ მის მიერ ჩაწერილს გარდა „არიანს სხვანიცა მრავალ, რომელნი ქმნა **იესო**, რომელნი, თუმცა დაიწერებოდეს თითოეულად, არღაცა ვგონებ, ვითარცა სოფელმან ამან დაიტია აღწვრილი წიგნები“ (იოანე 21, 25). **პავლე მოციქულიც**, რომელმაც

სხვებზე მეტი ნაშრომი დატოვა, არ ისაზღვრებოდა მხოლოდ წერილებით. იგი ხშირად მიმართავდა ზეპირსწავლებასაც. ასე, მაგალითად, თავის პირველ მიმართვაში კორინთელებისადმი ის აქებს მათ მისი სიტყვების დამახსოვრებისა და შენახვისათვის: „ხოლო გაქებ თქვენ, ძმანო, რამეთუ ჩემი ყოველივე გახსოვს და ვითარცა-იგი მოგეც თქვენ მოძღვრებაჲ, იგი შეიკრძალებით“ (1 კორინ. 11, 2). იგივე მოციქული არწმუნებს თესალონიკელებს, შეინახონ გადმოცემანი თანასწორად ჩაწერილი სწავლებისა: „ამიერიდან, ძმანო, მტკიცედ დეგით და შეიკრძალებით მოძღვრებაჲ ესე, რომელიცა გისწავიეს გინა სიტყვითა გინა წიგნითა ჩუენითა“ (2 თესალ. 2, 15). ასეთივე სიტყვებით არა ერთხელ მიმართავს მოციქული თავის მოსწავლეს ტიმოთეს: „ტიმოთე, ვედრი იგი დაიმარხე“ (1 ტიმოთ. 6, 20). „სახედ გაქუნიდინ ცოცხლებისა სიტყუაჲ იგი, რომელი გესმა ჩემგან“ (2 ტიმოთ. 1, 13). „და რა-იგი გესმა ჩემგან... ესე შეჰვედრე მორწმუნეთა კაცთა“ (2 ტიმოთ. 2, 2).

„საქმე მოციქულთას“ მტკიცებით, უფალი **იესო ქრისტე** აღდგომის შემდეგ ორმოცი დღის განმავლობაში ეცხადებოდა მოწაფეებს და ესაუბრებოდა მათ ღვთის სასუფეველზე (1, 3), მაგრამ ზუსტად რას ეუბნებოდა მათ, ეს მოწაფეებს არა აქვთ ჩაწერილი, მხოლოდ სიტყვიერად გადმოცეს თავიანთ მემკვიდრეებს. ამავე წიგნში მოიხსენება პავლე მოციქულის საუბარი ეფესელთა მიმართ: მოციქული ამბობს, რომ ის სამი წლის განმავლობაში დღე და ღამე, განუწყვეტლივ ასწავლიდა ყოველ მათგანს (20, 31). აქვე, პავლე მოციქულს მოჰყავს უფლის სიტყვები: „...ნეტარ არს მიცემად უფროის, ვიდრე მოღებისა“ (20, 35) — სიტყვები, რომელიც არ ჰქონდათ ჩაწერილი ოთხთავის ავტორებს.

აქედან გამომდინარე, მართალია, **იესო ქრისტემ** დედამიწაზე მოიტანა



ქეშმარიტება სრულად, მაგრამ ბევრი რამ, რასაც ის ასწავლიდა, დარჩა დაუწერელი და მოციქულთა მიერ სიტყვიერად იქნა გადმოცემული. სწორედ ასეთი საღვთო სწავლებანი იწოდებიან **წმიდა თქმულებებად**.

მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების მიხედვით, **წმიდა თქმულება არის ისეთივე ღვთაებრივი განცხადება, ისეთივე ღვთის სიტყვა, როგორც წმიდა წერილი**. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წმიდა თქმულება ღვთის სიტყვა ეკლესიებისთვის, მათი დამფუძნებლების და მოციქულთა მიერ ზეპირად გადმოცემული, ხოლო **წმიდა წერილი — სიტყვა ღვთისა**, მოთავსებული წიგნში ღვთიეკურთხეულ კაცთა მიერ და ეკლესიებისათვის წერილობით გადმოცემული. რადგან წმიდა თქმულებებს მოციქულები ხალხს გადასცემდნენ. სხვანაირად მას ვარქმევთ **მოციქულთა თქმულებებს**.

წმიდა, ანუ მოციქულთა თქმულებები, მაინც უნდა განვასხვაოთ საეკლესიო თქმულებებისაგან. მაშინ, როცა **სათავე წმიდა თქმულებათა არის ღვთის ნება, სათავე საეკლესიო თქმულებებისა არის ნება ეკლესიისა**. მეორე მხრივ, საჭიროა განვასხვაოთ საეკლესიო თქმულებანი საეკლესიო ჩვეულებებისაგან. საეკლესიო თქმულებებს თავის საწყისად აქვთ საეკლესიო გამგებლობის ნება. ისინი სათავეს საეკლესიო კანონმდებლობიდან იღებენ. მათ არსივე კანონმდებლობა. ოღონდ არა წერილობითი, არამედ ზეპირი. საეკლესიო ჩვეულებანი კი გამომდინა

რობს საეკლესიო საზოგადოების ნებიდან; ესე იგი, იმ პირთაგან, რომელთაც არ გააჩნიათ საკანონმდებლო უფლებანი.

ქრისტიანული ეკლესია ინახავს და საუკუნიდან საუკუნეში გადასცემს საღვთო გამოცხადებებს — როგორც წმიდა წერილს, ასევე წმიდა თქმულებებს — მთლიანად და უვნებლივ იმ სახით, როგორც მიეცა მას ღვთისაგან. წმიდა წერილის უვნებლობა ეკლესიამ მოახერხა იმით, რომ იგი ძველი აღთქმის წიგნების თანასწორი უფლებით ახალი აღთქმის კანონში შეიტანა. ასევე სრული მთლიანობით და დაცულობით შემოინახა ეკლესიამ წმიდა თქმულებანიც. ჩვენამდე მან ასე მოაღწია:

1. წარსულის რწმენის სიმბოლოები, რომლებიც არსებობდნენ მოციქულთა დროიდან ყველა ეკლესიაში. ყველა ეს სიმბოლო სულიერად ერთმანეთის სავსებით მსგავსნი, მაგრამ, ასევე, არც ისე იშვიათად განსხვავებულნი, თავის თავში არსობრივად შეიცავენ დოგმატური სწავლების მთავარ წესებს, შედგენილს და სამუდამოდ მიღებულს IV საუკუნეში.

2. მოციქულთა წესდებები, გამოყენებული მსოფლიოს ყველა ეკლესიაში. მაგრამ ეს წესდებები მოციქულებმა გადასცეს ეკლესიებს არა დამწერლობით (მაშინ ისინი თავიდანვე შევიდოდნენ ახალი აღთქმის წიგნში), არამედ სიტყვიერად, ჩაწერილი და მოტანილი ამ წესების ცნობილი მიმდევრების — მოციქულების, უახლოესი მემკვიდრეების მიერ. მოციქულთა წესდებები შეიცავენ მოციქულთა გადმოცემებს, რომლებიც უმეტესად საეკლესიო კანონებს ეხებიან.

3. განსაზღვრებები და წესები ეკლესიების მსოფლიო და ზოგიერთი ადგილობრივი კრებებისა. ეს წყარო იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ კრებებზე მსჯელობებში მიმართავდნენ არა მარტო წმიდა წერილებს, არამედ, ასევე, წმიდა გადმოცემებს. ამ კრებების განსაზღვრებებში და წესებში შემოინახა ზნეობრივი და საწესჩვეულებო დოგმატური გადმოცემები და, საერთოდ, ყველაფერი ეკლესიისა და ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ.

4. ძველი ლიტურგია, რომელიც ახლაც გამოიყენება როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ეკლესიებში. მრავალი მათგანი ცნობილია მოციქულთა სახელებით. ისინი სათავეს იღებენ თვით მოციქულთა დროიდან. მაგალითად, მოციქულ იაკობის ლიტურგია.

ეს ლიტურგიები — ყველაზე მთავარი საგანძურია სამოციქულო გადმოცემებისა და ეკლესიებისა. ეს გამომდინარეობს, ერთი მხრივ, თვით მათი სიძველესა და, მეორე მხრივ, მათი დიდი მნიშვნელობისაგან ეკლესიებში. ისინი შეუცვლელი და შეუღებელია.

ეს ლიტურგიები თვისობრივად ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან. მაგალითად, ყველა ლიტურგიაში იქადაგება წმიდა სამებაზე, ძე ღვთისასა და სულწმიდაზე, ღვთის სიტყვის ხორცშესხმაზე, ღვთისმშობლის მარადქალწულობაზე, მადლზე და სხვ.

5. ძველი „მწვავლებური აქტები“ (მაგალითად, ეგნატე ანტიოქიელის, პროკოპი სმირინელისა და ბევრი სხვა აქტები), ეს აქტები დაწერილია ყველა იმ ადამიანის თანამედროვეთა და მათი წვალების მოწმეთა მიერაც კი.

6. ძველი საეკლესიო ისტორიები. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ევსევი პამფილედის ისტორია. იგი შეიცავს უძველეს და უტყუარ დოკუმენტებს. მასში შეგროვილია მოციქულთა დროის ბევრი თქმულება, არა მხოლოდ წმიდა ისტორიული, არამედ, საწესჩვეულებოცა და დოგმატურიც. მაგალითად, გადმოცემა წმიდა წიგნების, ძველი და ახალი აღთქმისა და კანონების შესახებ.

7. ძველი მამებისა და ეკლესიების მოძღვართა თხზულებები. ასე მაგალითად, ეკლესიის წინაშე თავისი რწმენის დასამტკიცებლად, ისინი წარმოთქვამდნენ პირად აღსარებებს (რწმენის გადმოცემის წესი ათანასე ალექსანდრიელისა, პაპი გელასიის და სხვათა), ქრისტიანობის გაცნობიერებისათვის ბევრი იწყებდა სარწმუნოების ჭეშმარიტების განმარტებას, რასაც გვიმოწმებს; მაგალითად, კატეხიზისი კირილე იერუსალიმელი-

სა, ღვთისმეტყველება იოანე დამასკელისა და სხვ.

8. დაბოლოს, ეკლესიის უძველესი საყოველთაო პრაქტიკა. ამას მიეკუთვნებიან: ა) წმიდა დრონი — მარხვები, საიდგომო და სადღესასწაულო დღეები. ბ) წმიდა ადგილები — ტაძრების მოწყობა: გ) წმიდა მოქმედებანი, წეს-ჩვეულებანი და ცერემონიალები. ამათვე შეიძლება მივაკუთვნოთ ხატები. რაც შეეხება კურთხევისა და მღვდელმოქმედებათა შესრულებას, ისინი გადმოცემულია საღვთისმსახურო წიგნებში. დ) საღვთისმსახურო წიგნები, ანუ საეკლესიო ტიპიკონი (საიერარქიო მიმდევრობანი).

რა თქმა უნდა, ყველაფერ იმას, რაც ზემოთ დავასახელებთ, არ შეიძლება დავარქვათ მოციქულთა თქმულებები. მოციქულთა გადმოცემებს აქვთ თავიანთი განსაკუთრებული ნიშან-თვისებანი, რომლის მიხედვითაც შეიძლება განვასხვაოთ ისინი სხვა საეკლესიო თქმულებებისაგან. შინაგანი ნიშნით: ა) მოციქულთა თქმულებანი უნდა შეესატყვისებოდეს თავის თავს. ე. ი. მასში არ უნდა იყოს შინაგანი წინააღმდეგობანი. ბ) უნდა შეესაბამებოდეს, ასევე, წმიდა წერილს, რადგან მთავარი წყარო ორივეს ერთია — სულიწმიდა.

გარეგანი ნიშან-თვისებანი საწყისს გარეგანი დამოწმებებისაგან იღებენ და გვეხმარებიან განვსაზღვროთ სამოციქულო თქმულებების ჭეშმარიტი ხასიათი. ამ გარეგნული ნიშნებით სამოციქულო თქმულებებმა შეიძლება გვითხრან:

ა) რა შეიძლება მივაკუთვნოთ მოციქულთა დროს, რა იხმარებოდა ეკლესიებში თავიდანვე უშუალოდ მოციქულების მიერ და რა ესა თუ ის მასალა მოვიდა ჩვენამდე მოციქულებისა თუ პირველი ორი საუკუნის მამებისა და ეკლესიის მოძღვრებისაგან;

ბ) მათში ბევრი რამ III, IV და V საუკუნეების საეკლესიო მოძღვრებისაა, რამეთუ ეს მასწავლებლები თავიანთ შრომებში შეიძლება დაყრდნობოდნენ, და კიდევაც ეყრდნობოდნენ მოციქულთა დამოწმებებს, რომელთა ნამუშევრებიც იმ დროისათვის იყო შემონახული. ამასთან,

თითონაც ხომ ახლოს იყვნენ მოციქულთა მოღვაწეობის დროსთან და მხოლოდ იმას გამოთქვამდნენ, რასაც ეკლესიაში პოულობდნენ;

გ) რას ემყარებოდა და ემყარება მსოფლიო ეკლესია და რა არ არის წმიდა წერილში (ყოველ შემთხვევაში, ისეთი სახით, როგორც ის შემოგვინახა ეკლესიამ). „არ უნდა ვეძებოთ ჭეშმარიტება სხვებთან, — წერს წმიდა ირინეი, — არამედ, უნდა ვისწავლოთ ეკლესიაში, როგორც მდიდარ საგანძურში. მასში მოციქულებმა ჩადეს ყველაფერი და ეს არის მხოლოდ ჭეშმარიტება“. მადლმოსილი ავგუსტინე ამბობს: „რასაც შეიცავს ყოველი ეკლესია, ყოველგვარი საეკლესიო დადგენილებების გარეშე, მთელის სამართლიანობით, ჩვენ ვთვლით მოციქულთა გადმოცემებად“. მაგრამ ქრისტიანული ეკლესია არა მარტო ინახავს და გადასცემს საუკუნეებიდან საუკუნეში საღვთო გამოცხადებებს (წმიდა წერილის და წმიდა თქმულებებს), ის ინახავს და გადასცემს ასევე თავის აზრს ღვთაებრივ გამოცხადებებზე. სიტყვიერი გადაცემა ღვთაებრივი გამოცხადებებისა თავისი სულით და აზრით, ან გააზრება და მიწოდება მისი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, არის საეკლესიო თქმულებები. საეკლესიო თქმულებანი არ უნდა მივიღოთ ღვთაებრივი გამოცხადებების ვასაგებ წყაროდ. ის დამოწმებაა, ანუ ხმა მსოფლიო ეკლესიისა. ამ დამოწმებაზე, ანუ ეკ-

ლესიის ხმაზე, როგორც შეურყეველ საძირკველზე, დგას მტკიცე და ჭეშმარიტი ქრისტიანული ცოდნა და, ეკლესიის ხელმძღვანელობის გარეშე, თვით ღვთაებრივი გამოცხადების გაგებაც მიუწვდომელი რჩება.

ეკლესიამ შეინარჩუნა რა სამოციქულო გადმოცემები, ისინი ზემოთ ჩამოთვლილ წყაროებში გამოიყენა. აქაც კი დადგენილი გარეგანი და, განსაკუთრებით, შინაგანი თვისებებით ეკლესიას უნდა განესაზღვრა რა წარმოადგენდა ჭეშმარიტად სამოციქულო თქმულებებს და რა იყო გამოძახილი საეკლესიო თქმულებებისა.

ერესთან ბრძოლაში, მსოფლიო საეკლესიო კრებებზე, ისინი ამტკიცებდნენ თავიანთ განსაზღვრებებს, არა მარტო წმიდა წერილზე, ან წმიდა თქმულებებზე, არამედ, საეკლესიო თქმულებებზეც. ასე მაგალითად, VII მსოფლიო კრებაზე, მამებმა თავიანთი დადგენილების დასაწყისში თქვეს: „ვინარჩუნებთ ყველაფერს, ახლის შეუმატებლად წერილობით და დაუწერლად ჩვენთვის დადგენილ საეკლესიო თქმულებებს“.

საეკლესიო თქმულებებმა ნახეს თავისი გამოყენება სწავლებებში, საიდუმლოებებში, წეს-ჩვეულებებში და, საერთოდ, საეკლესიო პრაქტიკაში. ასე მაგალითად, III საუკუნეიდან ორიგენმა გვიანდრობა: „დიახ, ინახება საეკლესიო თქმულებანი... ისინი დღემდეც შენარჩუნებულია

ეკლესიებში, მაგრამ ჩვენ მხოლოდ იმ ჭეშმარიტებას უნდა დავუჭეროთ, რომელიც არავითარ წინააღმდეგობაში არაა საეკლესიო და სამოციქულო თქმულებებთან“. IV საუკუნეში ბასილი დიდი წერდა: „თუ ვიფიქრებდით იმ წეს-ჩვეულების უარყოფას, რომელიც წმიდა წერილში არაა მოცემული, მაშინ ჩვენ ჩვენთვის შეუმჩნეველად, დავამახინებდით ყველაზე მთავარს სახარებაში... რამეთუ, ჩვენ არ ვკმაყოფილდებით მხოლოდ იმით, რასაც მოციქულები ლაპარაკობენ და რასაც სახარება გვამცნობს. მაგალითად, საიდუმლო ლოცვათა დამთავრებისას, ადრეც და მათ შემდეგაც წარმოვთქვამთ სხვა ლოცვებსაც, როგორც დიდი ძალის მქონეს“.

მაგრამ საეკლესიო თქმულებანი — იქნება ის გამოთქმული მსოფლიოს, თუ რომელიმე ადგილობრივი ეკლესიის კრებაზე, ან თუნდაც ცალკეული მამების მიერ — არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს არც წმიდა წერილს და არც სამოციქულო თქმულებებს.

\* \* \*


ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ვთხოვთ, თუ ხელი მიუწვდებათ, მოგვაწოდონ ქართული ტაძრებისა და წმიდანთა ცხოვრების ამსახველი ფოლკლორული მასალები... საეკლესიო გადმოცემები და თქმულებები.

რედაქცია





თუ კი სიკეთე გიყვარს



ვინ შეაჩერებს ფიქრებს,  
 ვინ არ მოვისმენს სიტყვას,  
 თუ კი სულს მაღლი გივსებს,  
 თუ კი სიცოცხლე გიყვარს...  
 ვინ შემოგიტევს რისხვით,  
 სულს რომ ტკივილით ავსებს,  
 თუ შრომის ფასი იცი,  
 თუ კი სიკეთე გატყუებს.  
 მიდი,  
 უძიე გზები,  
 შრომა ასწავლავ იმ კაცს,  
 არ დაბერდები წლებით,  
 თუ კი სიცოცხლე გიყვარს.

მიდი,  
 მიაგენ ახლის  
 ახალი გზა და სახე,  
 ღმერთი ყველაფერს გაწვდის,  
 თუ სურვილით ხარ სავსე.  
 მიდი, ისწრაფე მზისკენ,  
 სითბო მოჰფინე მიწას,  
 მუდამ მიაღწევ მიზნებს,  
 თუ კი სიკეთე გიყვარს.  
 არ შეგაშინოს მარცხმა,  
 იდექ რწმენით და მტკიცედ,  
 გწამდეს, რომ იყო ჯვარცმა,  
 იყო ჯვარცმული ქრისტე.

მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორაგაშვილი)

ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან


ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან,  
 რადგან სიკვდილიც ვერ აშინებთ, რაც მთავარია,  
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან,  
 შვილნი ნათლისა ცის მამულში ღმერთთან არიან.  
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან,  
 რადგან სიკეთეს ასხივებენ, მზებერ არიან,  
 რადგან სიხარბემ მათი გული ვერ გადარია...  
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან...  
 ჰყვავის მათ სულში სიყვარული, მშვიდი დარია,  
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.  
 უღვთოდ რამდენი სიბრმავე და სიმწუხარეა?  
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.  
 ვინ გვცეს ნუგეში, როცა სულში ავი ბზარია?  
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.  
 მამულო, შენი გადამრჩენი მხოლოდ ჯვარია...  
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.  
 მამულო, შენთვის თავდადება ზეცის კარია,  
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.  
 რწმენავ, მომავლის იმედები შენ გაბარია...  
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.  
 შენი სამკვიდრო ღმერთს შეჰვედრე, დედავ მარიამ,  
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან...



ქეკსი ათასი იყო ბერი

ქარი კიოდა უნდო და კრული,  
და ბნელი დელგმა სერს აშიშვლებდა,  
და მიწისფერი უდაბნოს სული  
გავეშებული თავისთავს კბენდა.  
სადღაც იწვოდა გონიერ არსთა  
სანთლების ტყე და სურნელი მაღლა  
კუნაპეტისკენ მიჰქონდა ქარსა.  
შიში დაძრწოდა, ბოროტი ახლა  
აკაკუნებდა დიდ ტაძრის კარსა.  
მაგრამ გარბოდა მერე შემკრთალი,  
გაჩაღებული იყო გარეჯი.  
აბურღულ სიერცეს არეულ თვალით,  
გალანის კარით სჭვრეტდა დარაჯი.  
აღვსების დამე... გალობა ტბილი  
მონასტრის კედლებს მიეხვა ხელად,  
და სანთლების ტყე ტაბით, ნელა  
ღვთიურ მადლს ჰფენდა მითათა და ველად.  
საშიში ღამის დრტყინვა ისმოდა,  
ქარი ისროდა და გაისმოდა  
მთელი უდაბნოს ღაღადი მწველი  
ექვსიათასი რჩეული ბერის.  
ექვსიათასი... ამდენ შუქურას  
შურიან თვაღმა ველარ უფურა...

და მიწისფერი ბებერი სული  
მწარე გოდებით, როგორც მროკველი  
კლდეებს მიაწყდა ელვა-ქუხილით...  
ირგვლივ ჩამოწვა რაღაც წუხილი  
და საშინელი დაღვა ღუმელი!..  
ბოროტ სულისგან აღძრული მტერი,  
ათაცბული მიწა და მტვერი  
ერთად მოაწყდა მშვიდ მონასტერსა  
და დაერია ერსა და ბერსა.  
და ლიტანია, გალობა წმიდა,  
ტალღად და ტალღად ნადენი მთიდან  
ვერცა მახვილმა, სისხლიან ხელმა,  
ვერ შეაჩერა ყიზილბაშ-ელმა.  
თუმცა მოჰკაფდნენ... განა ზარობდა  
უკანასკნელიც მასვე გალობდა!..  
შერცხვა შაჰაბას, დიდი შაჰაბას,  
მელა იყო და ცხერებთან გალობდა...  
კვალად ღალადებს იმათი ლოცვა,  
იმათი სისხლი ცაში ღალადებს.  
იმათი ძალი სარტყლად არტყია  
და ჩვენ ქვეყანას ყველგან ატყვია...  
ნუ შევაშფოთებთ... შიშველს, არ ტყიანს,  
ო, იმ უდაბნოს ნეტარ-მადლიანს!..



მღვდელ-მონოზონი ბიორბი (ოდიშვილი)

უშა და პოეტი

— დაუკითხავად რომ შემოხვედი,  
ამ შავი ღამის ვინ ხარ სტუმარი?  
— ეშმა ვარ, მშვიერ პოეტს მოგხედე,  
რომ იტანჯები ეხში მღუმარი.  
ჩემი აქ მოსვლა ბედმა ინება,  
სიმდიდრეს ვჩუქნი შენგვარ ლატაკებს,  
ვინც ჩემს სურვილებს ემორჩილება  
და სათქმელს ჩემს გულს მიუსადაგებს.  
წამომყევ, შენთან განძით მოვედი,  
ღღეს შე ვარ ამა ქვეყნის უფალი,  
გაგზადო ჩემი კარის პოეტი  
და პოეტების ხელისუფალი.  
— ეჰა, შენ კაცი ვერ შეგიცვნი  
და მისი სულის ვერ ხარ მხილველი,  
მაძღარს შე წერა არ შემიძლია,  
არც ლექსით მინდა ვიყო პირველი.  
შე მოველ ქვეყნად, ბრძოლის ჯარაზზე  
რომ გადავგრიხო ჩემი ნერვები,  
ყველა ცდუნების კარი ჩავრაზზე  
და ერის ნამუსს თავზე ვეველები.  
გამშორდი, მაგ გზით არ მივალ არსად,  
შენთან ზიარი ჰქონდეთ ავსულებს,

ჩემი კაცობის გაყიდვის ფასად  
შენს გულის წადილს ვერ ავასრულებ.  
— არა და აი, შენთვის, რეგვენო,  
წამომიღია განძთან სუღარაც,  
იქნებ გგონია, რომ მოგეფერო  
და გაგიმართო ხვეწნა-მუღარა.  
ათასი ჟამი გამომივლია,  
ჯერ კიდევ როდის მოვკალ ეზოპე,  
შენც ისე გესვრი, როგორც ილიას,  
მანდორ პეტეფს და ბევრს სხვას ვესროლე.  
— შენი მუქარა ჟამთა შინია,  
შენ ჩემს ბედს მაინც ვერ უპატრონებ,  
პოეტებს ტყვიის არ ეშინიათ,  
ვით აჯანყებულ გლადიატორებს.  
მტრისას სიძულვილს ვერ ინელებენ  
და ვერ ჰგუობენ ბედზე მოტირალს,  
ხვდებიან, როგორც სპარტანელები  
სახრჩობელას და გილიოტინას.  
აჰა, მესროლე! აქ ხარ, ლაჩარო,  
შენ ჩემი გვამი მოკლა იქნება,  
მაგრამ იცოდე, რჩება საჯაროდ  
სული, რომელიც ვერ გარდიქმნება.



# სტოქსონი

## წმიდა ღმერთო

წმი - და - თ ღმერ - თო წმი - და -

- მ ძლი - ე - რი წმი - და -

მ ყა - და - 3მ შე - ჰი -

- წყა - ლე წყა - წმი - და - მ

ყ - ვა - ლო ძლი - ე - რი შე -

- ძი - წყა - ლე წყა -



## წმიდა ღმერთო

„წმიდა ღმერთო“ ლიტურგიის მეორე ნაწილში, ე. წ. „კათაკმეველთა ლიტურგიაში“ იგალობება. საკურთხეველში შესული მწირველი მღვდელი კითხულობს საიდუმლო ლოცვას, რომელშიც შესთხოვს ღმერთს, რომ შეიწიროს ცოდვილთაგან აღვლენილი წმიდა გალობა, შეუნდოს მორწმუნეებს ყოველი ცოდვა. ეს ლოცვა დასრულდება აღსამაღლებლით: „რამეთუ წმიდა ხარ, შენ, ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა აწ და მარადის“. დიაკონი, რომელიც დგას მაცხოვრის წინ, ორართით მიუთითებს მორწმუნე ერზე და ხმამაღლა ამბობს: „და უკუნითი უკუნისამდე...“ ამ სიტყვებით დიაკონი დაასრულებს მღვდლის მიერ წარმოთქმულ ასამაღლებელს. ამის შემდეგ იგალობება „წმიდა ღმერთო“, რაც იმის აღსანიშნავია, რომ უფალი ჩვენს ლოცვა-ვედრებას ისევე ისმენს, როგორც ანგელოზებისას, და რომ, ღვთისაგან იკურთხოს წმიდა შესაწირავი, რომელიც დაგებული არის ტრაპეზზე.

„წმიდა ღმერთო“ არ იგალობება ქრისტეს შობას, ნათლისღებას, აღდგომასა და სულთმოფენობას, აგრეთვე, ლაზარესა და დიდ შაბათს. ამ დღეებში მას ცვლის საგალობელი. „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გვიღებოც და ქრისტე შეგვიმოსიეს, ალილუია“. ასევე, ჭვრის თაყვანისცემის დღესასწაულზე მის ნაცვლად იგალობება „ჭვარსა შენსა“.

საგალობელი „წმიდა ღმერთო“ ხალხურია. იგი ქართული მუსიკალური ფოლკლორის ბრწყინვალე ნიმუშია.

საგალობლის ტექსტი, რომელიც 447 წელსაა შექმნილი, ასეთია:


„წმიდა ღმერთო, წმიდა ძლიერო, წმიდა უკვდავო, შეგვიწუაღენ ჩვენ“ — 3-ჯერ განმეორებით.

საღმრთო გადმოცემის თანახმად, ეს საოცარი გალობა ანგელოზებმა ასწავლეს კაცობრიობას.


### ნოღარ კიკნაძე

სიონის ტაძრის ვაჟთ მგალობელი გუნდის ლოტბარი

თბილისი. ქვაშეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძარი



# მსუბუქი იყოს თქვენთვის საქართველოს ღვთივ კურთხეული მიწა



მონაზონი ანასტასია

29 იანვარს (5 თებერვალს), ღამის 10 საათზე ღვთივ განისვენა ჯიხეთის დედათა მონასტრის მონაზონმა ანასტასიამ (გოგელია). განსვენებული მონაზონი მონასტრის უკანასკნელი დედა გახლდათ.

მონაზონი ანასტასია დაკრძალეს ჯიხეთის მონასტერში. მიცვალებულს, კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, წესი აუგო ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა იოანემ. თანამწირველი იყო მენჯის მთავარანგელოზთა ტაძრის მღვდელ-მონაზონი მელქისედეკი (მიქავა). გალობდა ქუთაისის წმიდა გიორგის ტაძრის მგალობელთა გუნდი, ამავე ტაძრის დიაკონ აკაკი შალამბერიძის ხელმძღვანელობით.

13 (26) თებერვალს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 84 წლის ასაკში გარდაიცვალა სიონის საკათედრო ტაძრის პროტოპრესვიტერი პახუმ აბიათარის ძე ობოლაძე. „...დავიბადე 1898 წელს.

ბავშვობიდან ვიყავი მორწმუნე და მქონდა მისწრაფება მემსახურა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში. 1953 წელს სიონის ტაძარში ხელდასხმულ ვიქენ დიაკვნად. 1955 წლიდან კი ვარ იმავე ტაძრის მღვდელი“ — ვკითხულობთ მის ავტობიოგრაფიაში.

15 (28) თებერვალს, ოთხშაბათს, საღამოს 6 საათზე მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II შებრძანდა სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც დასვენებული იყო მამა პახუმის ცხედარი. მის უწმიდესობას ახლდნენ: მანგლელი მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი), ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე), ნიკორწმიდელი ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე), ახალციხელი და სამცხე-ჯავახელი ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე), სიონის საკათედრო ტაძრის პროტოპრესვიტერი გურამ შალამბერიძე, დეკანოზი ბენიამინ ახელედიანი, მოძღვარნი: რევაზ ტომარაძე, ზურაბ სირაძე, წმიდა ბარბარეს ეკლესიის წინამძღვარი ელგუჯა ლოსაბერიძე, ქვაშვეთის ეკლესიის მღვდელი ელგუჯა ოდიშვილი, პროტოდიაკონი ღვთისო შალიკაშვილი, დიაკონი იოსებ

შალამბერიძე. ტაძარი სავსე იყო განსვენებულის ნათესავეთა და ახლობლებით. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ლოცვის შემდეგ გარდაცვალებულ პროტოპრესვიტერ პახუმს გადაუხადა პანაშვიდი.

მეორე დღის 1 საათზე საქართველოს თითქმის ყოველი კუთხიდან ჩამოსულმა სამღვდელოებამ მოიყარა თავი სიონში, მობრძანდა კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

მის უწმიდესობას ახლდნენ: თეორიწყაროელი მთავარეპისკოპოსი ზინობი (მაყუგა), ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი), მანგლელი მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი), ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე).

მიცვალებულისათვის წესის აგების წინ მისმა უწმიდესობამ იქ მყოფთ ვრცლად მოუთხრო განსვენებულის სულიერ მოღვაწეობაზე. აღნიშნა, რომ მამა პახუმი თითქმის 30 წლის მანძილზე ემსახურებოდა სიონის საკათედრო ტაძარს და მრევლს. გაიხსენა მისი პირველი შეხვედრა მამა პახუმთან უწმიდესი პატრიარქის მელქისედეკ III დროს. აკურთხა მისი სული.

ლოცვისა და წესის შესრულების შემდეგ მისმა უწმიდესობამ ნაკურთხი წყალი ასხურა მიცვალებულის ცხედარს:

— ღმერთო, მიიღე მამა პახუმის სული!..



მიტროპოლიტი გიორგი

9 (22) ივნისს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ღვთივ განისვენა წილქნელმა მიტროპოლიტმა გიორგიმ (ლონდაძე).

მისი ამ ქვეყნად მოსვლის თარიღი 1894 წლის 7 ივლისით აღინიშნება. დაბადებულია ხარაგოულის რაიონში, სოფელ ჩრდილში. პირველდაწყებითი სწავლის გასრულების შემდეგ გელათის მონასტერში მედავითნეობის კურსები დაუმთავრებია, შემდეგ კი თბილისში დარბაზის მონასტერში განუგრძვია სწავლა. 1914—1917 წლებში რუსის იმპერატორის არმიის გაუწვევიათ, შემდეგ გორის მაზრის, სოფელ ატოცში მთავარ დიაკვნად დაუწყო სამსახური.

1949 წელს ეკურთხა მღვდლად... უღვაწია აწყურში, ალვანში, ფშაველში... 1955 წლიდან კი იგი თბილისის დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის დეკანოზია. 1974 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ დავით V ლოცვა-კურთხევით, აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და იწოდა მანგლელად.

1978 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ლოცვა-კურთხევით, ღვაწლმოსილი მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში, ხოლო 1980 წელს, მანგლისის ეპარქიიდან გადაყვანილ იქნა წილქნის ეპარქიის მმართველად.

უანგარო და ნაყოფიერი ღვაწლისათვის, აწ განსვენებული მიტროპოლიტი გიორგი სხვადასხვა დროს დაჯილდოებული იყო ბარტყულაზე თვლებიანი ჯვრისა და სკუფიაზე ბრილიანტიანი ჯვრის ტარების უფლებით.

13 (26) ივნისს მისმა უწმიდესობამ ილია II განსვენებულ მიტროპოლიტს წესი აუგო დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარში.

14 (27) ივნისს კი იმავე ტაძარში საღმრთო ლიტურგიის აღსრულების შემდგომ კათოლიკოს-პატრიარქმა ვრცელი სიტყვით მიმართა უამრავ მრევლს, განსვენებულის ნათესაებებსა და ნაცნობ-მეგობრებს, ყველას, ვინც ამ დღეს მიცვალბულთან გამოსათხოვებლად მოვიდა... ისაუბრა მის სულიერ ცხოვრებასა და დედა ეკლესიის მიმართ უანგარო სამსახურზე... ცხოვრების გზაზე, რომელიც დიაკვნის ხარისხიდან მიტროპოლიტის სიმაღლემდე მივიდა...

მიტროპოლიტი გიორგი დაიკრძალა დიდუბის ტაძარში, სადაც იგი თითქმის 27 წლის მანძილზე იღვწოდა.



სიონი.

მამა პახუმის პანაშვილი



## ღვანულა და კეთილი

უფალმან ჩვენმან წუთისოფლიდან გაიხმო კეთილ-  
მორწმუნე წილქელი მიტროპოლიტი, მაღალყოვლად-  
უსამღვდელოესი გიორგი (ღონდაძე).

ძნელია, წერო აღამიანზე, რომელთანაც ძალიან ახ-  
ლოს ყოფილხარ, გახსოვს მისი მაღალი ზნეობა და გუ-  
ლისხმიერება. ყოველივე ეს უკვე მოგონებად დარჩა.  
ცხადია, გაწუხებს, რომ ველარ ნახავ მის ღიმილს, ვერ  
გაიგონებ მის ხმას, დაბოლოს, აღარაეინ გაგიჯავრდება  
ისეთი ალერსიანი ხმით, როგორიც ჰქონდა მხოლოდ  
მას. ძნელად თუ ვისმეს შეაქებდა, მაგრამ უდიდესი პა-  
ტივისმცემელი იყო საქმის ერთგული აღამიანებისა. თუ  
მეუფე გიორგი დარწმუნდებოდა აღამიანის სიკეთესა და  
რწმენაში, ვერაეინ შეაცვლევინებდა აზრს. ყველას შე-  
ეძლო მასთან გულახდილი საუბარი.

საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი მისი რისხვაც  
და სიკეთეც, მისი მამა-შვილური დარიგებები.

ადრე მეუფე მანგლელი მიტროპოლიტი ვახლდით.  
მანგლისის ეკლესიის წინამძღვრად მე ვიყავი დანიშნუ-  
ლი და თბილისში ყოველი ჩამოსვლისას წესად მქონდა  
დიღუბის ეკლესიაში მასთან მისვლა. დაწვრილებით  
გამოკითხავდა მანგლისის ეკლესიის ამბებს, გულთან  
მიჰქონდა ყოველი წვრილმანი. ბოლო დროს სურვილი  
ჰქონდა თავის ეპარქიაში ასვლისა, მაგრამ ჯანმრთელო-  
ბა არ უწყობდა ხელს.

ერთხელ კი, როგორც იქნა, გაბედა, ამობრძანდა და  
წირვაც ჩაატარა. გახალისდა, ძალა მოეცა, ზეგარდმო-  
შთაგონებით აივსო. წირვის შემდეგ მრევლში ჩადგა და  
დიღბანს ესაუბრა მორწმუნეებს.

სათუთი მეგობრობა მაკავშირებდა ასაკით ჩემზე  
უფროს მეუფესთან. ბევრი კარგი ვისწავლე მისგან. და  
ახლა, როცა ვფიქრობ, მინდა გამოვყო კიდევ რამდე-

ნიმე ღირსება, რომლითაც დაჯილდოებული იყო იგი,  
როგორც ეკლესიის მღვდელმთავარი და ქართველი კა-  
ცი, შვილი თავისი ქვეყნისა.

მას არ მოსწონდა სიტყვით მამულიშვილობა.  
უყვარდა თვალსაჩინო სასარგებლო საქმე, ვერ ურიგდე-  
ბოდა ისეთ აღამიანებს, ვინც ანგარების გამო მოხვდნენ  
ეკლესიაში.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართვე-  
ლოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II აღსაყდრების  
შემდეგ ჩვენი მოხუცი მეუფე თითქოსდა გამოცოცხლდა,  
მეცა ახალგაზრდული ძალა. კარვად მახსოვს, წირ-  
ვის დროს როგორი შემართებით უმშვენებდა იგი მხარს  
კათოლიკოს-პატრიარქს.

ხშირად, ჩემს კითხვაზე, თუ როგორ გრძნობდა თავს,  
ღიმილით მპასუხობდა: ბევრ თქვენისთანას კიდევ ვა-  
ჭობებო.

ახალი პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით  
დაიწყო საქართველოს ტაძრების შეკეთება-აღორძინება.  
ამის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს დიღუბის  
ეკლესიის რესტავრაცია-მოხატვა და აქაც ჩვენ ვხვდავთ  
მეუფე გიორგის, როგორც ერთგულს საქართველოს ეკ-  
ლესიისა და მისი მამამთავრისას.

ღირსეულად დაფასდა მისი ღვაწლი. იგი დაკრძა-  
ლეს დიღუბის ტაძარში იმ ადგილას, სადაც განზრახუ-  
ლია წმიდა გიორგის ცხოვრების ამსახველი ფრესკების  
შექმნა.

საუკუნო იყოს ხსენება ტკბილი მოხუცისა და ღირ-  
სეული წინაპრის, საქართველოს წმ. ეკლესიის ერთ-ერ-  
თი ღირსეული მღვდელმთავრის, მეუფე გიორგისა.

არქიმანდრიტი ანტონი (გულიაზვილი)

## როგორ დღეეუვი უნდა მოვიხსენიოთ მიცვალებულები

ბვირფასო დებო და ძმებო, წმიდა ეკლესია იხსე-  
ნიებს ამა ქვეყნიდან განშორებულებს, რომელნიც წა-  
ვიდნენ ჩვენგან აღდგომისა და მარადიული ცხოვრების  
რწმენით. განსაკუთრებით, აღდგომის ბრწყინვალე დღე-  
ებში ჩვენ ვიხსენებთ ყველა მიცვალებულს, რადგან გვჯე-  
რა, რომ ქრისტე აღსდგა. მან თავისი აღდგომით დაამარ-  
ცხა სიკვდილი.

მიცვალებულთა მოხსენიება მართლმადიდებელ ეკ-  
ლესიაში კიდევ ერთხელ ამტკიცებს მიწიერი ეკლესიისა  
და ზეციერის შუუწყვეტილი კავშირის რწმენას.

საღუკეველებთან საუბარში, რომლებსაც არ სჯერო-  
დათ მიცვალებულთა აღდგომა, მაცხოვარმა ბრძანა: „რა-  
მეთუ არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ,

რამეთუ ყოველნი ცხოველ არიან მის წინაშე“ (ლუკა,  
20, 38).

ჩვენ კი არ უნდა გვეშინოდეს სიკვდილისა, არამედ  
უნდა დავიწყოთ მისთვის მზადება. ესაა გადასვლა ერთი  
ცხოვრებიდან მეორეში, დროებითიდან — მარადიულში.

ჩვენ უნდა გვეშინოდეს სულ სხვა რამის — ცოდ-  
ვებია. მათ ძალუძთ დაგვაშორონ მაცხოვარს. უნდა  
გვეშინოდეს სულიერი სიკვდილისა.

ფიზიკური სიკვდილის შემდეგ, ჩვენ გვრჩება მიწი-  
ერი ცოდვების მხოლოდ მოგონებები. ისინი ჩვენ გვაწუ-  
ხებენ, მაგრამ მათგან გათავისუფლება აღარ ძალგვიძის.  
ასე გვასწავლის სახარება. გავიხსენოთ მდღერისა და ლა-  
ზარეს ეპიზოდი (ლუკა, 16, 13—31).

ასე ეხმარება წმიდა ეკლესია მიცვალებულს... მათი სულის მოსახსენებლად ჩვენ ვაკეთებთ კეთილ საქმეს და ამით იმ ვალს ვიხდით, რის გადახდაც თითონ ვერ შეძლებს.

განსაკუთრებით სასარგებლოა წირვის დროს მოხსენიება... აუცილებელია სეფისკვერის გადაცემა, რომლისგანაც ლოცვის დროს ამოიკვეთება ნაწილი მიცვალებულისათვის... ეს კი საჭიროა მისი სულის საოხად... მისი სულის ღმერთთან შესაერთებლად. ასე გვასწავლის წმიდა სვიმეონ სილუენელი.

ეკლესიის წმიდა მამა იოანე ოქროპირი მიცვალებულთა სულის მოხსენიების წესს შემდეგნაირად გვიხსენის: საჭიროა ხშირი ლოცვები და კეთილი საქმე, ყოველივე ეს მიცვალებულს უმსუბუქებს ტანჯვას, მისი სული თავისუფლდება მიწიერი ცოდვებისაგან. ეს აუცილებელია! უნდა გვახსოვდეს, თუ მიცვალებული თითონ არ იყო ღირსი, მაცხოვარი შეისმენს ჩვენს ვედრებას.

განსაკუთრებით სასარგებლო და ნაყოფიერი მათთვისაა ლოცვა, ვისაც აღარავინ ჰყავს ცოცხალი, ვისაც აღარავინ აღარ იხსენიებს. ამასთან დაკავშირებით, ეკლესიაში დაწესებულია განსაკუთრებული — მიცვალებულთა დღეები. ასეთი დღეებია:

ხორციელი შაბათი (ყველიერის კვირის წინა შაბათს ეწოდება ხორციელი შაბათი. ხალხური ჩვეულებით კორკობა).

ღიდმარხვის პერიოდში: მეორე, მესამე და მეოთხე კვირის შაბათები.

თომას კვირის სამშაბათი (ე. ი. ადღგომის პირველი კვირის შემდეგ პირველი სამშაბათი).

ხოლო, რაც შეეხება ადღგომის მეორე დღეს საფლავეზე გასვლას, ეს დაშვებულია მხოლოდ ადღგომის საგალობლების შესასრულებლად და არა პანაშვიდისთვის. მაგრამ თუ ადამიანი ადღგომის კვირაში გარდაიცვლება, მას ვუბრუნებ მხოლოდ ანდერძს, საადღგომო წესით.

სულიწმინდის მოფენის წინა შაბათი (ხალხურად ეწოდება ვარდის შაბათი. იმერეთში უწოდებენ ტირიფობასაც). „სულთაობა“.

ღიმიტრის შაბათი (წმ ღიმიტრი თესალონიკელის ხსენების წინა შაბათი).

ეს დღეები, გარდა ღიმიტრის შაბათისა, დამოკიდებულია ადღგომის დღეზე. ამიტომ მათი რიცხვები ადღგომის დღის შესაბამისად ყოველწლიურად იცვლება.

გარდა ამისა, მიცვალებულები ჩვენ შეგვიძლია ყველა წირვაზე და, განსაკუთრებით, შაბათს მოვიხსენიოთ. უნდა ვიცოდეთ: შაბათი დაწესებულია მიცვალებულთა დღედ.

ამ დღეებში განსაკუთრებული სასოებით შევთხოვთ უფალს მათი სულის დამშვიდებასა და ნეტარებას, მათ ნებსით თუ უნებლიე ცოდვათა პატიებას. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, შეისმენს გულითად ლოცვებს და დაუმკვიდრებს მათ მარადიულ სასუფუველს. გაანათლებს და დაამშვიდებს მათ სულებს.

ვისაც არ სურს ილოცოს უცნობი, ან ნაკლებად ნაცნობი ადამიანებისათვის, იფიქრონ საკუთარ თავზე... ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს... შეიძლება ადამიანს დღეს უამრავი ნათესავი და მეგობარი ჰყავდეს, მაგრამ ხვალ სრულიად მარტო დარჩეს და აღარ ჰყავდეს მომხსენებელი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ სწორედ ის ლოცვები და სიკეთე გვიხსნის სხვებისთვის და, განსაკუთრებით, უპატრონო და უმწეო ადამიანებისათვის რომ გავვიკეთებია...

უფალი ყველაფერს ხედავს... ყველაფერი აღირიცხება. მთავარია, ჩვენ გვქონდეს სუფთა გული, რომელიც არ დაივიწყებს ქრისტიანს და შეეცდება იხსნას იგი დაღუპვისაგან.

ჩვენ, ყველანი შევიღებთ ვართ ერთი ციური მამის, ე. ი. ჩვენ ყველა ძმები და დები ვართ. ელოცულობთ რა სხვაზე, ელოცულობთ საკუთარ თავზე. მაცხოვარი ყველა კეთილი გულის ადამიანის შემწეა.

დღეს, როდესაც მრავალი ადამიანი კვდება ყოველგვარი მონანიების გარეშე, ვის შეუძლია მათი დახმარება თუ არა ეკლესიას? ეს კი ნიშნავს, რომ ყველა ჩვენთაგანს გვაკისრია, შევასრულოთ ის, რაც ვერ შეძლეს, ან ვერ მოასწრეს მათ. თვითონ სული ხომ ქრისტიანია!

მამ, ვილოცოთ მათთვის, ვინც სასოების თვალით შემოგვეყურებს და ელოდება ჩვენს დახმარებას.

საუკუნოდ იყოს ხსენება მათი. ამინ!





ღავით აღმაშენებელი. გელათის მთავარი ტაძარი

ფეხი დამადგით,  
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,  
წყალობა ჰყავით...  
საქართველოს ყოვლის მპყრობელმან  
ვისურვე, ღავით...  
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი  
ყურძნის მტევნებით...  
— ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო, მიუტევები?  
ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,  
რაი გადარღებს?  
გასწიე იგი „ნიკოფსიითგან  
დარუბანდამდე...“  
თუ... ეს მაღალთა თავმდაბლობაა  
ოდით და ოდით?  
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,  
რაღა ჰქნან ცოდვილთ,  
სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის  
ვერსით მპოველთა?  
— გულზე დამადგით, ფეხი დამადგით  
გულზე ყოველთა...

ანა კალანდაძე

# სწუხსწუხი ეძიებდა

⊙

ყოველი წლის 26 დეკემბერს (ახალი სტილით 8 იანვარს) საქართველოს წმიდა ეკლესია დიდი დავითის დღეს აღნიშნავს. მედავითნები ერთმანეთის მონაცვლებით მუხლმოყრილნი და მსასოფარნი კითხულობდნენ ამჯერადაც, „გალობათა სინანულისათა“ მისთა...

„ჟამი რაჲ წვლილთა და ხმელთა აღმოფშვინვათაჲ წარმოდგეს,

ზარი მეფობისაჲ წარხდეს და დიდებაჲ დაშრტეს,

შეებანი უქმ იქმნენ,

ყვავილოვნებაჲ დაჰნეს,

სხვამან მიიღოს სკიპტრაჲ,

სხვასა შეუდგენ სპანი,

მაშინ შემიწყალე მსაჯულო ჩემო...“

ლოცულობდა ეკლესიის მამამთავარი... ლოცულობდნენ ყოვლად სამღვდელონი და სამღვდელონი.

გუგუნებდა სიონი... გალობდნენ ვაჟთა და ქალთა გუნდები... ანთებული კელაპტრებით და დაჩოქილნი შესთხოვდნენ მლოცველნი მის უკვდავ სულს ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის კვლავ მფარველობას და მიტევებას ადამიანურ ცოდვათა მათთა...

სარკმლიდან კი გასაოცარი სილამაზით იღვრებოდა მზის სხივი, ანათებდა ხატს წმიდანად შერაცხული დიდი მეფისას...

„მარტივო, სრულო, სამ მზეო, ერთ ცისკროვნებაო,

განმინათლე მხედველობითი სულისაჲ, რათა

გიზილო ნათელი


ნათლითა უფლისაჲთა,

სულითა ღმრთისაჲთა ძეჲ

გამოგვიბრწყინვო მაშინ

დაუსრულებელთა საუკუნეთა“.

⊙





ქრისტეშობის დღესასწაულთან დაკავშირებით მის-  
მა უწმიდესობამ, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II გა-  
ნაჩინა:

ამა წლის იანვრიდან ყოველ მოძღვარს, რომელიც  
სვეტიცხოვლისა და სიონის საკათედრო ტაძრებში შეას-  
რულებს წირვა-ლოცვას, უფლება ეძლევა საღმრთო ლი-  
ტურდია აღავლინოს ღია აღსავლის კარით.

ამავე ტაძრების ყოველ დიაკონს, წირვა-ლოცვის

დროს, უფლება ენიჭება შეიმოსოს პროტოდაიკონის  
ორარით.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ინება და სიონ-  
ის საკათედრო ტაძარს უბოძა 4 წმიდა სახარება. მორ-  
წმუნე მრევლს ნება მიეცა მწუხრის ლოცვის ჟამს ჩუ-  
მად, რიგრიგობით წაიკითხოს სახარების თითო თავი. მას  
შემდეგ, განუწყვეტლივ იკითხება სახარება და თავისე-  
ბურ ელფერს აძლევს ჩვენს მართლმადიდებლურ, ამაღ-  
ლებულ, საღმრთო ლიტურდიას.



7 (20) იანვარი. სიონის საკათედ-  
რო ტაძარში შედგა საქართველოს  
მართლმადიდებელი ეკლესიის წარ-  
მომადგენელთა და ქართველ ევან-  
გელისტ-ბაბტიტთა ძმობის პირველი  
ღიალოგი. საქართველოს მართლმა-  
დიდებელი ეკლესიის მხრიდან ღია-  
ლოგში მონაწილეობდნენ: ურბნელი  
მთავარეპისკოპოსი, კათოლიკოს-პატ-  
რიარქის ქორეპისკოპოსი კონსტან-  
ტინე (მელიქიძე), სიონის საკათედ-  
რო ტაძრის პროტოპრესვიტერი გუ-  
რამ შალამბერიძე, დეკანოზი ამირან  
შენგელია, კათოლიკოს-პატრიარქის  
რეფერენტი, დიაკონი მიხეილ თარ-  
ხნიშვილი.

ქართველ ევანგელისტ-ბაბტიტთა  
ძმობის მხრიდან მონაწილეობდნენ:  
ხუცესი გ. ბოლაშვილი, ძმობის

წევრები: გ. გომელაური, ე. გოგე-  
ბაშვილი, ა. დარბაისელი, მ. დუჩიძე.  
საუბარმა თბილი და გულწრფელი  
ხასიათი მიიღო. მხარეებმა იმედი და  
კმაყოფილება გამოთქვეს, რომ პირ-  
ველი ღიალოგის დაწყება უკვე, თა-  
ვისთავად, კეთილი საქმის დასაწყის-  
ია. მიზანი კი გარკვეულია — გა-  
ერთიანება. რამეთუ წმიდა მოციქუ-  
ლი პეტრე ბრძანებს: „...ერთ არს  
ღმერთი და მამაჲ ყოველთაჲ...“ (ეფ.  
4, 5—6).

ღიალოგის მონაწილეებმა განიხი-  
ლეს ორგანიზაციული საკითხები.

ზოგადად მოიხაზა მომავალი დის-  
კუსიის თემები: ნათლობის საკითხი,  
ერთობლივი ეკლესიის გამონახვის  
გზები, სადაც შესაძლებელი იქნება  
ერთობლივი წირვა-ლოცვა, ქადაგე-  
ბანი და სხვ.



აწ გარდაცვლილი მღვდლის გი-  
ორგი ივანეს ძე ხატიაშვილის შვი-  
ლიშვილმა ნუგზარ მიხეილის ძე თა-  
რაშვილმა და მისმა მეუღლემ მანანა  
ნოდარის ასულმა გოგრიჯიანმა სა-  
ქართველოს საპატრიარქოს შემოს-  
წირეს გ. ხატიაშვილის ნაქონი წიგ-  
ნები:

„უამნი“ — გამოცემული 1899  
წელს,

„დავითნი“ — გამოცემული 1867  
წელს,

„საღმრთო სახარება“ — გამოცე-  
მული 1898 წელს,

„საქმე წმიდა მოციქულთა“ — გა-  
მომცემული 1899 წელს,

„კურთხევაანი“ — გამოცემული  
1826 წელს.



17 (30) მაისს უწმიდესი და უნეტა-  
რესი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II  
მარჯანიშვილის სახელობის სა-  
ხელმწიფო თეატრში დაესწრო სპექ-  
ტაკლს „ასი წლის წინათ“, რომე-  
ლიც შექმნილია ილია ჭავჭავაძის ნა-  
წარმოებების მიხედვით („ოთარაანთ  
ქვრივი“, „მგზავრის წერილები“,  
„კაცია აღამიანი?“). მისმა უწმიდე-  
სობამ გულმხურვალედ მიულოცა  
ოთარაანთ ქვრივის როლის შემსრუ-  
ლებელს, დიდ მსახიობს — ვერიკო


ანჯაფარიძეს მისი უჭკნობი ნიჭის  
კიდევ ერთი ახალი გამობრწყინება.  
„თქვენ, სპექტაკლის მონაწილე ყვე-  
ლა ახალგაზრდაზე უკეთ გამოიყუ-  
რებით. მე ვილოცებ იმისათვის, რომ  
დიდხანს, კიდევ დიდხანს იცოცხ-  
ლოთ და კვლავ შთაგონებით სავსე  
იყო... ეს ყველასათვის საჭიროა,  
განსაკუთრებით კი ახალგაზრდობი-  
სათვის“, — უთხრა მისმა უწმიდე-  
სობამ ქალბატონ ვერიკოს. მაღლო-  
ბა მოახსენა თეატრის სამხატვრო  
ხელმძღვანელს — სპექტაკლის დამ-

დგმელ რეჟისორს თემურ ჩხეიძეს  
იმ სიხარულისათვის, რომელიც მა-  
ყურებელს ამ დიდებული სპექტაკ-  
ლით მიანიჭა.


მან ასევე სიამოვნებით მიულოცა  
სპექტაკლის მონაწილე მსახიობებს  
და აღნიშნა, რაოდენ ღრმა, რაოდენ  
ამოუწურავი და მუდამ თანამედრო-  
ვეა ილია ჭავჭავაძე, მისი მძაფრი  
და უკვდავი სიტყვა.

მის უწმიდესობას სპექტაკლზე თან  
ახლდნენ მღვდელ-მონოზონნი და  
საპატრიარქოს თანამშრომელნი.





ალავერდის ტაძარი XI ს.



ქვაშეთი. 10 (28) ნოემბერი. ხსენება წმიდისა დიდებულისა დიდისა მოწამისა და ძღვევაშემოსილისა გიორგისა

ძღვევა ჭვარითა ბარბაროსთა ზედა  
ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა მონიჭე  
და ერი შენი საფარველსა ქვეშე  
ჭვარისა შენისა დაიცე, რათა ვიტყოდეთ:  
უფალო დიდება შენდა!

## ჩვენი ეკლესიის მკავლი

ბაბო დადიანი... ვინც თუნდაც ერთხელ შემოვა სიონის ტაძარში, არ შეიძლება არ შენიშნოს ეს მშვენიერი, კეთილშობილი ჭაღარა ქალი... ბევრნი არიან მორწმუნენი... ბაბო დადიანი კი გამორჩეულია... რამდენი რამ ახსოვს, რამდენი რამ უნახავს... რამდენი ტკივილი გადაუტანია, მაგრამ ღვთის რწმენა, რომელიც ამ ქვეყნად მოსვლის დღიდან ჩაისახა და აღიზარდა მასში, ვერაფერმა ვერ დააკარგვინა... იგი დაჩოქილი იდგა სიონის ტაძარში იმ წლებშიც, როცა იქ მხოლოდ შვიდიოდე კაცი ესწრებოდა წირვა-ლოცვას... (იყო ასეთი დროც). უფრო ადრე კი... ბავშვობისა თუ ახალგაზრდობის წლებში კალისტრატე ცინცაძის მშობელი ქვეყნის სადიდებელ ლოცვებს უსმენდა... უდიდეს სიკეთედ დარჩა მასში ნეტარი კალისტრატეს მშვიდი, კეთილი ხმა და მაღალი სიწმიდე... მასზე მოგონებები მისი უძვირფასესი განძია... ახსოვს კათოლიკოს-პატრიარქნი: მელქისედეკი, ეფრემი, ამბროსი ხელაია... მათი ღვაწლი ქართული ეკლესიის წინაშე, მათი ნატვრა ერში რწმენის გაღვიძებისა.




უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II წმიდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენს გადასცემს ქალბატონ ბაბო დადიანს

ჩვენთვის ბაბო დადიანი, დეიდა ბაბო, მუდამ ერთი იმათაგანია, ვინც თავისი არსებობით გვზრდის და გვაკეთილშობილებს... ზოგჯერ მეტად მკაცრი, მაგრამ მუდამ სამართლიანი, მუდამ კეთილი...

იგი ჩვენი მრევლის პირველი წევრია, ვინც მაღალი ჯილდო — წმიდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენი მიიღო.

მოგილოცავთ, ქალბატონო ბაბო! იცოცხლეთ... კვლავაც დიდხანს გვეხილოთ სიონის ტაძარში, მის მარჯვენა მხარეს, დედა ღვთისმშობლის ხატის წინ დაჩოქილი, თქვენი სათაყვანო სამშობლოსა და ხალხისთვის მლოცველი...





## ცნობები ეპარქიებზე

### გოდების ეპარქია

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ლოცვა-კურთხევით, ბოდბის ეპარქიის წმ. ნინოს მონასტერში, სადაც აი, უკვე მესამე წელია მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები, მივლინებული იყო საპატრიარქოს თანამშრომელი ნ. მკვიდლიშვილი.

ტაძარი, როგორც ჩვენს საზოგადოებას კარგად მოეხსენება, დაარსებულია IV საუკუნის მეორე ნახევარში. აქ სამუდამო განსახლება მხოლოდ პატრიარქის განმანათლებელმა, მოციქულთა სწორმა წმიდა ნინომ. სხვადასხვა დროს ამ ტაძარში დიდი ქართველი სწავლული მოღვაწეობდნენ, გარშემო იკრებდნენ ნიჭიერ სსსულებს პირთ და დიდ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ. ესენი იყვნენ — ზაქარია

ბოდბელი (XVII ს.), ონოფრე ბოდბელი (XVIII ს.), იოანე ჯორჯაძე (XVIII ს.) და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სიღნაღისა და ქიზიყის მიტროპოლიტის იოანეს (მავაშვილი, 1743—1837 წწ.) გარჯა ტაძრის გამშენებლებისათვის. მის დროს (1824) ექნა ტაძარი მოხატული. 1889 წელს აქ გაიხსნა დედათა მონასტერი, რამაც მონოტონიური დიდი ნაკადი მიიზიდა. მონასტერში დაარსდა ხელსაქმის სამსწავლებლო სკოლა, სამხატვრო განყოფილება და სხვა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვისა და ეგზარქოსობის დროს, ეკლესია დაკეტილი იყო. 1957 წ. ტაძარი გაიხსნა და მოქმედი გახდა.

1979 წ. უწმიდესისა და უნეტარესის ბრძანებითა და ლოცვა-კურთხევით ბოდბის

ეპარქიის მმართველად დანიშნა ახლად ხელდასმული ეპისკოპოსი ათანასე (ჩახვაშვილი). ტაძარი სარესტავრაციო იყო. ჰეროდან წყალი ჩამოდიოდა, რამაც გამოიწვია ბათქაშის ნაწილობრივი ჩამოშლა, ამან კი დააზიანა ფრესკები. ექვსი თვე დასჭირდა ტაძრის შიდა სამუშაოებს, ექსტერიერის, სანათლის რეკონსტრუირებას.

მონასტრის ეზო კერძო მეომარეებით იყო დაკავებული. ამჟამად 13 კომლი უკვე გაიყვანეს. მიმდინარეობს ეზოს სრული, გენერალური რესტავრაცია. ავარიულ მდგომარეობაში იყო მონასტრის რეზიდენცია. დიდი სამუშაოების შემდეგ, რაც კაპიტალური რემონტი გამოიხატა, იგი ამჟამად წესრიგშია.



### ალავერდის ეპარქია

ალავერდის ტაძარში ჩატარდა რემონტი, დაიდგა ახალი კანკელი... შეკეთდა ბერებისათვის განკუთვნილი სენაკები...



### საგარეჯო

კაპიტალურად შერემონტდა საგარეჯოს ღვთისმშობლისა და წმ. დოდოს ეკლესიები. გაკეთდა ეზო, გაიწმინდა, გამშვენდა, შემოიზღუდა... მოწესრიგდა ორივე ეკლესიის ინტერიერი, დაიდგა ახალი ტრაპეზი, კანკელი... შეიღეს კედლები. განზრახულია მათი მოხატვა. დაიგო ქვის იატაკი. ამ საქმეს სათავეში უდგანან არქიმანდრიტი იოაკიმე (ასათიანი) და ადგილობრივი საეკლესიო საბჭოები.



### წალკა

1979 წელს გაიხსნა ღვთისმშობლის ეკლესია.



### მანგლისი

მიმდინარეობს საეპარქიო რეზიდენციის მშენებლობა, რომელსაც ხელმძღვანელობენ არქიტექტორი ნ. კანდელაკი და ინჟინერი დ. ნაყვები.



### ბათუმი

ხანძრის დროს გადაწვარი ხის ეკლესიის ადგილზე დაიწყო ახალი მშენებლობა. ეკლესია თითქმის აშენებულია. ამ საქმეს მესვეურებს მთავარეპისკოპოსი დავითი (ჭკალა).



### ქუთაისი

შეკეთდა საეპარქიო შენობა, კეთილმოეწყო ეზო. ამჟამად განზრახულია პეტრე-პავლეს ტაძრის მოხატვა...

კეთილმოწყობითი სამუშაოები მიმდინარეობს ნიკორწმიდის, არგვეთის, ურბნისისა და სხვა ეპარქიებში...



### სოხუმი

გამშენებდა საკათედრო ტაძარი. ტაძრის არქიტექტურის სტილის დაცვით მიშენდა შესავალი, გაიყვანეს გათბობა, მოწესრიგდა ინტერიერი. აღადგინეს და გაწმინდეს ძველი მხატვრობა, კეთილმოეწყო საეპარქიო სახლის ეზო, სადაც გაკეთდა ბაღი.

განზრახულია გაგრის ეკლესიის რეკონსტრუქცია.



### ახალციხე

გაიხსნა წმ. მარინეს ეკლესია. კეთილმოეწყო, გადაიხურა...



### ჭყონდიდის ეპარქია

ჩატარდა შემდეგი აღმშენებლობითი სამუშაოები:

1. შეკეთდა ფოთის ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძრის მისასვლელი, მოიხრეშა დაახლოებით 150 მეტრი სიგრძის გზა.

2. მეჩხის მთავარანგელოზთა ტაძრის ეზოში გაითხარა სამრეთი კიდე, სადაც აღმოჩნდა ძველი თედაკეთი კედლის ნაშთი. აღდგენითი სამუშაოები გრძელდება. შენდება ახალი კედელი. მისი დანიშნულება იქნება დაიცავს ტაძრის ეზო მეწყერისაგან, გაფართოვდეს და გამშვენებდეს ტაძრის კარ-მიდამო.

3. თეკლათის მონასტერში მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. უკვე აღადგინეს დანგრეული სამსართულიანი სამრეკლო.

4. გეგეჭკორის რაიონის სოფ. ალერტში არის გუმბათოვანი ტაძარი, ალერტის წმიდა გიორგის სახელობისა. ტაძარი ძლიერაა დაზიანებული და ამჟამად მიმდინარეობს მზადება მის ხელახლა გადასახურავად. შარშან კი ტაძრიდან სოფლამდე მოიხრეშა 3 კმ გზა.



ბოდბელი ეპისკოპოსი ათანასე (ჩახვაშვილი) წმ. ნინოს მონასტერთან

## გზები... სტუმრები... შეხვედრები...

⊙

2 (15) მარტი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტს ილია II აუღენცია სთხოვეს ღონიერება სტუმრებში. დღეგაციაში შედიოდნენ პროფესორები: ელფრიდ ბიკერსტეტი და პიტერ ჰამონი, ფილოსოფოსი კენ პერი, ქალთა განმანათლებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი კრის ბანგესი, მწერალი ქალი ჰაქსლი და ორი სტუდენტი. აუღენციას ესწრებოდნენ: საპატრიარქოს საგარეო განყოფილების ინგლისური ენის თარჯიმანი დოდო ველიაშვილი და კათოლიკოს-პატრიარქის რეფერენტი რევაზ შავერდაშვილი.

ჯგუფს ძირითადად აინტერესებდა ქართული ძეგლები, კერძოდ, მართლმადიდებლური ეკლესიები, აგრეთვე, ქართული საეკლესიო საგალობლები.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ინგლისელ სტუმრებს საჩუქრად გადასცა ვ. გვახარიას ნაშრომი „ქართული საეკლესიო მუსიკა“, ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ გრამფირფიტები და ფოტოალბომი „ქართული კერამიკა“. აკურთხა და დალოცა.

⊙

23 მარტი (5 აპრილი). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II თავის რეზიდენციაში მიიღო უცხოელ სტუმართა ჯგუფი (40 კაცი), ღირსი სამუელ სააგიანის ხელმძღვანელობით. ჯგუფის წევრები იყვნენ კათოლიკე, მართლმადიდებელი და პროტესტანტი მორწმუნენი საფრანგეთიდან, ბელგიიდან, შვეიცარიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ილია II ესაუბრა მათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიასა და მის დღევანდელ მდგომარეობაზე. მისმა უწმიდესობამ პასუხი გასცა სტუმართა კითხვებზე, რომელიც ეხებოდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციებს, ქართული ეკლესიის ურთიერთობას მსოფლიოს სხვა ეკლესიებთან, საქართველოს ეკ-

ლესიის მზადებას ყოველთა მართლმადიდებელთა წმიდა და დიდი კრებისათვის და მის მონაწილეობას ეკუმენურ მოძრაობაში.

⊙

10 (23) აპრილი. დღის 12 საათზე, უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტს ილია II აუღენცია სთხოვა ფრანგთა 25 კაციანმა ტურისტულმა ჯგუფმა, რომელშიც ხუთი ფრანგი კათოლიკე მღვდელი შედიოდა. ესენი იყვნენ: რენე პოპელინი, პიერ კალიმე, ბერნან ვო, ივ ბასელე და უმბერტო დონატო.

გულითადი მისალმების შემდეგ, სტუმართა კითხვას — საქართველოს ეკლესიის წარსულისა და აწმყოს შესახებ, მისმა უწმიდესობამ ვრცელი პასუხი გასცა. ბრძანა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, V საუკუნიდან მოყოლებული, ავტოკეფალურია, რომ საქართველოში ქრისტიანობის გარიყრაზე მაცხოვრის რწმენა იქადაგეს მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა, რომ ეს უკანასკნელი აქვე, აფხაზეთის მიწაზე განისვენებს. უწმიდესმა სტუმრებს მოუთხრო მოციქულთა სწორის, წმიდა ნინოს ცხოვრებაზე, რომლის დეაწლითაც იბერიაში IV საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ეკლესიას ერი არც განსაცდელში მიუტოვებია და არც მშვიდობიანობის დროს.

რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის დღევანდელ ცხოვრებას, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სტუმრებს ამცნო, რომ ჩვენთან დღეს 15 ეპარქიაა, რომლებსაც სათავეში უდგანან მიტროპოლიტები, მთავარეპისკოპოსები და ეპისკოპოსები. რაც შეეხება კადრებს, არსებობს მცხეთის სასულიერო სემინარია, სადაც, დღესდღეობით, 40 სტუდენტი ეუფლება თეოლოგიის საფუძვლებს. წარჩინებული სტუდენტები რეკომენდაციით იგზავნებიან მოსკოვისა

და ლენინგრადის სასულიერო აკადემიაში. ჩვენი ორი სტუდენტი კი თეოლოგიის საბერძნეთში, ათენის უნივერსიტეტში ეუფლება.

მისმა უწმიდესობამ ბრძანა, რომ ქართული ეკლესიის გზა სხვათა მიმართ ძმური სიყვარულია. გაიხსენა თავისი შარშანდელი შეხვედრა რომის პაპთან იოანე-პავლე II, აღნიშნა, რომ ნამყოფია საფრანგეთში, სადაც ქართველთა დიდი კოლონია არსებობს, რომ პარიზში არის წმიდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის წინამძღვარია დეკანოზი ილია მელია.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II შეეხო რა თანამედროვე სამყაროში გამწვავებულ ურთიერთობას, სტუმრებს მოაგონა, რომ ყოველი ქრისტიანისათვის, ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის, დიდი ფასი აქვს იესო ქრისტეს მოწოდებას მშვიდობისაკენ, რომ არავინ არ უნდა გადაუხვიოს უფლის სიტყვას, თუ სურს დაიმკვიდროს ადგილი სასუფეველში, რამეთუ „ყოველთა, რომელთა, აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ“ (მთ. 26, 52).

მღვდელმა პიერ კალიმემ მის უწმიდესობას დიდი მადლობა მოახსენა საინტერესო საუბრისათვის და გადასცა გულითადი მოკითხვა და წერილი ოტენის, შალონისა და მაკონის ეპისკოპოს ფრანსუა დე ბურეუასაგან. მოგვყავს წერილის ტექსტი:

### სრულიად საქართველოს

### კათოლიკოს-პატრიარქს,

მის უფმიდესობას ილია II

თქვენო უწმიდესობა,

მშვიდობა და ქრისტეს მფარველობა არ მოგკლებოდეთ თქვენ და თქვენი ეკლესიას.

საონისა და ლუარის (საფრანგეთი) ქრისტიანები, გადმოგცემენ ჩემს დიდ წუხილს იმასთან დაკავშირებით, რომ მოუხედავად დიდი სურვილისა, ვერ შევძლებ გამოვუ-

ძღვე მათ დელეგაციას. მამბროლებს მის უწმიდესობა **იოანე-პავლე II** აღრევე დაგვიგმილი ვიზიტი.

ეს ჯგუფი თქვენ გადმოგვცემთ ჩვენი ეპარქიის ქრისტიანების ძმურ სალამს. ისინი ილოცებენ თქვენთან ერთად, რათა ღმერთმა მაღალმა აღმოგვაჩინოს გზა, რომელიც მიგვიყვანს ეკლესიათა საერთო, თვალწინულ ერთიანობამდე.

გადმოგვცემთ ჩვენს ეპარქიაში ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი დამაარსებლის, წმიდა მარსელის წმიდა რელიკვიებს. წმიდა პოტენის მოწაფე, თავად წმიდა ირინეის შემკვიდრე, წმიდა იოანეს მეგობარი — მარსელი აწამეს შალონსაონის მახლობლად. იქაურები არიან ქრისტიანები, რომელთა მიღებასაც გთხოვთ.

დაე, ეს შეხვედრა ყოფილიყოს ჩვენი ერთიანობისა და ძმობის საწინდარი.

რომში წმიდა პავლესა და პეტრეს საფლავებთან ვილოცებ თქვენი უწმიდესობისა და სრულად საქართველოს ეკლესიისათვის.

#### ზრანსუა დე ბურჟუა

ოტენის, შალონისა და მაკონის ეპისკოპოსი



8 (21) აპრილი. მის უწმიდესობას და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტს **ილია II** ესტუმრა ამერიკელ ბაბტიტთა ჯგუფი: დოქტორი ნილ ჯონსი — ვაშინგტონის ბაბტიტთა ეკლესიის პასტორი, დოქტორი დეილი სმიტი — სამხრეთის ბაბტიტური გაერთიანების პრეზიდენტი, დოქტორი მონროუ — სამხრეთის ბაბტიტური გაერთიანების პასტორი, დოქტორი ლენდ კრისტი — შინეაპოლისის სასულიერო სემინარიისა და კოლეჯების პრეზიდენტი. სტუმრებს ახლდნენ: ილია ორლოვი — სახარების ქრისტიანულ-ბაბტიტთა საკავშირო საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე, ნოდარ კვირიკაშვილი — ამიერკავკასიის ბაბტიტთა უფროსი პრესვიტერი.

გაიმართა გულთბილი დიალოგი. მისმა უწმიდესობამ აღნიშნა, რომ

ფრიად მოხარულია ამერიკელი სტუმრების ვიზიტით, რომ მართლმადიდებლებსა და ბაბტიტებს აერთიანებთ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, **იესო ქრისტეს** რწმენა. გაიხსენა მეგობრული ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მისი მასპინძელი იყო ამერიკელ ბაბტიტთა მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი რობერტ დევიდი.

მისმა უწმიდესობამ მათთან მეტი დაახლოებისა და თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. აღნიშნა ბაბტიტური მოძრაობის დადებითი მხარეები, რაც მათ ქადაგებებში გამოიხატება.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია II** ამერიკელ სტუმრებს ვრცლად მოუთხრო საქართველოს მართლმადიდებელი, ავტოკეფალური ეკლესიის წარსულსა და აწმყოზე. სტუმართა კითხვას, თუ რა როლს თამაშობს ჩვენში ბიბლია, მისმა უწმიდესობამ უპასუხა, რომ სიონის საკათედრო ტაძარში, წირვა-ლოცვის ყამს, შეუწყვეტილად იკითხება ოთხი სახარება, რომ ახალ ქართულ ენაზე ბერძნულიდან უკვე თარგმნილია ახალი აღთქმა, რომელიც მალე დაიბეჭდება, რომ თარგმნის პროცესშია ძველი აღთქმა.

შეეხნენ რა თანამედროვე მსოფლიოში გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებას, ორივე მხარე მტკიცე დასკვნამდე მივიდა: საჭიროა განიფანტოს ურთიერთეჭვი და ყველა ღონე იხმარონ მშვიდობის შენარჩუნებისათვის, რათა არ მოხდეს მსოფლიო კატასტროფა.

მისმა უწმიდესობამ წასვლისას სტუმრებს დაურთო სუვენირები, დალოცა და მშვიდობის გზა უსურვა.



29 მაისს (11 ივნისს) საქართველოს ეკლესიას ეწვივნენ ბერძენი სასულიერო მოღვაწენი: მალაყოვლადუსამღვდელლოესი კიპროსის მიტროპოლიტი ბარნაბა (ჯორჯატო), მალაყოვლადუსამღვდელლოესი ნიკოპოლისა და პრევეზის მიტროპოლიტი მელეტიოსი (კალამარას) და მისი კურთხევა ნიკოლოს (იოანადონი).


სტუმრებმა მოილოცეს თბილისის ტაძრები, დაათვალიერეს წმიდა ქალაქი-მუზეუმი მცხეთა, იყვნენ ჯვრის მონასტერსა და სვეტიცხოვლის ტაძარში.

მეორე დღეს, საღამოს ხუთ საათზე, სტუმრები მიიღო მისმა უწმიდესობამ **ილია II**. ვრცლად ესაუბრა საქართველოს ეკლესიის წარსულზე, მის დღევანდლობასა და მომავლის გეგმებზე... შემდეგ, საღამოს 6 საათზე სიონის საპატრიარქო ტაძარში ჩატარდა ერთობლივი საზეიმო ლოცვა...

მეორე დღეს კი თბილისის წმ. გიორგის ქვაშვეთის ტაძარში შედგა საღმრთო-საღვთაღმთაწალო ლიტურგია.

მისმა უწმიდესობამ წმ. სინოდის გადაწყვეტილებით, წმ. გიორგის პირველი ხარისხის ორღენებით დააჯილდოვა მიტროპოლიტები ბარნაბა და მელეტიოსი.

მიტროპოლიტმა ბარნაბამ გამოთქვა ჩვენი ორი სამოციქულო ეკლესიის უფრო დაახლოებისა და დამეგობრების მტკიცე რწმენა და მის უწმიდესობას საჩუქრად გადასცა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ფერწერული ხატი.



# შემოქმედების დიდი მადლი

თბილისელთა ყურადღებას იქცევს თოთხმეტი წლის გოგონას — რუსუდან ფეტვიაშვილის გრაფიკული ნამუშევრები.

გამოგნებელია ეს ნახატები... ბოროტება და სიკეთე, სიმახინჯე და სილამაზე... აი, ის ძირითადი თემები, რომელიც მრავალწახანაგოვანი აზრით და ნიუანსით ცოცხლდება მათში.

ამოუწურავია და ღრმა ის რთული სამყარო, რომელსაც იგი გვთავაზობს.

გასაოცარია რუსუდანის არა მხოლოდ მართლა ძალზე რთული და სრულყოფილი კომპოზიციები, არამედ ტექნიკური სიზუსტეც... ხატავს ტუშით, აკვარელით, ფანქრით... ხატავს გამუდმებით, თითქმის ყოველდღე (ზოგჯერ ორიოდ კვირის შუალედით, ისიც იშვიათად). მეშვიდე კლასშია, სწავლობს ფრიადზე.

გარეგნული მიმსგავსებით მის ნახატებში ხშირად ხედავენ ძველგვიბტურ თუ, საერთოდ, ძველდროსაველური მხატვრობის ერთგვარ ანარეკლს... ასევე ლაღო გუდიაშვილისეულ ხაზებსა და განწყობილებებს... მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული მიმსგავსებით. ეს განწყობილებები და ხაზები, ეს გარეგნული მიმსგავსებანი მის ნახატებში ბევრად უფრო აღრე გაჩნდა, ვიდრე იგი ეგვიპტისა თუ სხვა მხატვრობის ნიმუშებს ნახავდა. მათში, როგორც ამას უკვე სხვებიც აღიარებენ, უძველესი ქართული სულია გაცხადებული; ეს ის ცოდნაა, რომელიც გზადაგზა და თანდათან ისევ გვიბრუნდება.

საგულისხმოა ისიც, რომ რუსუდანს ხშირად აღარც ახსოვს შინაარსი იმ ნახატისა, რომელიც შექმნა. შთაგონება მოდის და შემოქმედის ხელი ქმნის...

გაოცებისა და სიყვარულის გამოძახილებით ივსება შთაბეჭდილებათა წიგნები ბავშვთა ნამუშევრების მუზეუმის საგამოფენო დარბაზში... მრავალთა შორის ამ წიგნში ერთი ძვირფასი ჩანაწერიცაა.


სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა რუსუდან ფეტვიაშვილის გამოფენის ნახვის შემდეგ გოგონა თავის რეზიდენციაში მიიწვია. „თუ გინდა შეგჩვენო ეს დიდი მადლი შემოქმედებისა, არ უნდა გაამპარტავნდეო“, — უთხრა მას. მისმა უწმიდესობამ.

„რუსუდანმა საოცრად შეძლო ზებუნებრივის ხილვა. ნათელი ღვთისა და მისგან გამოძვალვი ნიჭი ეფინება მრავალს, მაგრამ რუსუდანი, ამ შემთხვევაში, რჩეულია!

ღმერთმა დალოცოს და განაძლიეროს!“

ილია II

8 (21) III 1982 წ.





# ლექსიკონი და გენეარტიკანი

საღვთისმსახურო საკითხავები, ლოცვები და საგალობლები

ღვთისმსახურება მართლმადიდებელ ეკლესიაში შედგება სხვადასხვა საკითხავების, ლოცვებისა და საგალობლებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია სრულიად გარკვეული წესით (ტიპიკონით).

**საკითხავები შემდეგი სახისაა:**

- სახარების საკითხავი
- სამოციქულოს საკითხავი
- საწინასწარმეტყველო (საკითხავები ძველი აღთქმის წიგნებიდან)
- წმიდა მამათა ქადაგებანი

**ლოცვები შემდეგი სახისაა:**

საიდუმლო ლოცვა — ასეთ ლოცვებს მღვდელი ასრულებს ჩუმადა.

**საყოველთაო ლოცვანი** — ამ ლოცვებს ასრულებს ყოველი მორწმუნე ადამიანი დილით, ძილის წინ, სადილის წინ, ყოველი საქმის დაწყების წინ, მგზავრობის წინ და სხვა შემთხვევებში.

**ასამაღლებელი** — ეწოდება იმ მოკლე ლოცვას, რომელსაც მღვდელი ან მღვდელმთავარი ხმამაღლა ამბობს საიდუმლო ლოცვისაგან განსხვავებით. (ასამაღლებლის თქმის უფლება აქვს მხოლოდ მღვდელმთავარსა და მღვდელს). მაგ.: „რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აჲ და მარადის, და უკუნიითი უკუნისამდე“, „ზე გვაქვნი გულნი“, „ვმადლობდეთ უფალსა“, „ვიუყარებოდეთ ურთიერთას რათა ერთობით აღვიარებდეთ“, და ა. შ. ასამაღლებლების დიდ ნაწილს მისდევს გუნდის „ამინ“, ან რაიმე საგალობელი.

**ტროპარაი** — კონდაკთან ერთად არის ამათუიმ დღესასწაულის (ან წმიდანის) ძირითადი ლოცვა, რომლითაც ვითხოვთ წმიდანთა მყოფობას (დახმარებას, შუამდგომლობას) ღვთის წინაშე. ტროპარს ქართულად ეწოდება „ოხითა“. მათი საქმიანობა მოთავსებულია წიგნში, რომელსაც ეწოდება **ჟამნი**. ტროპარები ეწოდება, აგრეთვე, კანონის ზოგიერთ მუხლებს.

**კონდაკი** — ტროპართან ერთად არის ამა თუ იმ დღესასწაულის (ან წმიდანის) ძირითადი ლოცვა. იკითხება ტროპარის შემდეგ, ჩაერთვის ჟამნში (პირველი, მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამნები) და, აგრეთვე, კანონში (იკოსის წინ).

(ჟამნი არის ღვთისმსახურების ერთ-ერთი სახე. ამის შესახებ იხ. ჟურნალის შემდეგ ნომერში).

**კანონი** — 9 გალობის ერთობლიობა. თითოეულ გალობაში შედის ხუთი მუხლი (ან მეტი). თითოეული კანონი ეძღვნება ამა თუ იმ წმიდანს ან დღესასწაულს. არსებობს საზოგადო და სპეციალური კანონები. საზოგადო კანონებში (საგალობლებში) შექმნილი და განდიდებულია წმიდანთა ესა თუ ის დასი. მაგ. არსებობს მთავარანგელოზებისადმი მიძღვნილი კანონი, ასევე, დიხსი მამებისადმი, მოწამეებისადმი, მღვდელმთავრებისადმი მიძღვნილი და სხვა. აქ შეგვიძლია ჩაუერთოთ ამა თუ იმ წმიდანის სახელი (დასის მიხედვით) და ეს კანონი შეგვიძლია გამოვიყენოთ ამა თუ იმ წმიდანის სადიდებლად. მაგ., მოციქულებისადმი მიძღვნილი კანონი შეგვიძლია ვიგალობოთ როგორც **მეტრე** და **პავლე** მოციქულების სადიდებლად, ასევე **ანდრია პირველწოდებულის**, **იოანე ღვთისმეტყველის**, **წმიდა ნინოს**, **მირიან მეფისა** და სხვა მოციქულთა (აგრეთვე, სხვა მოციქულთა სწორთა) სადიდებლადაც. სპეციალური კანონები კი ეძღვნება სრულიად გარკვეულ დღესასწაულს, ან წმიდანს.

**სმლისპირი** — კანონის თითოეული გალობის პირველი მუხლი.

— კანონის თითოეული გალობის მეორე და მესამე მუხლებს ეწოდება **ტროპარები**.

**სამებისა** — კანონის თითოეული გალობის (ან სხვა რომელიმე ლოცვის, ან საგალობლის) ბოლოსწინა მუხლი, რომელშიც ეუვალობთ **ყოველწმიდა სამებას** — **მამას, ძესა და სულიწმიდას**. „სამების“ მუხლის წინ ყოველთვის ითქმის ჩასართავი: „დიდება მამისა და ძესა და წმიდასა სულსა“.

**ღვთისმშობლისა** — ყოველი გალობის (მათ შორის კანონის გალობების) ბოლო მუხლი, რომელიც ეძღვნება **ღვთისმშობელს**. ამ მუხლის წინ ყოველთვის ითქმის: „აჲ და მარადის, და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ“.

**კატავასია** — კანონის თითოეული გალობის დამამთავრებელი მუხლი (ანუ „დასაფარებელი“). კატავასიებად გამოყენებულია სძლისპირები (ხანდახან იგივე კანონისა, ხანაც — სხვა).

**კვერქსი** — დიაკვნის სათქმელი მოკლე-მოკლე ლოცვების წყება, რომელზედაც გუნდი პასუხობს ხან „უფალო, შეგვიწყალებ“, ხან — „მოგვმადლე, უფალო“, ხანაც — „შენ, უფალო“. კვერქსის სახეობაა:

- მცირე კვერქსი (აქვს სამი მუხლი და ასამაღლებელი).
- დიდი კვერქსი (აქვს 7—8 მუხლი, ან მეტი).
- თხოვნითი კვერქსი (დიდი და მცირე კვერქსებისაგან განსხვავებით, გუნდი მის ზოგიერთ მუხლებზე, გარდა „უფალო, შეგვიწყალებისა“, პასუხობს „მოგვმადლე, უფალო“-თი).
- მრჩობლი კვერქსი (თითოეულ მუხლზე გუნდი პასუხობს სამამაც „უფალო, შეგვიწყალებით“).

— მიცვალებულის კვერქსი ორნაირია: მცირე და მრჩობლი. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ პირველი მათგანი იწყება „მერმე და მერმე“-თი, მეორე კი — „შეგვიწყალებ“-ით. ასევე, პირველი მათგანის მუხლებზე გუნდი პასუხობს თითო „უფალო, შეგვიწყალებით“ (მინორულ კილოზე), მეორის მუხლებზე — სამამაცით.

**იკოსი** — გრძელი მუხლი, რომელიც იკითხება კანონში VI გალობის შემდეგ, კონდაკთან ერთად. იკოსი ეწოდება დაუქდომლის გრძელ მუხლებსაც (დაუქდომლის იკოსს მეორენაირად იბაკოსაც უწოდებენ).

**იბაკო** — ცისკრის ლოცვაზე „ნეტარ არანის“ შემდეგ (მე-19 კანონის შემდეგ) წასაკითხი ლოცვა.

**ანტიფონი** — ცისკრის ლოცვაზე იბაკოს შემდეგ წასაკითხი რამდენიმე მუხლიანი ლოცვა.

**აღსავლები** (ანუ ანტიფონები) ეწოდება წირვის პირველ სამ საგალობელს, რომელიც ემთხვევა სადილის ჟამნის პირველ სამ ლოცვას. საუფლო დღესასწაულებს აქვთ სპეციალური აღსავლები.

**განმანათლებელი** — ცისკარზე წასაკითხი სამმუხლიანი ლოცვა (კანონის შემდეგ).

**გერი** — მცირე ზომის საცისკრო ლოცვა, რომელიც ჩაერთვის აქედნითის დასდებლებში (ბოლოსწინა მუხლად). იკითხება, აგრეთვე, ლამისთევის ლოცვის დროს, სახარების შემდეგ, ალსტვა რა იესოს ნაცვლად.



**ფსალმუნები** — ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველის დავითის საგალობლები. ღვთისმსახურებაზე იკითხება ყველაზე უხვად სხვა ლოცვებითან შედარებით.

**სტიხოლოგია** (ბერძ. „ღმრთის კითხვა“), ივულისხმება დავითის ერთი რომელიმე კანონის წაკითხვა.

**დასდებელი** — ლოცვების ერთობლიობა, რომლებიც ჩაერთვის ხოლმე ამა თუ იმ ვრცელი ლოცვის ბოლო მუხლებში. მაგ, „უფალო, ღალად-გყავზე“, „სტიქარონზე“, „აქებდითზე“ და სხვა.

**წარდგომა** — ორი პატარა მუხლი, რომლებიც მორიგეობით იკითხება დიაკვნისა და გუნდის (ან მეღვთისისა და გუნდის) მიერ შემდეგნაირად:

დიაკონი: I მუხლი

გუნდი: II მუხლი

დიაკონი: II მუხლი

გუნდი: I მუხლი

დიაკონი: I მუხლის ნახევარი

გუნდი: (დაბოლოებს)

არსებობს წარდგომები დღის, ხმის, წმიდანის, დღესასწაულისა და სპეციალური (საეკლესიო წესებზე შესასრულებელი). ორმუხლიანი წარდგომის გარდა არსებობს დიდი წარდგომებიც (ოთხმუხლიანი).

**განიცადე** — პატარა საგალობელი, რომელიც წირვის ბოლო ნაწილში იგალობება.

**ალილუიას მუხლები** — ორი მცირე მუხლი, რომელიც დაერთვის ხოლმე სამოციქულოს კითხვას, ხოლო ამ მუხლების შემდეგ გუნდი გალობს „ალილუიას“ (სამჯერ).

**დაუჯდომელი** — ვრცელი საგალობელი, რომელიც შედგება მორიგეობით წასაკითხავი კონდაკებისა და იკოსებისაგან. კონდაკი მცირე ზომის ლოცვაა, იკოსი — უფრო ვრცელი. დაუჯდომელში არის ერთი შესავალი კონდაკი, 12 სხვა კონდაკი და მათში ჩართულია 12 იკოსი. თითოეული იკოსი შედგება შესავალი ნაწილისა და 12 „გიხაროდენისაგან“. მე-13 გიხაროდენი არის განმეორება შესავალი კონდაკის დაბოლოებისა. დანარჩენი კონდაკები ბოლოედებიან სიტყვით: „ალილუია“.

საბალობლიბად გამომყინებულა:

ფსალმუნები,  
რჩეული ლოცვები (მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა, სვიმონ ღვთისმამრქმელისა და სხვ),

— ანგელოზთა გალობანი („წმიდაო ღმერთო“, „დიდება მაღალთა შინა“).

— სძლისპირნი და კატავასიები,

— ტროპარი, კონდაკი, აღსავალი, წარდგომა, ალილუია, განიცადე, კვერქსები,

— სხვადასხვა ჩასართავები (მისამღერები).


იღუმენი ექვთიმე (კოჭლამაზაშვილი)

სიონი.

მირქმა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტისი.  
მწირველი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე)



она призвана сыграть в будущем. Патриарх особое место уделяет важнейшей задаче — проблеме мира. Всех соотечественников и находящихся за пределами нашей Родины христиан и не христиан призывает к взаимной любви, очищению чувств, обновлению духовного стремления и приближению к Господу нашему Иисусу Христу в глубине христианского сознания.



## «ДЖВАРИ ВАЗИСА»

КРЕСТ ИЗ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ

№ 1 (9), 1982 года

Пасхальное послание Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха всея Грузии Илия II.

Глава Грузинской церкви поздравляет свою паству с великим христианским праздником — Воскресением Христовым.

«Христос Воскресе!» — слова эти неизмеримы и велики. Воскресение Христово — величайшее событие не только евангельской истории, но и всей жизни Церкви Христовой. Воскресение Христово — это прообраз воскресения каждого из нас, прообраз воскресения Церкви, которая является Телом Христовым» — пишет Католикос-Патриарх Илия II в послании и вновь напоминает о той святости и христианской жизни, которой требует от верующего Церковь. Его Святейшество Илия II отмечает ту большую роль, которую Церковь сыграла в прошлом истории грузинского народа и ту роль, которую

Реликвии Грузинской церкви — в этой рубрике рассказывается история о том, как был привезен и захоронен в святом городе Мцхета (древняя столица Грузии) хитон Спасителя.

В летописи «Картлис цховреба» (Летопись Картли) и в житии Матери нашей, равной апостолам, просветительницы Грузии святой Нины говорится о том, что «житель великого города Мцхета» Елиазар (Елиоз) присутствовал при распятии Иисуса Христа, потому он выкупил у одного из всадников хитон, которому тот достался по жребию во время дележа одежды Иисуса Христа. Хитон Спасителя Елиазар привез в Грузию.

В слезах встретила Елиазара сестра его Сидония, прижала хитон к груди и тут же скончалась от невыносимого горя. Никакой силой не смогли вырвать из окоченевших рук покойной хитон, и так как не было другого выхода, похоронили Сидонию с хитоном на том месте, где сейчас воздвигнут патриарший собор Светицховели. На месте захоронения сразу же выросли кипарисы и распустились прекрасные благоухающие цветы.

Впоследствии, во времена святой Нины (IV век) срезали кипарисовое дерево. На этом месте возник сияющий столб, который никакой силой не могли сдвинуть с места, только благодаря молитвам святой Нины, вознесся в воздух в рост двух человек. С благоухающего и сияющего столба текло миро. Первый грузинский царь-христианин Мириан на этом месте построил церковь.

Хитон Спасителя нашего Иисуса Христа является величайшей святыней Грузинской церкви, которой с благоговением поклоняются все христиане.

«Деяния и заслуги» в этой рубрике напечатана информация о состоявшемся 19—20 марта в Москве диалоге между Представителями Русской и Грузинской Православных церквей, который был посвящен вопросу автокефалии Грузинской церкви.

Как известно, Грузинская церковь еще в V веке получила от Антиохийской церкви право на автокефалию, но впоследствии, из-за исторических бедствий в начале прошлого века, лишилась ее. Было сформулировано общее мнение: для рассмотрения и изучения указанного вопроса разослать во все патриаршества мира труд «Автокефалия Грузинской церкви», что способствовало бы решению этого важнейшего вопроса, абы Грузинская церковь смогла занять исторически принадлежащее ей место.

«Письма, послания, поздравления»... В журнале публикуется послание Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха всея Грузии Илия II к Святейшему Иоанну-Павлу II, в котором высказана радость по поводу Его полного выздоровления. Его Святейшество Илия II благодарит также Папу Римского за получение микрофильмов, в которых отображены некоторые стороны истории Грузии. Здесь же печатается ответное послание Папы Римского, в котором Его Святейшество благодарит Католикоса-Патриарха Илию II за добрые пожелания.

Печатается письмо заместителя секретаря Департамента Христианского Единения Пьера Дюпре, о найденных в архивах «Конгрегации пропаганды ФИДЕ» материалах, отображающих страницы истории Грузии.

В журнале напечатано Пасхальное поздравление Его Святейшества Илия II к святым отцам Иверского монастыря на Афоне, к настоятелю церкви св. Нины в Париже Илье Мелиа, а также благодарственная телеграмма святых отцов Афонской обители.

«Мир всем»... В Москве с 10 по 14 мая проходила Всемирная конференция защитников мира, в которой приняли участие представители всех религий и религиозных объединений из разных стран мира. На форуме с ответственной речью выступил Святейший и Блаженнейший Католикос-Патриарх всея Грузии Илия II. В журнале дается краткий отчет о работе конференции, печатается речь Католикоса-Патриарха Илия II. Здесь же публикуется приветствие Председателя Совета Министров СССР Н. А. Тихонова к участникам конференции.

С 2 по 6 (15—19) февраля в Женеве (Швейцария) состоялось заседание Исполнительного комитета Всемирного Совета Церквей, в котором принял участие Президент Всемирного Совета

Церквей, Католикос-Патриарх всея Грузии Илия II.

В журнале напечатан краткий отчет заседания и речь Илии II, произнесенная в соборе Всемирного Патриаршего Центра.

Публикуется информация о IV заседании смешанной богословской комиссии по православно-старокатолическому диалогу проходившей в Загорске, в которой участвовала делегация Грузинской церкви.

Здесь же информация о торжествах, прошедших в Чехословакии в связи с 30-летием автокефалии Чехословацкой православной церкви. Публикуется также приветствие руководителя делегации Грузинской церкви архиепископа Иоанна (Ананишвили).

Под рубрикой «Пути, гости, встречи» печатается информация о приезде в Грузинскую церковь иностранных гостей, с которыми встретился и имел беседу Католикос-Патриарх Илия II.

В этом году исполняется 160 лет со дня рождения и 75 лет со дня смерти выдающегося церковного деятеля епископа Александра Окропиридзе, которого соотечественники называли — «Строителем» и «Огцом Всея Грузии». В статье В. Цундели рассказывается о его заслугах перед Грузинской церковью.

«Последняя панихида»... Каждый год 2(15) февраля Грузинская церковь отмечает день кончины Святейшего и Блаженнейшего Патриарха Калистрата. И в этом году Католикос-Патриарх Илия II отслужил панихиду за упокой души Святейшего Калистрата в кафедральном соборе Сиони, где на протяжении двух десятков лет тот молился Всевышнему о долголетию своего народа и церкви.

«Сегодня мы отслужили последнюю панихиду, в дальнейшем будем слушать только молебны и вознесем молитвы к его светлой душе содействовать нам», — обратился Патриарх Илия II к пастве.

Под рубрикой «Богословие» в журнале напечатан перевод статьи профессора Лосский «Образ и подобие». Здесь же читатели могут ознакомиться с церковными преданиями.

В рубрике «Поэзия» печатаются стихи духовного содержания, авторами

которых являются: митрополит Шно (Авалишвили), архиепископ Тадеоз (Иорамашвили), архиепископ Константин (Меликидзе) и иеромонах Гиоргий (Одишвили).

Песнопения.

В журнале напечатано песнопение — «Святой Боже». Комментирует регент мужского хора певчих Сионского собора Нодар Кикнадзе.

В этом году Грузинская церковь понесла тяжелые потери.... Почил Циканский митрополит Гиоргий (Гонгадзе), протопресвитер Сионского собора Пахум Оболадзе и монахиня Джихетского женского монастыря Анастасия. В журнале напечатаны некрологи и прощальные письма.

«В какие дни следует поминать усопших» — автором статьи является архимандрит Антон (Гулиашвили).

В рубрике — «Церковная жизнь» рассказывается о богослужениях Патриарха Илии II, строительной деятельности проводимой в епархиях и о других текущих вопросах.

Богословский словарь и толкования. Комментируются молитвенники и песнопения, разъясняется их смысл и значение. Составитель игумен Евфимий (Кочламазашвили).

## DJVARI VAZISA

### THE CROSS OF VINE

No 1 (9), 1982

Paschal Epistle of His Holiness and Beatitude Iliia II, Catholicos-Patriarch of All Georgia.

The Primate of the Georgian Church congratulates the congregation with the greatest Christian feast the Resurrection of the Christ.

«Christ is Risen!» — these words are unfathomable and great. The Resurrection of the Christ is not only the greatest event of the Evangelical History, but of the whole life of Christ's Church as well. The Christ's Resurrection is the

prototype of each of us, the prototype of Church's Resurrection, which is the body of the Christ» — writes Patriarch Iliia II in the Epistle and reminds us once more about the sanctity and the Christian way of life, which is required by Church from a believer.... He points to the great role of the Church in the past of the Georgian Nation and the role she is supposed to play in the future. The great attention is paid to the problem of peace. His Holiness wishes all compatriots living in Georgia or abroad, Christians or non-Christians to live in mutual Love, to purify their feelings, to renew their spiritual aspirations and in depth of the Christian consciousness to approach Our Lord Jesus Christ.

Relics of the Georgian Church — In this section of the Journal, the history of bringing and burring in the Holy City of Mtskheta (Old capital of Georgia) of the Saviour's Robe is published.

In the chronicles «Kartlis Tskhovreba» («Life of Kartli») and «The Life of Our Mother, the Equal to Apostles St. Nina, the Enlightener of Georgia», is described, that «the citizen of the Great City of Mtskheta» Eliazar (Elyoz) was the witness of Jesus Christ's Crucifixion. He redeemed the Robe of the Saviour from one of the horesman who got it by lot, while sharing Jesus Crist's garments and brought it to Georgia. Sydonia, his sister met him in tears and pressing the Robe to her heart, died the sorrow-stricken. The Robe couldn't be taken away from the frozen hands and Sydonia, together with the Robe was burried in the place, where now the Patriarchal Cathedral of Svetitskhoveli is irrected. On the burrial place grew the cypress tree and the beautiful fragrant flowers bloomed.

Later, in times of St. Nina (4th century) the first Christian King of Georgia Mirian ordered the cypress to be cut down, for the purpose of building the Church, but the light-bearing trunk could not be rolled away and only with the help of St. Nina's prayers the trunk was ascended on the hight of two men. From the sweat-smelling and light-giving stem the mirth was coming down. The Robe of Our Saviour Jesus Christ is the greatest sanctity of the Georgian Church and is worshiped by all Christians with the profound veneration and respect.

«Deeds and Merits» — Under this title the information about the Dialogue between the representatives of the Russian

and Georgian Orthodox Churches is given, which was held in Moscow on March 19—20 and was dedicated to the questions of autocephaly of the Georgian Church.

It's quite well-known that the Georgian Church got her independence from the Patriarch of Antiochia in the 5th century, but at the beginning of the 19th century lost it because of the historical distresses. The common opinion was formulated at the meeting: The article «Autocephaly of the Georgian Church» was decided to be sent to all Patriarchates of the world for the solution of the problem and the Georgian Church to occupy her historically established place.

«Letters, Messages, Greetings»... the message from His Holiness and Beatitude Ilia II, Catholicos Patriarch of all Georgia to His Holiness John Paul II, is published in the Journal. In the message the heartfelt joy is expressed because of His Holiness's complete recovery and also Ilia II thanks His Holiness for the received microfilms, in which some historical facts concerning Georgia are depicted. The message of the Pope of Rome, in which His Holiness thanks Ilia II for his best wishes, is also published in the Journal with the letter from the Acting Secretary of the Secretariat for Promoting Christian Unity, Rev. Father Pierre Duprey, about the Georgian historical materials preserved in the Archives of the Propaganda FIDE. Easter greetings from His Holiness Ilia II to the Fathers of Iveron Monastery on mount Athos and the Dean of St. Nina's Church in Paris, Ilia Melia are also published in this section with the message of thanks from Rev. Fathers of Iveron.

#### «Peace to All».

In Moscow on May 10—14 was held the World Conference, in which the representatives of all the Religions and the Religious associations from different countries of the world took part. His Holiness and Beatitude Ilia II applied to the forum with salutatory address. The speech

of His Holiness and Beatitude Ilia II and the communique of the Conference are published in the Journal. The greeting message from the Chairman of the USSR Council of Ministers N. A. Tikhonov to the participants of the conference is also published.

On February 2—6 (15—19) in Geneva, Switzerland, was held the meeting of the WCC Executive Committee in which Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II took part as the President of the World Council of Churches.

The short summary of the meeting is published in the Journal with the speech of His Holiness Ilia II made in the church of the Oecumenical Patriarchate's centre.

In this section the information on the meeting of the Joint Orthodox—Old Catholic 4th Theological Commission is published. The meeting was held in Zagorsk and the delegation of the Georgian Church took part in it.

The information on the celebrations in Czechoslovakia of the 30th anniversary of the Czechoslovakian Orthodox Church's autocephaly and the greeting-message from the head of the Georgian Church delegation,—Archbishop Ioann (Annaniashvili) are also published here.

#### «Ways, Guests, Meetings».

The article reports about the visits of foreign guests to the Georgian Patriarchate, who were received by His Holiness Ilia II. The following article by V. Tsundely is dedicated to the 160th anniversary of the birth of the prominent church leader, bishop Alexander Okropiridze, called by his compatriots «The Builder», and «Father of All Georgia», and to his services to the Georgian Church.

#### «The Last Requiem»

Every year on February 2(15) the Church of Georgia commemorates the day of the departure of His Holiness and Beatitude Kalistrate.

This year His Holiness Ilia II performed the requiem ceremony in the Sioni Patriarchal Cathedral, for the rest of the soul of His Holiness Kalistrate who prayed there to the Lord for the long life of his people and Church,

almost for twenty years. «Today, we had the last requiem and in the future we'll appeal only with prayers to his lighted soul to help us» — addressed Catholicos-Patriarch Ilia II his flock.

#### «Theology».

Under this heading, the Journal publishes the translation of the article «Image and Likeness» by Prof. Losski. In this section, readers can acquaint themselves with the Church traditions.

#### Poetry.

The Journal publishes religious poems by Metropolitan Shio (Avalishvili), Archbishops Thadeus (Ioramashvili) and Constantine (Melikindze) and by the Hieromonk George (Odishvili).

#### Songs.

In this section the song «Holy Lord» is published with the commentaries of the regent of the Sioni Cathedral's men's choir — Nodar Kiknadze.

This year, Georgian Church suffered the heavy losses.... Departed Metropolitan George (Gongadze) of Tsilkani, Protospyter of the Sioni Cathedral Pakhom Oboladze and the nun of Djikheti Monastery Anasthasia. The Journal publishes the obituaries and the parting letters.

«Which Days the Departed should be Mentioned on» — the author of the article is Archpriest Anthony (Guliashvili).

#### «Ecclesiastical Life».

This section contains the important events in the Life of the dioceses, sacraments and the sermons conducted by his Holiness Ilia II.

„Theological Dictionary and Explanations“.

Commentaries to the Books of Common Prayers and Church Songs are given in this section, together with the interpretations of their meaning and sense — compiler Hegumen Euphimi (Kochlamazashvili).

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

<b>ს ა ა დ გ ო მ ო ე პ ი ს ტ ო ლ ე</b>	
უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის ილია II	3
<b>ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე კ ლ ე ს ი ო ს უ დ ი დ ე ს ი ს ა ლ ო ც ა ვ ე ბ ი</b>	
კვართი უფლისა	8
<b>მ შ ვ ი დ ო ბ ა ვ ო ვ ე ლ თ ა</b>	
რელიგიის მოღვაწენი ბირთვული კატასტროფისაგან სიცოცხლის წმიდა ნობათის გადასარჩენად	10
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II მისასალმებელი სიტყვა მსოფლიო კონფერენციის მონაწილეებისადმი	12
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის მისალმება მსოფლიო კონფერენციის მონაწილეებს	13
შვეიცარია. ჟენევა. ჯონ კნოგის ცენტრი	14
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II სიტყვა, წარმოთქმული მსოფლიო პატრიარქის ცენტრის ტაძარში, ჟენევაში	15
მართლმადიდებლურ-ძველკათოლიკური შერეული თეოლოგიური კომისიის IV საერთო კრება ზაგორსკში	15
ჩეხოსლოვაკიის ეკლესიის ავტოკეფალიის 30 წლისთავი	16
მთავარეპისკოპოს იოანეს სიტყვა წარმოთქმული საზეიმო სხდომაზე	17
<b>ღ ვ ა წ ლ ნ ი დ ა ს ა ქ მ ე ნ ი</b>	19
ღებულები, ეპისტოლენი, მილოცვები	20
ვ. წუნდელი — კვალი კეთილი	22
უკანასკნელი პანაშვიდი	26
<b>ღ ვ თ ი ს მ ე ტ წ ვ ე ლ ე ბ ა</b>	
ვ. ლოსკი — ხატი და მსგავსი	27
საეკლესიო გადმოცემები	31
<b>პ ო ე ზ ი ა</b>	
მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი) — თუ კი სიკეთე გიყვარს	34
მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი) — ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან	34
მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე) — ექვსი ათასი იყო ბერი	35
მღვდელ-მონოზონი გიორგი (ოდიშვილი) — ეშმა და პოეტი	35
<b>ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი</b>	
წმიდაო ღმერთო — კომენტარი ნ. კიკნაძისა	37
მსუბუქი იყოს თქვენთვის საქართველოს ღვთივ კურთხეული მიწა	38
არქიმანდრიტი ანტონი (გულიაშვილი) — ღვაწლმოსილი და კეთილი	40
რომელ დღეებში უნდა მოვიხსენიოთ მიცვალებულები	40
ანაკალანდაძე — ფეხი დამადგით (ლექსი)	42
<b>ს ა ე კ ლ ე ს ი ო ც ხ ო ვ რ ე ბ ა</b>	43
ჩენი ეკლესიის მრევლი — ბაბო დადიანი	45
ცნობები ეპარქიებიდან	46
გზები, სტუმრები, შეხვედრები	47
შემოქმედების დიდი მადლი	49
ლექსიკონი და განმარტებანი	50
რეზიუმე რუსულ ენაზე	52
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	53



დიდი ხუთშაბათი. ფერხთა ბანვა

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე:  
მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე)  
ჟურნალის რედაქტორი: თ. გურიელი

ტირაჟი 1000, შეკვ. 3046  
საქართველოს სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის, 19  
საქართველოს საბატრიაქო. სიონის ქ. № 4, ტელ. 72-24-27

Грузинская патриархия.  
«Джвари вазისა» (Лозовый крест) № 1, 1982 г.  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

ტიტულის მეორე გვერდზე: საქართველოს ეკლესიის ახალი ღვრბი, ავტორი — დიაკონი  
დავით (გურამ) ბუჩუკური, ამ ნამუშევარმა კონკურსზე პირველი ადგილი დაიკავა.

ყდის მესამე გვერდზე: ქართული ანბანი, შესრულებული ელ. მაჭავარიანის მიერ.

# ქართული ანბანი

ა	ა	ა	a	1
ბ	ბ	ბ	b	2
გ	გ	გ	g	3
დ	დ	დ	d	4
ე	ე	ე	e	5
ვ	ვ	ვ	v	6
ზ	ზ	ზ	z	7
ეე	ეე	ეე	ē	8
თ	თ	თ	t	9
ი	ი	ი	i	10
კ	კ	კ	k	20
ლ	ლ	ლ	l	30
მ	მ	მ	m	40
ნ	ნ	ნ	n	50
იი	იი	იი	j	60
ო	ო	ო	o	70
პ	პ	პ	p	80
ჟ	ჟ	ჟ	ž	90
რ	რ	რ	r	100

ს	ს	ს	s	200
ტ	ტ	ტ	t	300
ყ	ყ	ყ	y	
უ	უ	უ	u	400
ფ	ფ	ფ	p	500
ქ	ქ	ქ	k	600
ც	ც	ც	ç	700
ძ	ძ	ძ	ğ	800
წ	წ	წ	š	900
ჩ	ჩ	ჩ	č	1000
ცც	ცც	ცც	c	2000
ძძ	ძძ	ძძ	z	3000
წწ	წწ	წწ	ç	4000
სს	სს	სს	š	5000
ჩჩ	ჩჩ	ჩჩ	x	6000
ყყ	ყყ	ყყ	q	7000
ჯჯ	ჯჯ	ჯჯ	ž	8000
რრ	რრ	რრ	h	9000
ფფ	ფფ	ფფ	ω	10000

